რუსთავში წითელჯვრიანი დროშა დააკანონეს A2

„იტერა" საქართველოს გაზს უძვირებს A4

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 28 იანვარი, 2003 წელი. №26 (238)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### კანონპროექტი შუასაუკუნეების იაპონიის ანალოგიით

დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატთა გუშინდელი აღელვებისა და პრესკონფერენციის მოწყობის მიზეზი შალვა ნათელაშვილის ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ინიციატივა გახლავთ. კანონპროექტის თანახმად, ნათელაშვილი საკრებულოს წევრთა უკან გამოწვევის უფლებას ითხოვს.

A2

## ეკონომიკა

### გოგიაშვილი იმედოვნებს, რომ პარლამენტი ბიუჯეტს მიიღებს

დღეს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია განახლდება, სადაც დეპუტატები 2003 წლის ბიუჯეტის მეორე მოსმენით განხილვას შეუდგებიან და ბიუჯეტის თანმდევ 13 კანონპროექტსაც მიიღებენ.

A4

## უცხოეთი

### ინსპექტორები ერაყიდან ხელცარიელნი დაბრუნდნენ

გუშინ გაერო-ს ინსპექტორებმა უშიშროების საბჭოს თავიანთი საქმიანობის ანგარიში წარუდგინეს. ორთვიანი მუშაობისა და 350 ობიექტის ინსპექტირების შემდეგ, ინსპექტორებს არ შეუძლიათ, დარწმუნებით თქვან, აქვს თუ არა ერაყს აკრძალული იარაღი.

A5

## საზოგადოება

### ახალციხელი მიწათმფლობელები მენავთობეების კომპენსაციებს დასჭერდნენ

*გუშინ ახალციხის რაიონში 15, ბორჯომში 10 და ბაკურიანში, დაახლოებით, ამდენივე მცხოვრებმა, მათ მფლობელობაში არსებული მიწისა და ქონების სანაცვლოდ, კომპენსაცია მიიღო. მესაკუთრეებთან ხელშეკრულების გაფორმება და თანხის გაცემა "საქართველოს ბანკის" ადგილობრივ ფილიალებში წარიმართა.*

A6

## სამართალი

### ხვალ საკონსტიტუციო სასამართლო ომბუდსმენის სარჩელზე გადაწყვეტილებას გამოიტანს

ხვალ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციურ სარჩელზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამდენიმე მუხლის კონსტიტუციურობის თაობაზე.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 8 | ღრუბლიანი |
| ქუთაისი | 12 | ცვალებადი ღრუბლიანობა |
| ბათუმი | 14 | ღრუბლიანი |
| სოხუმი | 11 | ცვალებადი ღრუბლიანობა |
| ფოთი | 13 | მზიანი |
| თელავი | 7 | ღრუბლიანი |
| ზუგდიდი | 12 | მზიანი |
| გორი | 6 | ღრუბლიანი |
| ახმეტა | 6 | ღრუბლიანი |
| ჭიათურა | 8 | ღრუბლიანი |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1870 |
| ევრო | 2.3749 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5792 |
| რუბლი | 0.0688 |

# მსოფლიო ბანკმა საქართველოს დახმარება შეუკვეცა



*ფინანსთა მინისტრს „მსოფლიო ბანკისგან" სერიოზული პრეტენზიების მოსმენა მოუხდა.*

ნინო ნარჩემაშვილი

*თბილისში თავისი პირველი სამუშაო ვიზიტით იმყოფება მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი დონა დოუსეთ-კოიროლო. გუშინ გაიმართა შეხვედრები ფინანსთა სამინისტროში, სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან, პრეზიდენტის თანაშემწესთან ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თემურ ბასილიასთან და ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან. სამშაბათს და ოთხშაბათს დონა დოუსეთ-კოიროლო მსოფლიო ბანკის საქართველოში მოქმედი ყველა პროექტის საკოორდინაციო ჯგუფებს შეხვდება და მათ მუშაობას დეტალურად შეაფასებს. დაგეგმილია შეხვედრები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთანაც. პარასკევს კი შედგება შემაჯამებელი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან. ვიზიტს წინ უძღოდა მსოფლიო ბანკისთვის უჩვეულოდ მკვეთრი შეფასებებით დატვირთული წერილი სახელმწიფო მინისტრისადმი. მართალია, ჯორბენაძეც და მისი მოადგილეც ძალიანაც უარობდნენ ასეთი წერილის არსებობას, მაგრამ დონა დოუსეთ-კოიროლომ იქ მოყვანილი შეფასებები ავთო ჯორბენაძეს პირადადაც გაუმეორა.*

გაგრძელება A4 გვერდზე

# რუსი ექსპერტების აზრით, შევარდნაძეს დაითანხმებენ რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

**"ვფიქრობ, პუტინ-შევარდნაძის ახლანდელი შეხვედრაც უშედეგო იქნება. თუკი ფანტასტიკას მივენდობით და წარმოვიდგენთ, რომ აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლისა და იქ პასპორტიზაციის შეჩერებაზე რუსეთის პრეზიდენტი ქართველ კოლეგას დაეთანხმება, საქართველოს აფხაზეთს მაინც არავინ დაუბრუნებს,"** - ასე განაცხადა "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში დსთ ინსტიტუტის დირექტორმა კონსტანტინ ზატულინმა.

"დიდი ხანია, არსებობს იდეა, რომ რუსეთი გარშემორტყმული უნდა იყოს მისდამი კეთილად განწყობილი რესპუბლიკებით. ამიტომ რუსეთის პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებს, რათა უკრაინის და ბელორუსის სახით სტრატეგიული პარტნიორები შეიძინოს. კიევში პუტინისა და კუჩმას შეხვედრა გადაჭრის ყველაზე პრინციპულ საკითხს: რუსეთ-უკრაინის ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივას. უკრაინა დაინტერესებულია, არ დაკარგოს რუსეთის უზარმაზარი ბაზარი. იგი ხელს მოაწერს თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნას, რადგანაც რუსეთთან დღეს ჩვენ საერთო ბაზარი ჰაერივით გვჭირდება,"- ასე განაცხადა ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტის ეკონომიკურ კომისიაში უკრაინის წარმომადგენელმა ვლადიმირ ფიოდოროვმა.

გაგრძელება A8 გვერდზე

# უპრეცედენტო პროტესტი რუსეთის წინააღმდეგ

ზაზა წულაძე

*31 იანვარს, იმ დღეს, როცა გაერო-ს უშიშროების საბჭო კიდევ ერთხელ შეეცდება აფხაზეთის "გორდიას კვანძის" გახსნას, მსოფლიოს ხუთ ქალაქში - ნიუ იორკში, სტოკჰოლმში, ბერლინში, ბრიუსელსა და ლონდონში ქართული დიასპორა **"აფხაზეთში რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ"** გრანდიოზულ საპროტესტო აქციას გამართავს. აქცია ყველა ქალაქში ზუსტად 12 საათზე დაიწყება. ნიუ-იორკში ქართველები საქართველოს დროშებითა და საყვირებით მანჰეტენზე, გაერო-ს შტაბ-ბინის, ხოლო ევროპის ქვეყნებში რუსეთის საელჩოების წინ შეიკრიბებიან. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს ქართული დიასპორის ამ მასშტაბის პირველი საპროტესტო აქცია იქნება. **"ჩვენ გვინდა, ვაჩვენოთ ყველას, რომ ქართველები ჯერაც არ გადავშენებულვართ; რომ სადაც არ უნდა ვიყოთ, ერთნი ვართ და საქართველოსთვის ერთად ვდგავართ,"** – გვითხრა აქციის იდეის ავტორმა და ორგანიზატორმა, მოქანდაკე ელისო წიკლაურმა, რომელიც, მეშვიდე წელია, ნიუ-იორკში ცხოვრობს.*

თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ორგანიზატორებმა ჩაიფიქრეს, ქართული დიასპორის აქცია მართლაც თვალსაჩინო უნდა გამო-

გაგრძელება A8 გვერდზე




*ნიუ-იორკის პოლიციამ ქართველებს გაერო-ს შტაბ-ბინის წინ ანტირუსული დემონსტრაციის გამართვის უფლება მისცა.*

# "ვენაში ობიექტური ინფორმაცია არ იგზავნება"

*კონსტანტინ ტოცკი საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე მომუშავე ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიას აკრიტიკებს*

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

ჟურნალისტებთან შესახვედრად რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორი კონსტანტინ ტოცკი საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის რუკითა და პანკისის ხეობაში ბოევიკების გადაადგილების მარშრუტების ამსახველი სქემებით მოვიდა.

კონსტანტინ ტოცკის თქმით, ამიერკავკასიაში დღეს შექმნილი ვითარება რუსეთის მხრიდან კონტროლს ექვემდებარება, მაგრამ თოვლის დნობისთანავე მოსალოდნელია პანკისში ტერორისტების გადაადგილება და ახალი არეულობები; შესაბამისად - ახალი სასაზღვრო სკანდალები ორი ქვეყნის ისედაც დაძაბულ ურთიერთობებში.

ტოცკიმ ჟურნალისტებს უჩვენა ბოევიკთა მარშრუტები და ხაზგასმით აღნიშნა: **"დაქირავებული ბანდიტების ყველა გზა და მარშრუტი დღეს საქართველოდან რუსეთში მოდის და ამ გაუკონტროლებელ პროცესს დღემდე წინ ვერავინ აღუდგა".**

„24 საათი": "თუ გაქვთ ზუსტი მონაცემები, რეალურად რამდენი ბოევიკი აფარებს თავს დღეს პანკისის ხეობას და, მოსალოდნელი გარღვევის შემთხვევაში, რა ძალები დაიცავენ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარს?"

გაგრძელება A8 გვერდზე

# დაკარგულ ავტომობილებს ქურდების დახმარებით მაღალჩინოსნებიც იბრუნებდნენ

თამარ კაციტაძე

ორიოდე თვის წინ მაღალჩინიანმა სამართალდამცველებმა ოფიციალურად განაცხადეს, თბილისში ძვირადღირებული ავტომობილების გატაცება ციხიდან ერთ-ერთი "კანონიერი" ქურდის ხელით იმართებაო და მისი გვარიც დაასახელეს.

ვერ გეტყვით, დიდი ხნის მანძილზე მდუმარედ მყოფმა პოლიციის მაღალჩინოსნებმა რატომ დაიწყეს ციხიდან მართულ მანქანების გატაცებაზე ხმამაღალი საუბარი. ალბათ იმიტომ, რომ, როგორც ამბობენ, ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა მოპარული ავტომობილები კრიმინალური ავტორიტეტების ჩარევით დაიბრუნა.

მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად სამართალდამცველები მანქანის გამტაცებელთა ჯგუფებს აპატიმრებდნენ, ბოლო პერიოდში აღნიშნული "საქმიანობით" დაკავებული ის ჯგუფებიც აიყვანეს, რომელთა უკანაც სწორედ საპყრობილეში მყოფი "კანონიერი" ქურდები მოიაზრებოდნენ.

გუშინ კი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციასთან ერთად, ძვირადღირებული მანქანების გამტაცებელთა კიდევ ერთი ხუთკაციანი ჯგუფი აიყვანეს, რომელთა უკანაც ისევ "ავტორიტეტული" ქურდები იდგნენ, ოღონდ, ამ შემთხვევაში, ციხის გარეთ მყოფნი. პოლიციამ "კანონიერი" ქურდების სხვა დამნაშავეებთან ერთად დაპატიმრება მოახერხა. როგორც თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ დავით კეკუამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ხუთივე დამნაშავე დედაქალაქის სხვადასხვა ადგილას ერთდროულად აიყვანეს. კეკუას თქმით, ერთობლივი ოპერაცია იმიტომ დაიგეგმა, რომ ინფორმაცია არ გაჟონილიყო და მანქანების

გაგრძელება A7 გვერდზე

# რუსეთის დელეგაცია ევროსაბჭოში მორიგ სკანდალს ერიდება

*დღეს სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესია იხსნება. დღის წესრიგში ერთ-ერთი პირველი საკითხი აფხაზეთის თემა იქნება. თუმცა, სესიის დაწყებამდე რუსეთის დელეგაციამ ქართულ დელეგაციასთან შეხვედრა, საკითხის განხილვა და პოზიციების წინასწარ შეჯერება ითხოვა.*

ეკა კევსიტაძე

გთავაზობთ ინტერვიუს ქართული დელეგაციის ხელმძღვანელთან ზურაბ ჟვანიასთან.

**- ეს არის პირველი შემთხვევა, როცა რუსეთის დელეგაცია ქართულ დელეგაციას სესიის დაწყებამდე საკუთარი ინიციატივით შეხვდა. თქვენი აზრით, რაში დასჭირდათ რუს დეპუტატებს ამ ნაბიჯის გადადგმა?**

- ეს მართლაც უპრეცედენტო ფაქტი იყო. თავიდან რუსეთის დელეგაციას უნდოდა, რომ ამ შეხვედრაზე მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლით შემოვფარგლულიყავით და გვთხოვეს, პლენარულ სესიაზე ეს საკითხი არ გაგვემწვავებინა.

ჩვენ განვუმარტეთ, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი ჩვენი დელეგაციები ერთობლივ განცხადებას გააკეთებდნენ, სადაც აისახებოდა ჩვენი პოზიცია აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ ჩვენ მთელი დღის განმავლობაში ვმუშაობდით ამ დოკუმენტზე. საბოლოოდ, მე და როგოზინმა ხელი მოვაწერეთ

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 რეკლამა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# რუსთავში წითელჯვრიანი დროშა დააკანონეს

ნახევარი წლის მანძილზე ხუთჯვრიანი თეთრ-წითელი დროშა რუსთავის მერიის წინ საქართველოსა და ევროკავშირის დროშების გვერდით, ფაქტობრივად, უკანონოდ ფრიალებდა, რადგან ოფიციალური დადგენილება ამის თაობაზე საკრებულოს მიღებული არ ჰქონდა და არც ის იყო განსაზღვრული, თუ რის საფუძველზე ერგო მას ეს პატივი.

**"ვინმე რომ მოვიდეს და გვკითხოს, რატომ გიკიდიათ ეს დროშაო, ჩვენ მას ვერანაირ ოფიციალურ საბუთს ვერ ვაჩვენებთ, ამიტომ მას საკრებულომ ოფიციალური სტატუსი უნდა მიანიჭოს,"** - ასე დააყენეს საკითხი რუსთავის საკრებულოში ორიოდე დღის წინ.

**"დღეს ამ დროშის ჩამოხსნა არ შეიძლება. საპატრიარქომ გააკეთა განცხადება, რომ ეს არის საეკლესიო დროშა და ეს ჩემთვის საკმარისი იყო,"** - განაცხადა რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარემ ლაშა მინდელმა.

თეთრ-წითელი დროშა ჯერ კიდევ მანამდე აღმართეს რუსთავის მერიის წინ, სანამ ის თბილისის მერიის თავზე აფრიალდებოდა. აქ მან მოქალაქეთა კავშირის ლურჯ-ყვითელი დროშის ადგილი დაიკავა. ეს ცვლილება რუსთავში არავის გაუპროტესტებია. არაფერი უთქვამს თავად გუბერნატორ ლევან მამალაძესაც კი, რომლის კაბინეტის ფანჯრებიც პირდაპირ დროშებს უყურებს.

რუსთაველი კანონმდებლები არ უარყოფენ იმას, რომ თავის დროზე დროშის შეცვლა სპონტანურად მოხდა. **"ახლა ლაპარაკია მის დაკანონებაზე. შეიძლება ამის გაკეთება არც დაგვჭირვებოდა, რომ არა ატეხილი პოლემიკა. რადგან საქმე ახლა სასამართლოშია, ჩვენ ვალდებულნი ვართ გადაწყვეტილება მივიღოთ,"** - განმარტა მინდელმა.

"ისტორიული წითელჯვრიანი დროშა" - ამის შემდეგ ასეთი სტატუსით იფრიალებს რუსთავის მერიის წინ ხუთჯვრიანი დროშა. ეს გადაწყვეტილება რუსთავის საკრებულომ მიიღო 14 ხმით ერთის წინააღდეგ. მოწინააღმდეგე "აღორძინების" წარმომადგენელი იყო.

*„24 საათი"*

## მოკლედ

**ერევანი.** გასულ კვირას აშშ სენატმა მოიწონა 2003 წლის ასიგნებათა პროგრამა, რომლითაც გათვალისწინებულია სომხეთისათვის 90 მლნ დოლარის დახმარება, თავისუფლების მხარდაჭერის აქტის ფარგლებში. **მედია-ნიუსი**

**ერევანი.** სომხეთის შეიარაღებულ ძალებს ძალუძთ მთლიანად შეასრულონ ქვეყნის თავდაცვის ამოცანა, – განაცხადა სომხეთის საზოგადოებრივი ტელევიზიით გამოსვლისას თავდაცვის მინისტრის მოადგილემ იური ხაჩატუროვმა. **მედია-ნიუსი**

**თბილისი.** „მოქალაქეთა კავშირთან" ზარზეიმით „დაძმობილების" შემდეგ სოციალისტური პარტიის ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი აცხადებს, რომ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებს. **მედია-ნიუსი**

**ზუგდიდი.** ენგურის ხიდზე მიმდინარე დევნილთა საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ზუგდიდში გაერო-ს ოფისის და ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში რუსი მშვიდობისმყოფელების ოფისის პიკეტირება მოახდინეს. **მედია-ნიუსი**

**თბილისი.** ფრაქცია „აღორძინების" წევრის ბორის კაკუბავას განცხადებით, თუ პრეზიდენტი შევარდნაძე აფხაზეთიდან სამშვიდობო ჯარს არ გაიყვანს, დევნილთა სახალხო პარტია დევნილთა გაერთიანებულ ძალებთან ერთად სახელმწიფო კანცელარიის წინ აქციებს გამართავს და პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს. **მედია-ნიუსი**

**ქუთაისი.** რადიოსადგურ "ძველი ქალაქის" ათასობით მსმენელი დღეს საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავს. რადიომსმენელები ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლითაც "ძველ ქალაქს" მაუწყებლობა დროებით აეკრძალა. **ინტერ-პრესი**

**ქუთაისი.** იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში მომზადდა პროგრამა "გზა 2005 წლამდე", რომელიც რეგიონის საავტომობილო გზების სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** ქართული მხარის ინიციატივით, გაერო-სა და ეუთო-ს მისიების მონაწილეობით მომზადებული შეთანხმება ზუგდიდსა და გალში საქართველოს და თვითგამოცხადებული აფხაზეთის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელთათვის ერთობლივი ტრენინგების ჩატარებას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ფრაქციები "თბილისის აღორძინება" და "დედაქალაქი" "ლეიბორისტული პარტიის" საპარლამენტო ინიციატივას აპროტესტებენ და საკრებულოდან მათ წევრთა გაწვევას ეწინააღმდეგებიან. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** 1 თებერვლიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ფუნქციებს თვითმმართველობის ორგანოები შეითავსებენ. ამის შესახებ დღეს მერიაში გამართულ თათბირზე თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ განაცხადა. **კავკას-პრესი**




# კანონპროექტი შუა საუკუნეების იაპონიის ანალოგიით

*დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატთა გუშინდელი აღელვებისა და პრესკონფერენციის მოწყობის მიზეზი შალვა ნათელაშვილის ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ინიციატივა გახლავთ. კანონპროექტის თანახმად, ნათელაშვილი საკრებულოს წევრთა უკან გამოწვევის უფლებას ითხოვს.*

სოფო ბუკია



*„შერისხულნი": გია მურღულია, დავით იოსელიანი გიორგი ტაბიძე, რეზო უმფრიანი და ზაზა ბეგაშვილი.*

დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი ფრაქციის რიგების საგრძნობი შეთხელებით აღშფოთებული მთავარი "ლეიბორისტი" თავდაცვის კანონიერ ხერხებს ეძებს და საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანას ითხოვს. კერძოდ კი, ნათელაშვილის სურვილით, **"პოლიტიკური გაერთიანება, რომლის პარტიული სიითაც იქნა არჩეული საკრებულოს წევრი, ნებისმიერ დროს უფლებამოსილია, გაიწვიოს საკრებულოს წევრი".**

საკუთარი პროექტის შედგენისას, ბატონი შალვა შუა საუკუნეების იაპონიის მაგალითს ეყრდნობა. **"რამდენიმე საუკუნეა, ეს ნორმები მოქმედებს იაპონიაში,"** - აღნიშნულია "ლეიბორისტების" საინფორმაციო ბარათში. იქვე მითითებულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დეპუტატთა უკან გამოწვევის პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული აშშ-ს ოც შტატში, უკრაინაში, პორტუგალიასა და ლიხტენშტეინში.

ამ კანონპროექტით ნათელაშვილი, რომელმაც ვერც ერთი მოწვევის საკრებულოში მყარი ათკაციანი ჯგუფის თავმოყრას ვერ მოაბა თავი, იმ "მოღალატე" თანაპარტიელთა საკრებულოდან გამოწვევას ცდილობს, რომლებიც მშობლიური პარტიიდან "ერთპიროვნულ დიქტატურას გაექცნენ". ზოგი მათგანი დამოუკიდებელ დეპუტატად დარჩა, ნაწილმა (ბერდია გველებიანი, რეზო უმფრიანი, ზაზა ბეგაშვილი) ფრაქცია "დედაქალაქი" შექმნა და საააკაშვილის ფრთებქვეშ მოკალათდა.

ნათელაშვილის ინიციატივა სულაც არ აწყობს ფრაქცია "აღორძინება-თბილისის" სამკაციან ჯგუფსაც. გიორგი ტაბიძემ, დავით იოსელიანმა და გია მურღულიამ უკვე ოფიციალურად დატოვეს "აღორძინების" რიგები, ამდენად, "აღორძინების" ხელმძღვანელობა, პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ეცდება, იგივე სანქცია მათ მიმართაც გამოიყენოს.

ერთობლივ პრესკონფერენციაზე, რომელიც "დედაქალაქმა" და "აღორძინებამ" გუშინ საკრებულოში მოაწყვეს, ნათელაშვილის პროექტს "დემოკრატიის დასამარება" უწოდეს.

**"ეს არის პიროვნული ანგარიშსწორება ჩვენ მიმართ, რასაც დავუპირისპირებთ საზოგადოებრივ აზრს. ამ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, საკრებულოში მივიღებთ არა დამოუკიდებელ, საქმის მკეთებელ დეპუტატებს, არამედ რობოტებს, რომლებიც ბრმად ემორჩილებიან პარტიის ლიდერს,"** – აცხადებს ყოფილი ლეიბორისტი ზაზა ბეგაშვილი, რომელიც სულ ახლახან "ნაციონალური მოძრაობის" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელად დაინიშნა.

**"ამ კანონპროექტის შემდგენლები საერთოდ მწყრალად არიან ლოგიკასთან. ეს არის დემოკრატიის დასამარება, ავიწყდებათ, რომ ჩვენს ქვეყანას ხელი აქვს მოწერილი ევროსაბჭოს მიერ მიღებულ დოკუმენტზე - "თვითმმართველობის ქარტიაზე,"** – ამბობს "აღორძინების" ყოფილი წევრი გია მურღულია.

ყოფილი "ლეიბორისტები" არ გამორიცხავენ, რომ მათი ექს-შეფი კანცელარიის დაკვეთას ასრულებს. **"ნათელაშვილი კი ამბობს, ოპოზიცია ვარო, მაგრამ ეს ბევრს არ ნიშნავს,"** – აცხადებენ ისინი.

"ლეიბორისტების" პროექტი პარლამენტში უკვე შეტანილია. მის დასამტკიცებლად 75 ხმაა საჭირო. ნათელაშვილის ერთადერთი ხმა პარლამენტში ფრიდონ ინჯიაა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კანონში ამგვარი შესწორება ყველაზე მეტად ძალზე შესუსტებულ მმართველ პარტიას აწყობს, ძნელი მისახვედრი არ არის, ვის იმედად "გაბედა" ნათელაშვილმა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. საკრებულოდან დეპუტატთა გაწვევის შესაძლებლობა ხელს აძლევს "აღორძინებასაც", რომელსაც საკუთარი დასაყრდენი დედაქალაქის პარლამენტში უკვე აღარ ჰყავს. ჩვენი ინფორმაციით, ამ კანონპროექტს ჯემალ გოგიტიძის ფრაქცია მიესალმება.

"ლეიბორისტების" ინიციატივას კომენტარი გაუკეთეს უცხოელმა ექსპერტებმაც. ნათელაშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აშშ-ს ოც შტატში მსგავსი კანონი მოქმედებს, დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა ბატონ კენეტ ფიშერისთვის, რომელიც ნიუ-იორკის საქალაქო საბჭოს, ანუ ნიუიორკული საკრებულოს ყოფილი წევრია, ათწლიანი სტაჟით. **"ამერიკის არც ერთ შტატში ამგვარი კანონი არ მოქმედებს. საბჭოს წევრად იმიტომ გირჩევენ, რომ საქმე აკეთო და არა იმიტომ, რომ ამა თუ იმ პარტიის კუთვნილება ხარ,"** – აღნიშნავს იგი.

აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის თანადირექტორი ლინკოლნ მიტჩელი ამბობს, რომ საქართველოში ამგვარი კანონის მიღება დემოკრატიის დარღვევად არ ჩაითვლება, მაგრამ საგრძნობლად შეაფერხებს დემოკრატიულ პროცესებს.

# სახელისუფლებო ძალები პარლამენტის მუდმივმოქმედ დელეგაციებს უტევენ

*მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობის გადახედვა ბოლო პერიოდში სახელისუფლებო ძალებისთვის აკვიატებულ იდეად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე შემოდგომაზე ახალი პარლამენტი უნდა აირჩეს და ახალი დელეგაციები უნდა ჩამოაყალიბოს. სახელისუფლებო ძალებმა მიაღწიეს კიდეც ამ საკითხის შეტანას რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.*

თამარ ხორბალაძე

ახლა, როცა უკიდურესად გამწვავებულია რუსულ-ქართული ურთიერთობები და აფხაზეთის დაკარგვა საბოლოოდ ფორმდება, ქვეყანას მხოლოდ საერთაშორისო ბერკეტების ამოქმედების იმედიღა აქვს. როცა არსებულ დელეგაციებს ოთხწლიანი მუშაობის გამოცდილება დაუგროვდათ და შესაბამისი კონტაქტების დამყარებაც შეძლეს, ალბათ, საკმაოდ მყარი არგუმენტები უნდა არსებობდეს ამ დელეგაციების შემადგენლობის გადასახედად.

სახელისუფლებო პარტიებისთვის კი არგუმენტი მხოლოდ ისაა, რომ საპარლამენტო დელეგაციების პარტიული შემადგენლობა აღარ პასუხობს პარლამენტში არსებულ ძალთა ახალ ბალანსს.

პარლამენტში სულ 27 მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციაა. მათ ნაწილს თავად პარლამენტის თავმჯდომარე უდგას სათავეში. ამ დელეგაციების სათავეში ნინო ბურჯანაძემ ზურაბ ჟვანია ამ პოსტზე მოსვლისთანავე ჩაანაცვლა.

გასულ ზაფხულს დელეგაციების შემადგენლობას პარლამენტში ერთხელ უკვე გადახედეს, თუმცა ვერ აღმოფხვრეს მთავარი გამაღიზიანებელი ფაქტორი, რომელიც ხელისუფლებისთვის, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება: თუ დელეგაციებს გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ მათი წევრები და ხელმძღვანელები თითქმის ყველა ფრაქციის წარმომადგენლები არიან; თუმცა, "საკვანძო" დელეგაციებში პრიორიტეტი ყოფილ "მოქალაქეებს" და ამჟამინდელ "დემოკრატებს" აქვთ.

პირველ რიგში, სახელისუფლებო ძალების სამიზნე გახლავთ ზურაბ ჟვანია, რომელიც ევროსაბჭოს დელეგაციაში შეიყვანეს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ ჟვანიას ყოფნა ამ დელეგაციაში ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ევროსაბჭოში საქართველოს პოზიციის დასაფიქსირებლად და გასატანად, პანკისის თემასთან და აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, მისი დანიშვნა დელეგაციის ხელმძღვანელის პოსტზე პარლამენტმა ვერა და ვერ გადაწყვიტა. მეტიც, არსებული ინფორმაციით, საკითხის ინიციატორებს დელეგაციისგან მისი ჩამოშორებაც სურთ. ამის შესახებ პირდაპირ განუცხადა კიდეც ვახტანგ რჩეულიშვილმა ზურაბ ჟვანიას სულ ცოტა ხნის წინ. თუმცა, სამიოდე თვით ადრე, როცა სტრასბურგიდან დაბრუნებული ზურაბ ჟვანია პუტინის განცხადებასთან დაკავშირებით წარმოებული სამუშაოსა და ევროსაბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ანგარიშს აბარებდა პარლამენტს, რჩეულიშვილი პირველი იყო, ვინც მიკროფონთან მივიდა და თანამშრომლობა შესთავაზა. სხვათა შორის, ევროსაბჭოში ქართული დელეგაციის წევრები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ "უთავმჯდომარეობა" აძნელებს საქართველოს ინტერესების გატანას ევროსაბჭოში, თუმცა ეს წვრილმანი რა მოსატანია მაშინ, როცა შიდაპოლიტიკური საქმეებია გასარჩევი და მომავალი არჩევნებია მოსაგები.

მეორე სამიზნე ელენე თევდორაძე გახლავთ. მისი აქტიურობა ევროსაბჭოში და ის, რომ თევდორაძე ევროსაბჭოს ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატად დასახელდა, დღევანდელი ხელისუფლების სერიოზულ გაღიზიანებს იწვევს. თუმცა, არსებობს აზრი, რომ საქართველოს საპარლამენტო კომიტეტის დე-ფაქტო თავმჯდომარეობის დაკარგვის შემთხვევაში, ელენე თევდორაძეს დღევანდელი პარლამენტი ევროსაბჭოსკენ საველ გზას არ ჩაუკეტავს.

მორიგი გამაღიზიანებელი ფაქტორი გახლავთ ელდარ შენგელაიას ფიგურა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის მუდმივმოქმედ დელეგაციას უდგას სათავეში.

ალბათ, გახსოვთ ის აჟიოტაჟი, რაც სექტემბერ-ოქტომბერში ატყდა რუსეთში გასაგზავნი საპარლამენტო დელეგაციის ირგვლივ. მაშინ ვახტანგ რჩეულიშვილმა ვერაფრით მოახერხა პარლამენტის მანდატის მიღება ასეთი დელეგაციის ხელმძღვანელობისთვის; მეტიც - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ იგი საერთოდ არ შეიყვანა იმ დელეგაციაში, რომელიც ახლა მოსკოვში აწარმოებს მოლაპარაკებებს.

კიდევ ერთი სამიზნეა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში დელეგაციის ხელმძღვანელის პოსტი, რომელიც, რევაზ ადამიას გაერო-ში გამგზავრების შემდეგ, გია ბარამიძეს უკავია.

ცხადია, "დემოკრატები", რომელთაც ამ საგარეო ფრონტზე სერიოზული გამოცდილებაც დაუგროვდათ და წარმატებების მოპოვებასაც ახერხებენ თავის სფეროებში, სერიოზულ შიდაპოლიტიკურ ქულებსაც იწერენ. გარდა ამისა, ისინი საჭირო საერთაშორისო კონტაქტებსაც აღრმავებენ, რაც დღეს უკვე მიუღებელია სახელისუფლებო ძალებისთვის. ამ ძალებს უკვე აქვთ "თემატური უმრავლესობა" და თუ კარგად მოინდომებენ, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მიზნის აღსრულება არ უნდა გაუჭირდეთ. მით უმეტეს, რომ "უმრავლესობა" პარლამენტში ოფიციალურად გაფორმებული არ არის და არც "უმცირესობა" არსებობს თავისი უფლებებით, რაც მისთვის გარკვეულ კვოტებს გულისხმობს.

ამიტომ ახლა უკვე ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, აიღებს თუ არა პარლამენტის ეს "უმრავლესობა," წმინდა პარტიული და წინასაარჩევნო მოტივებიდან გამომდინარე, საკუთარ თავზე ამ პერსონების შეცვლის ტვირთს?! ამ კითხვას პასუხს გასცემს პარლამენტის უახლოესი სხდომა.

# პარლამენტს მეორე საბიუჯეტო "სუნთქვა გაეხსნა"

*სახელისუფლებო გუნდი დღევანდელ სხდომას შედარებით მშვიდად ხვდება; ალბათ პირველი მოსმენის დროს მიღებული 11-ხმიანი "ფორის" იმედად, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტის შემდგომმა განხილვამ ინტერესი დაკარგა. შესაძლოა, პირიქითაც იყოს - მეორე მოსმენით განხილვისას დაპირისპირება კიდევ უფრო დაძაბული და ხმაურიანი გამოდგეს, ვიდრე ეს პირველი "რაუნდის" დროს იყო.*

გიორგი ასანიშვილი

**"მეორე მოსმენა ნადავლის გაყოფის პროცესს წარმოადგენს და ამ პროცესში ვილაც ყოველთვის რჩება განაწყენებული. ძლიერები მსუყე ლუკმებს ითრევენ და ამიტომ შედარებით სუსტები უკმაყოფილოდ ილრინებიან",** - ზოოლოგიური შტრიხებით ალამაზებს ძირითადი ეკონომიკური კანონის ირგვლივ მიმდინარე პერიპეტიებს ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" თავმჯდომარე კოტე კემულარია. მისივე თქმით, მეორე მოსმენის დროს ბიუჯეტის პროექტის ჩაგდების შესაძლებლობა არსებობს, თუმცა მისი რეალობისა "ნაციონალების" ერთ-ერთ ლიდერს, როგორც ჩანს, თავადაც არ სჯერა. **"ბიუჯეტის მხარდამჭერთათვის პატარ-პატარა ლუკმების მიგდების გზით, კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღებას ხელისუფლება, ალბათ, მაინც მოახერხებს",** - ვარაუდობს კემულარია.

ბიუჯეტის პროექტზე მსჯელობისას, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი, ზოოლოგიურთან ერთად, ფსიქოლოგიურ მომენტსაც ითვალისწინებს და აღნიშნავს, რომ ის დეპუტატები, ვინც ამა თუ იმ კანონპროექტს პირველი მოსმენის დროს მხარს უჭერენ, მეორე მოსმენისასაც, როგორც წესი, იმავეს აკეთებენ.

კემულარიას მსგავსად, წერეთელსაც თითქმის არ ეპარება ეჭვი, რომ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მეორე მოსმენითაც გავა, რადგან **"ხმების საჭირო რაოდენობა რომ არ გააჩნდეს, მთავრობა ასე არ მოიქცეოდა".** ხელისუფლების "ცუდ ქცევაში" კი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე იმას გულისხმობს, რომ მმართველი ძალა ოპოზიციის მოსაზრებებს საერთოდ არ უწევს ანგარიშს და ბიუჯეტის პროექტში მისი (ოპოზიციის) ინიციატივით ნებისმიერი კორექტივის შეტანას გადაჭრით ეწინააღმდეგება. მთავრობის მიერ აღმართული "ყრუ კედელი" წერეთელს მეტად არასასიამოვნო ეჭვებს აღუძრავს.

**"ბიუჯეტის პროექტში, ეტყობა, ისეთი პროგრამებია ჩადებული, რომლებიც ხელისუფლების საარჩევნო ყულაბად უნდა იქცეს. ამ ვარაუდის სისწორეში ისიც მარწმუნებს, რომ ეს პროექტები ძალიან ეფემერული და შეუსრულებადია, მაგრამ მთავრობა მათ მაინც კატეგორიულად "ლობირებს",** - აცხადებს ვიცე-სპიკერი.

ბიუჯეტის მეორე მოსმენით განხილვას საბრძოლო განწყობით ხვდებიან "ტრადიციონალისტები". ალეკო შალამბერიძის თქმით, მისი თანაფრაქციელები ყოველნაირად შეეცდებიან, 129-კაციან "თემატურ უმრავლესობას," რაც შეიძლება, მეტი ხმა ჩამოაკლონ. "ტრადიციონალისტების" სტრატეგია საკმაოდ მარტივია და იგი ფსიქოლოგიურ ფაქტორზეა გათვლილი - უნდა "დამუშავდნენ" ის დეპუტატები, რომლებზეც ამომრჩეველთა ზემოქმედების ალბათობაც შედარებით მაღალია. ასეთი პარლამენტარის "ცოცხალ ნიმუშად" შალამბერიძე ტყიბულის მაჟორიტარ დეპუტატს ასახელებს.

**"ძალიან მაინტერესებს, როგორ დაუსაბუთებს რეზო ყიფიანი თავის ამომრჩევლებს ბიუჯეტისთვის ხმის მიცემის მიზანშეწონილებას მაშინ, როდესაც, პროექტის მიხედვით, მეშახტეების სამწლიანი - 1,1 მილიონი ლარის სახელფასო დავალიანების დაფარვას ხელისუფლება არ აპირებს",** - აღნიშნავს შალამბერიძე. თუ ბიუჯეტის პროექტის ჩაგდება ვერ მოხერხდება, "ტრადიციონალისტებს" სურთ, რომ განხილვის პროცესში ხელისუფლება სხვა მხრივ მაინც დააზარალონ: **"თითოეულ მუხლთან მიმართებაში შემუშავებული გვაქვს საკმაოდ კრიტიკული პოზიცია და მუხლობრივი განხილვისას შევეცდებით, მათი დეკლარირებით, მოსახლეობას ამ ხელისუფლების უსუსურობა დავანახოთ".**

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ბიუჯეტის პროექტით ბოლომდე კმაყოფილები არც სახელისუფლებო ფრაქციათა წარმომადგენლები არიან. მაგალითად, ფრაქცია "თანადგომის" წევრი, "მოქალაქეთა კავშირის" თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზეზვა ღუღუნიშვილი აღნიშნავს, რომ ძალიან სერიოზული საუბარი იქნება თბილისის ბიუჯეტთან დაკავშირებით.

**"ის თანხები, რომელიც ამ მიმართულებით არის გათვალისწინებული, პლუს დედაქალაქის მაჟორიტარებისთვის გამოყოფილი სახსრები, საკმარისი არ არის, ისევე, როგორც მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწერილი თანხა. ჩვენ კიდევ გვექნება შეხვედრა ფინანსთა მინისტრთან და ვეცდებით, ეს პარამეტრები გავზარდოთ",** - აღნიშნავს ღუღუნიშვილი. მიუხედავად მსუბუქი კრიტიკისა, "თანადგომელი" "მოქალაქე" მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის პროექტი მეორე მოსმენით პარლამენტმა აუცილებლად უნდა მიიღოს და სინანულით დასძენს: **"ერთი თვე აქამდეც ტყუილუბრალოდ დავკარგეთ".**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ჯეოსელის აბონენტების საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ ა.წ. 25 იანვარს დასრულდა ჯეოსელის ვიქტორინა. ამ აქციაში მონაწილე აბონენტთა შორის გამოვლინდა 105 პრიზიორი, მათ შორის: 8 აბონენტმა მოიგო ავტომობილი ნივა

7-მა - ტელევიზორი
7-მა - ვიდეო სისტემის მაგნიტოფონი
7-მა - აუდიო სისტემის მაგნიტოფონი
7-მა - DVD სისტემის მაგნიტოფონი
7-მა - CD პლეიერი
7-მა - HONDA-ს გენერატორი
14-მა - SAMSUNG-ის მობილური ტელეფონი
7-მა - NOKIA-ს მობილური ტელეფონი
7-მა - ფრანგული პარფიუმერია

50, 100, 200 და 300-ლარიანი უფასო სასაუბრო დრო განაწილდა 27 აბონენტზე.




## ჯეოსელი ვიქტორინის ყველა მონაწილეს უხდის მადლობას და ულოცავს გამარჯვებას!

### ყურადღება!

გთხოვთ, გამოიჩინოთ წინდახედულება და არ ენდოთ სატელეფონო თაღლითებს, რომლებიც სარგებლობენ ჯეოსელის სახელით და აბონენტებს სხვადასხვა პრიზებს ჰპირდებიან.

## ჯ ე ო ს ე ლ ი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

## ბოგიაშვილი იმედოვნებს, რომ პარლამენტი ბიუჯეტს მიიღებს

*დღეს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია განახლდება, სადაც დეპუტატები 2003 წლის ბიუჯეტის მეორე მოსმენით განხილვას შეუდგებიან და ბიუჯეტის თანმდევ 13 კანონპროექტსაც მიიღებენ.*

სოფო კვინტრაძე

დღევანდელ სესიას წინ უსწრებდა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტების გუშინდელი გაერთიანებული სხდომა, სადაც 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მეორე მოსმენით განხილვა გააგრძელეს. კომიტეტების სხდომაზე, ვიდრე ბიუჯეტის კანონპროექტის ცვლილებებს შეეხებოდნენ, გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ სამი კანონპროექტი წარმოადგინა. სალარიძე სათამაშო ბიზნესის, კერძოდ, ტოტალიზატორების დაბეგვრის ახალი რეჟიმის შექმნის ინიციატივით გამოდის და მათთვის ფიქსირებული გადასახადის დაწესებას აპირებს. კომიტეტმა საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი მოამზადა, რომელიც ტოტალიზატორის თითოეული სალაროსათვის თვეში არანაკლებ 2000 და არაუმეტეს 4000 ლარის დაწესებას ითვალისწინებს. ამ ცვლილებების ამოქმედების შემთხვევაში, სალარიძე ვარაუდობს, რომ ბიუჯეტი ტოტალიზატორებიდან ყოველწლიურად 100 ათას ლარს მიიღებს. ამჟამად თბილისში 80 ტოტალიზატორია რეგისტრირებული, საიდანაც წელიწადში, საშუალოდ, 20-30 ათასი ლარი იკრიბება.

სალარიძის კომიტეტმა ასევე მოამზადა საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი სამარშრუტო ტაქსებისა და ტაქსების დაბეგვრის ახალი რეჟიმის თაობაზე. პროექტის თანახმად, სამარშრუტო ავტოტრანსპორტის თითოეული მფლობელი ფიქსირებულ გადასახადს გადაიხდის და ამის დასადასტურებლად სპეციალურ ფირნიშს მიიღებს, რომელიც ავტომანქანაზე თვალსაჩინო ადგილას დამაგრდება. ფირნიშის მისაღებად გადამხდელმა განცხადებით საგადასახადო ინსპექციას უნდა მიმართოს. ფირნიში წელიწადში ერთხელ გაიცემა და ყოველ წელს მას განსხვავებული ფერი ექნება. როგორც ცნობილია, ამჟამად დედაქალაქში 4000-ზე მეტი სამარშრუტო და 5000 მსუბუქი ტაქსი მოძრაობს. მათგან ადგილობრივ ბიუჯეტში წელიწადში, დაახლოებით, 80 ათასი ლარი შედის.

დავით სალარიძის მესამე კანონპროექტი კი კერძო საპენსიო ფონდების შექმნას ითვალისწინებს. კანონპროექტის თანახმად, კერძო საპენსიო ფონდების შექმნა შესაძლებელი ხდება ორგანიზაციებში, სადაც მომუშავე ადამიანებს შეეძლებათ, თავიანთი ხელფასის 30 პროცენტი (წელიწადში არა უმეტეს 1200 ლარისა) ფონდში მიმართონ. პენსიაზე გასვლის შემდეგ ეს ადამიანები თავიანთი ხელფასიდან დანაზოგ თანხას პენსიის სახით მიიღებენ.

როგორც ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა კომიტეტების გუშინდელ სხდომაზე აღნიშნა, დავით სალარიძის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტებს ფინანსთა სამინისტრო აუცილებლად განიხილავს, ზოგიერთ საკითხს კი მირიან გოგიაშვილი უკვე მხარდაჭერასაც უცხადებს.

რაც შეეხება 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტს, აღნიშნულმა კომიტეტებმა მისი მეორე მოსმენით განხილვა გასულ კვირას დაიწყეს. თუმცა, გუშინდელ სხდომაზე გაირკვა, რომ ფინანსთა სამინისტროს პარლამენტართა შენიშვნები ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული არ ჰქონდა. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა განაცხადა, სამინისტროს შეუძლია, მხოლოდ უარყოს ან დაეთანხმოს პარლამენტართა შენიშვნებს, მაგრამ ბიუჯეტის პროექტში ცვლილებებს ვერ შეიტანს, რადგან ამის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს აქვს.

ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი ოპტიმისტურადაა განწყობილი და დიდი იმედი აქვს, რომ დღევანდელ სესიაზე პარლამენტი 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტს დაამტკიცებს. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა სიორიძის განცხადებით, მისი და სალარიძის კომიტეტები კანონპროექტს მხარს დაუჭერენ.

## მსოფლიო ბანკმა საქართველოს დახმარება შეუკვეცა

პირველი გვერდიდან

მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის განცხადებით, ვიზიტის მიზანია საქართველოში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე 14 პროექტის შეფასება, სამომავლოდ გათვალისწინებული სამწლიანი დახმარების პროგრამის სტრატეგიის შემუშავება და სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის ეტაპების განხილვა. რაც შეეხება ქართული მხარის მუშაობის შეფასებას, მისივე სიტყვებით: **"სახელმწიფო ფინანსების არასწორი მართვის შედეგად, ისედაც მწირი სახელმწიფო რესურსები გამოიყენება არაეფექტურად და არამიზანშეწონილად. ასევე, ფერხდება სახელმწიფო სახსრების მართვისთვის საჭირო რესტრუქტურიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების აკრეფა შედარებით გაუმჯობესდა, საგადასახადო სისტემაში კვლავ არსებობს შემაშფოთებელი დარღვევები, რაც საფრთხის წინაშე აყენებს ზრდასა და მომავალი შემოსავლების მობილიზაციას.**

**საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ გამოყოფილი ფინანსური პაკეტი შემცირდა. ამდენად, აუცილებელია პროგრამის პრიორიტეტების დადგენა; 2001 წელს ქვეყნისთვის დახმარების სტრატეგიის განხილვისას, საერთაშორისო განვითარების ასოციაციის დაფინანსება შემდგომი სამწლიანი პერიოდისათვის 215 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა. თუმცა, დღეისათვის ეს თანხა მნიშვნელოვნად შემცირდა და საბაზისო სცენარით, 2004-2006 ფისკალურ წლებისათვის მხოლოდ 91 მილიონი აშშ დოლარია გათვალისწინებული. ასეთი მკვეთრი შემცირება განპირობებულია ორი გარემოებით: 1) თანხების გამოყოფის დროს ბანკის მმართველობა დიდ ყურადღებას აქცევს მმართველობის საკითხს და 2) გაუქმებულ იქნა აქამდე მოქმედი პრივილეგიები ევროპისა და ცენტრალური აზიის გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისათვის. ამ 91 მილიონი აშშ დოლარის ჩათვლით, 2004-2006 წლებისათვის დაგეგმილი საკრედიტო პაკეტის მოცულობამ შეადგინა 141 მილიონი აშშ დოლარი. შესაბამისად, ჩვენ უნდა შევამციროთ შემოთავაზებული სტრუქტურული გარდაქმნის კრედიტის (SAC) თანხა ან, შესაძლოა, შევკვეცოთ ან გადავდოთ სხვა კრედიტების გამოყოფა.**

**ოპტიმისტური სცენარი, რომელიც მოიცავს გაფართოებულ SAC-სა და/ან PRSC-ის, ასევე სახელმწიფო სექტორის რეფორმისა და კერძო სექტორის განვითარების კრედიტებს, იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუკი შენარჩუნდება მაკროეკონომიკური სტაბილურობა, 10 პროცენტზე დაბალი ინფლაცია და სავალუტო რეზერვების ზრდა; შენარჩუნდება ზრდა გადასახადების აკრეფაში, განსაკუთრებით - ნავთობპროდუქტებზე; ამაღლდება მთავრობის ანგარიშვალდებულება, რაც შეფასდება სხვადასხვა სახელმწიფო ანგარიშების ერთ მთლიან ხაზინაში გაერთიანებით და ვალდებულებებზე კონტროლის დაწესებით.**

**საქართველოში კორუფცია კვლავ ერთ-ერთ ძირითად პრობლემად რჩება. BEEPS-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2002 წელს, 1999 წელთან შედარებით, გაიზარდა იმ ფირმების რაოდენობა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ხშირად უწევთ ქრთამის გაღება."**



*რა უხარია სახელმწიფო მინისტრს?*

გოგიტა ბახსაძის ფოტო

პარასკევს, 31 იანვარს ამ საკითხებთან დაკავშირებით დაგეგმილია საგანგებო დისკუსია.

თემურ ბასილიას განცხადებით, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით ერთადერთი და, სერიოზული პრობლემა, რომელმაც, შესაძლებელია, დაფინანსებისა და შესაბამისად, პროექტების განხორციელების შეჩერება გამოიწვიოს, საქართველოს მხრიდან თანადაფინანსების პრობლემა გახლავთ. აქ კი კრიზისია. მართალია, 2003 წლის ბიუჯეტში თითქმის გაორმაგდა აღნიშნული თანხის ოდენობა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თემურ ბასილია აცხადებს, რომ მსოფლიო ბანკი თანადაფინანსების ყოველ ერთ ლარზე ოთხ ლარს გამოყოფს და არასწორია მსგავსი იაფი რესურსისათვის ბიუროკრატიული ბარიერების შექმნა. სწორედ ამ თანადაფინანსების გადაუხდელობამ გამოიწვია მსოფლიო ბანკის მიერ მიმდინარე 14 პროექტისათვის თანხის შემცირება.

სახელმწიფო მინისტრთან საუბრისას დონა დოუსეთ-კოიროლიმ განაცხადა, რომ მსოფლიო ბანკის მისიამ მაისის თვეში დირექტორთა საბჭოს უნდა წარუდგინოს საქართველოსათვის შემუშავებული სამწლიანი პროგრამა. მანამდე კი მნიშვნელოვანია მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის" განხილვა და მასში პრიორიტეტების განსაზღვრა. სახელმწიფო მინისტრის თქმით კი, ქვეყნისათვის ამ ეტაპზე, თუნდაც სიღარიბის დასაძლევად, უმთავრესია ენერგეტიკის ნორმალური ფუნქციონირება და პრიორიტეტულიც ეს სფერო უნდა გახდეს. როგორც ჩანს, ავთანდილ ჯორბენაძეს იგნასიო ირიბარენთან გუშინდელი დილის მძიმე შეხვედრის შთაბეჭდილება შუადღემდე გაჰყვა.

## „ეი-ი-ეს თელასი„ "რეპრესიებს" კონტრიერიშით პასუხობს

ნინო ნარჩემაშვილი

სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძისა და "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური მენეჯერის იგნასიო ირიბარენის ორშაბათის ტრადიციული შეხვედრა ამჯერად საკმაოდ მკვეთრი და მნიშვნელოვანი განცხადებების ფონზე გაიმართა.

ფინანსთა მინისტრის ლევან ჩრდილელის განცხადებით, სამინისტრომ, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ სამი მილიონ 316 ათასი ლარის დავალიანების გამო, ყადაღა დაადო "ეი-ი-ეს"-ის საბანკო ანგარიშებს. ასეთი დიდი ოდენობის თანხის დავალიანებას კატეგორიულად უარყოფს იგნასიო ირიბარენი და აცხადებს, რომ 10 იანვრისათვის ვალის ძირითადი ნაწილი გადახდილი იყო, დარჩენილი ერთი მილიონი ლარი კი უახლოეს მომავალში დაიფარება. რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს, იგნასიო ირიბარენი მოითხოვს, შეწყდეს "ეი-ი-ეს თელასის" მიმართ უსაფუძვლო ბრალდებები ფინანსური დანაკარგების მიზანმიმართულად ზრდის თაობაზე. "ეი-ი-ეს თელასის" მენეჯერი დაჟინებით ამტკიცებს, რომ კომპანია არ იტყუება თავისი კომერციული თუ ფინანსური ანგარიშების შესახებ. ირიბარენი აცხადებს, რომ, "ეი-ი-ეს"-ის საქართველოში შემოსვლიდან დღემდე, სახელმწიფო ბიუჯეტში 100 მილიონამდე ლარია გადარიცხული, ხოლო აქციონერებმა მხოლოდ მილიონნახევარი დოლარი მიიღეს. ეს ციფრები კი აშკარად მეტყველებს, ვინ უფრო მოგებულია. მისივე თქმით, "ეი-ი-ეს"-ის შემოსავლები იანვრის თვეში, შალვა ნათელაშვილის განცხადებების შემდეგ, უკიდურესად მცირეა და აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ თვითონ განსაზღვროს პრიორიტეტი: საით მიიმართოს კომპანიაში შემოსული თანხები – ბიუჯეტისკენ თუ ელექტროენერგიის წარმოებისათვის აუცილებელი რესურსების შესაძენად.

ამის შემდეგ ავთანდილ ჯორბენაძემ უკან დაიხია და ფინანსთა სამინისტროს ყადაღა მოახსნევინა. მისი განცხადებით, **"შექმნილი სიტუაციიდან ეს ერთადერთი გამოსავალი არ გახლავთ და "ეი-ი-ეს"-ის წარმატებული მუშაობა საქართველოს ინტერესებში შედის."** დღეისათვის მთავარ ამოცანას კი ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდება და გადასახადების მაქსიმალურად ამოღება წარმოადგენს.

ფინანსთა სამინისტრომ მოითხოვა, რომ "ეი-ი-ეს თელასს," კომერციული დანაკარგების შემთხვევაშიც, დაეკისროს დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდა. მაგრამ, იგნასიო ირიბარენის განცხადებით, ეს გამოიწვევს ფინანსურ ცვლილებებს, რომელიც პირდაპირ აისახება სამომხმარებლო ტარიფებზე, ანუ იგი კვლავ გაიზრდება.

## „იტერა" საქართველოს გაზს უძვირებს

### "თბილგაზს" დახმარებას ჰპირდებიან და თან აუქციონზე გააქვთ

*სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას ინფორმაციით, "იტერა" 1 თებერვლიდან ბუნებრივი აირის საფასურის გაზრდას აპირებს. როგორ აისახება ეს პროცესი საქართველოს გაზითა და ელექტროენერგიით მომარაგებაზე, ამას "ეი-ი-ეს მტკვრის" წარმომადგენლების მონაწილეობით რუსეთის დედაქალაქში გამართული მოლაპარაკებები გადაწყვეტს. ამასობაში თბილისის მერია დღეს "თბილგაზზე" ტენდერს აცხადებს. დედაქალაქის ხელისუფლები იმედოვნებენ, რომ, შედგენილი საკონკურსო პირობებით, ტენდერისთვის განკუთვნილ ერთი თვის ვადაში საკმაოდ სერიოზული კომპანიები დაინტერესდებიან.*

გვანცა კვინიკაძე
მაია ურუშაძე

თბილისის მერიამ გუშინ დაასრულა "იტერასთვის" დედაქალაქის მიერ დეკემბერში მოხმარებული ბუნებრივი აირის ექვს მილიონ ლარიანი დავალიანების გადახდა. ამისთვის მუნიციპალიტეტს კომერციულ ბანკ "რესპუბლიკიდან" ორი - 900-900 ათას დოლარიანი კრედიტის აღება მოუხდა. დანარჩენი თანხა, დაახლოებით ორი მილიონი ლარი, თავად "თბილგაზმა" დაფარა.

თბილისის საკრებულოს წევრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, მუნიციპალიტეტის მიერ აღებული პირველი კრედიტი – 900 ათასი დოლარი "იტერას" ანგარიშზე გასულ პარასკევს გადაირიცხა, მეორე, ანალოგიური მოცულობის თანხა კი – გუშინ.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლევან ჩრდილელის განცხადებით, "იტერასთან" ანგარიშსწორებაში "თბილგაზს" ცენტრალური ბიუჯეტის იმედიც შეუძლია ჰქონდეს: **"თუ მერია სამინისტროს დახმარებისთვის მიმართავს, ეს თხოვნა აუცილებლად დაკმაყოფილდება, რადგან თბილისის გაზით უზრუნველყოფა მთელი აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს."** 2003 წლის ბიუჯეტის პროექტში "თბილგაზისთვის," დაახლოებით, 4.5 მილიონი ლარია გათვალისწინებული, თუმცა მინისტრის მოადგილის თქმით, სავსებით შესაძლებელია დამატებითი წყაროების (მაგალითად – სარეზერვო ფონდის ხარჯზე) გამოძებნა.

მუდმივად გადახდა-ვერგადახდის ბალანსირების ფონზე, "თბილგაზზე" უკვე მეოთხედ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც საქართველოში რეგისტრირებულ, ასევე უცხოურ კომპანიებს. თბილისის საკრებულოს წევრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, სატენდერო პირობების თანახმად, "თბილგაზის" მომავალმა ინვესტორმა, რომელსაც კომპანია 10 წლით მართვაში გადაეცემა, უნდა აიღოს ვალდებულება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ტარიფი არ გაიზრდება და წარმოადგინოს გარანტია ბუნებრივი აირის უწყვეტ მოწოდებაზე "იტერასაგან". ინვესტორი ვალდებული იქნება, საქართველოს საზღვარზე უფრო იაფი ალტერნატიული ბუნებრივი აირის გაჩენის შემთხვევაში, სწორედ ის შეიძინოს. სატენდერო პირობებში არ დაკონკრეტებულა ინვესტიციების მოცულობა, რისი განხორციელებაც ინვესტორს მოეთხოვება.

"თბილგაზზე" ტენდერის გამოცხადებას საკმაოდ სკეპტიკურად აფასებს ნავთობპროდუქტების რეალიზატორთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია "ნავკოს" თავმჯდომარე გია ხუხაშვილი. მისი აზრით, ამ ტენდერის გამოცხადება საქართველოს ენერგოსექტორისადმი რუსული ინტერესების გაძლიერებას ემსახურება. **"შესაძლოა, თავიდან არც იაქტიუროს, მაგრამ საბოლოოდ "თბილგაზი" მაინც "იტერას" დარჩება. "თბილგაზში" ხელოვნურად არის ისეთი მდგომარეობა შექმნილი, რომ მისით არც ერთი სერიოზული ინვესტორი ეკონომიკური მოსაზრებების გამო არ დაინტერესდება,"** – აცხადებს ხუხაშვილი. იგი არ გამორიცხავს, რომ "თბილგაზზე" კონტროლის მოპოვებას, ერთ-ერთი ადგილობრივი ბიზნეს-ჯგუფის მეშვეობით, ბადრი პატარკაციშვილიც შეეცდება, რის შესახებაც გარკვეულმა ინფორმაციამ უკვე გაჟონა. მისი თქმით, ორივე შემთხვევაში საქმე საქართველოს სტრატეგიული ობიექტის რუსულ კაპიტალით შესყიდვას ეხება.

ბადრი პატარკაციშვილის "თბილგაზით" დაინტერესების შესახებ სამთავრობო კულუარებში ჯერ კიდევ მაშინ ალაპარაკდნენ, როდესაც ამ ბიზნესმენმა თბილისის მიერ მოხმარებული გაზის საფასური საკუთარი ჯიბიდან გაიღო. მაშინ მან მთელი თბილისის მიერ მოხმარებული გაზის თანხა სახელმწიფოს "განუსაზღვრელი ვადით" ასესხა. "24 საათის" ინფორმაციით, "თბილგაზის" მართვის უფლებით გასხვისებაზე საუბრისას, პატარკაციშვილის გვერდით ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ვანო ჩხარტიშვილის სახელიც იკვეთება.

თუმცა, პატარკაციშვილს სერიოზულ მეტოქეობას გაუწევს "იტერა", რომელსაც "გაზპრომი" უკვე აშკარად ავიწროებს. გაზის მრეწველობის რუსულმა გიგანტმა "იტერას" გაზის სატრანზიტო საფასურის წინასწარ გადახდა მოსთხოვა. "გაზპრომმა" უკვე განდევნა "იტერა" უკრაინის ბაზრიდან და 2003 წლიდან დსთ-ს სივრცის ყველაზე დიდი ქვეყნის ერთპიროვნული გაზმომმარაგებელი გახდა. საკუთარი გავლენის გაფართოებას "გაზპრომი" ბალტიისპირეთისა და კავკასიის რეგიონებშიც გეგმავს. "იტერასთან" დაპირისპირების გამწვავების პირველ სიგნალად "გაზპრომის" მიერ ჩეჩნეთის მონაკვეთზე სატრანზიტო ტარიფის გაზრდა იქცა. ამდენად, გავლენის სფეროს შენარჩუნებისთვის ბრძოლაში "იტერასთვის" უმნიშვნელოვანესია რეგიონში საკუთარი გაზგამანაწილებელი სისტემის არსებობა. ამ მიზნისთვის იდეალურად გამოდგება ქართველი ჩინოვნიკების მიერ საბოლოოდ "ჩამოფასებული" "თბილგაზი", რომელსაც პერმანენტულად უჩნდება ხოლმე "იტერას" დავალიანება.

ვინ გაიმარჯვებს "თბილგაზისათვის" ბრძოლაში - პატარკაციშვილი, "იტერა" თუ "გაზპრომი" - ამას დრო აჩვენებს. მანამდე კი ავარიების "დუპლეტი" ლარსის საბაჟოს მახლობლად, შესაძლოა, "გაზპრომის" საქართველოს გაზის ბაზრით დაინტერესებითაც იყოს გამოწვეული. ასეა თუ ისე, "გაზპრომი" კავკასიის ბაზრიდან "იტერას" ჩამოსაშორებლად "თბილგაზში" მწირი თანხების გადახდას არ დაიშურებს.

## ამერიკელ მებაჟეებს "ქართული სტილი" არ მოსწონთ

*საქართველოს საბაჟო სამსახურის რეფორმა გრძელდება. საბაჟო სისტემის რეორგანიზაციაში ამ დეპარტამენტს დახმარებას უწევენ ევროკომისია და აშშ-ს საბაჟო. როგორც ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა თორნბენ ჰოლცემ განმარტა, "ის საბაჟო სისტემა, რაც საქართველოს მემკვიდრეობით დარჩა, არ არის გამართული და შეცვლას საჭიროებს. ამიტომ ვცდილობთ, დაგეხმაროთ გაცილებით უფრო ეფექტური სისტემის შექმნაში." ამ თემას გუშინ ევროკომისიის წარმომადგენლობაში საგანგებო სემინარი მიეძღვნა.*

მაია ურუშაძე

"საქართველოს საბაჟო სამსახურის შესწავლა და საბაჟო პროცედურების განხორციელება" – ასე ჰქვია პროგრამას, რომლის განხორციელების შემდეგაც საქართველოს საბაჟო სისტემა ევროპულ სტანდარტს უნდა გაუთანაბრდეს. პროექტი 850 ათასი ევრო ღირს და მას ევროკომისია აფინანსებს. პროექტის ფარგლებში მუშაობა ორი მიმართულებით (საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და მენეჯმენტის გაუმჯობესება) მიმდინარეობს. პროექტი 2002 წლის 25 ოქტომბერს დაიწყო და კიდევ 15 თვეს გასტანს. 2003 წლის 27 ოქტომბრისათვის უკვე უნდა მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტიც.

ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი თორნბენ ჰოლცე მიიჩნევს, რომ რეფორმის შედეგად საქართველოს საბაჟო სამსახურის სრულიად ახალი, გაუმჯობესებული სისტემა ექნება. დღევანდელი საბაჟოს ძირითად პრობლემას ის თანამედროვე ტექნიკის ნაკლებობაში ხედავს: **"საჭიროა კომპიუტერიზაცია, რათა საქართველოს საბაჟო უფრო ცენტრალიზებული იყოს, ყველა ბრძანება და მითითება დროულად მიდიოდეს დანიშნულების ადგილზე და უკუკავშირიც არსებობდეს."**

როგორც საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ასლანიკაშვილმა განაცხადა, კონკრეტულ რეკომენდაციებზე მსჯელობა ნაადრევია. **"ჩვენ მხოლოდ გაწეული საქმიანობა შევაფასეთ. საბაჟო კანონმდებლობა, რაც შეიძლება, გამჭვირვალე უნდა იყოს."** ასლანიკაშვილის თქმით, საქართველოს დღევანდელი საბაჟო კანონმდებლობა განსხვავდება ევროპულისგან, მოქმედებს სხვა საბაჟო ტარიფები. **"დროა, შემუშავდეს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც ცვლილებების შეტანას ყოველწლიურად არ საჭიროებს,"** – მიიჩნევს ასლანიკაშვილი.

მოგვიანებით, ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა თორნბენ ჰოლცემ საქართველოს ფინანსთა მინისტრთან მირიან გოგიაშვილთან გადაინაცვლა და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში დასაფინანსებელი პროექტების შესახებ ესაუბრა. ხოლო ალეკო ასლანიკაშვილი, "საქართველოს საზღვრის განმტკიცებისა და განვითარების" ამერიკული პროგრამის დირექტორთან ჯეიმს კელისთან ერთად, სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს შეხვდა. საუბრის თემა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, წითელ ხიდზე თანამედროვე ტიპის საბაჟო და საკონტროლო-გამშვები პუნქტის მშენებლობა გახლდათ.

ამერიკული საბაჟოს მხრიდან ქართველი კოლეგების ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტი საქართველოში 1997 წლიდან ხორციელდება. როგორც საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვალერი ჩხეიძემ განმარტა, **"მსოფლიოს ყველა ქვეყნის სასაზღვრო გადასასვლელებზე ერთად დგანან მესაზღვრეები, მებაჟეები და ფიტოსანიტარული ინსპექციის მუშაკები."** სწორედ ამიტომ, პროექტი სასაზღვრო პუნქტების თანამედროვე სტილით მოწყობას, ახალი ტექნიკით აღჭურვასა და სასაზღვრო პუნქტებში მომუშავე პერსონალისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას ითვალისწინებს.

ამერიკული პროექტის დირექტორი ჯეიმს კელი მიიჩნევს, რომ **"მესაზღვრეებს წესიერი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ, თორემ პროფესიონალი კადრების შენარჩუნება გაჭირდება."** **"თუ შესაძლებელი იქნება,"** და ისიც **"წლის მეორე ნახევრიდან"** ჯორბენაძემ მას მესაზღვრეთათვის ხელფასების მატება აღუთქვა. მისი განცხადებით, **"სახელმწიფოს ამის საშუალება უკვე გააჩნია."**

**"ახლო მომავალში საქართველო-თურქეთის საზღვარზე, კარწახში კიდევ ერთი საბაჟო-გამშვები პუნქტი გაიხსნება,"** – განაცხადა ჯორბენაძემ და დასძინა, რომ, მისი გათვლებით, ახალი საბაჟო საქართველო-თურქეთს შორის ტვირთბრუნვას გაზრდის.

როგორც გაირკვა, ჯეიმს კელის პროექტით გათვალისწინებული ფონდების "ქართული სტილით" ხარჯვა არ მოსწონს. **"რაც უფრო ვითარდება პროექტი, მით მეტი თანხები მიდის ჩვენს მიერ გადმოცემული აპარატურის შესანახად თუ გასარემონტებლად. ჩვენი ფონდების დიდი ნაწილი აპარატურის შენარჩუნებაზე თუ წავა, პროექტით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები ვერ დაფინანსდება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა თავად უნდა გამოძებნოს თანხები ამ აპარატურის შესანახად,"** - დაუკონკრეტა კელიმ ჯორბენაძეს. გარდა ამისა, კელი დაინტერესდა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე არსებული მდგომარეობით, თუმცა კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო. როგორც გაირკვა, სადემარკაციო ხაზის ნახევარზე მეტი ჯერ კიდევ შეუთანხმებელია. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ვალერი ჩხეიძის ინფორმაციით, **"გაურკვეველია ლაგოდეხის რაიონისა და წითელი ხიდის, კიდევ რამდენიმე სხვა მონაკვეთის საკითხი. მოლაპარაკება მიმდინარეობს, მათ შორის, დიპლომატიური არხებით."** ქართველ მესაზღვრეებს უკვე აქვთ აზერბაიჯანული მხარის წინადადებები, რომელთა შეჯერებაზე საქართველოს სასაზღვრო უწყებაში მუშაობენ.

# ინსპექტორები ერაყიდან ხელცარიელნი დაბრუნდნენ



REUTERS

ჰანს ბლიქსი და მოჰამედ ელ-ბარადეი.

*გუშინ გაერო-ს ინსპექტორებმა უშიშროების საბჭოს თავიანთი საქმიანობის ანგარიში წარუდგინეს. ორთვიანი მუშაობისა და 350 ობიექტის ინსპექტირების შემდეგ, ინსპექტორებს არ შეუძლიათ, დარწმუნებით თქვან, აქვს თუ არა ერაყს აკრძალული იარაღი.*

შოთა უტიაშვილი

"მე ვერც იმას ვიტყვი, რომ ერაყს აქვს მასობრივი განადგურების იარაღი და ვერც იმას, რომ არა აქვს," – ასეთი დასკვნით წარუდგა უშიშროების საბჭოს გაერო-ს შეიარაღების ინსპექტორთა მისიის ხელმძღვანელი ჰანს ბლიქსი.

"ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ რაიმე ნიშანი იმისა, რომ ერაყმა აღადგინა ბირთვული პროგრამა," – განაცხადა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დირექტორმა მოჰამედ ელ-ბარადეიმ.

ბლიქსი და ბარადეი აცხადებენ, რომ საბოლოო პასუხის გასაცემად მათ კიდევ რამდენიმე თვის მუშაობა დასჭირდებათ.

ინსპექტორების "ნადავლი" შეადგენს ერთ-ერთი ერაყელი მეცნიერის სახლში ნაპოვნ რამდენიმე ათას გვერდიან მასალებს ბირთვული ფიზიკის სფეროდან, 14 ცარიელ სარაკეტო ქობინს, რომელშიც ადრე, სავარაუდოდ, ქიმიური იარაღი იყო მოთავსებული და დოკუმენტებს, რომლებიც მიუთითებს, რომ ერაყმა სანქციების პერიოდში შეიძინა სარაკეტო ძრავები და ქიმიური და ბიოლოგიური აგენტები. ასევე, ვარაუდობენ, რომ ერაყს შეიძლება ჰქონდეს სამხედრო მიზნებით გამოსადეგი გაზი - "ვი-ექსი" და ციმბირის წყლულის ბაცილა

ჰანს ბლიქსმა უშიშროების საბჭოს განუცხადა, რომ, მართალია, ერაყმა დაუბრკოლებლად დაუშვა ინსპექტორები ყველა მოთხოვნილ ობიექტზე, რომ, პრინციპში, ერაყი თანამშრომლობდა ინსპექტორებთან, მაგრამ ბაღდადმა საბოლოოდ მაინც ვერ შეიგნო, რომ განიარაღება მისთვის ერთადერთი გზაა.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ სადამ ჰუსეინი გადარჩა?

უშიშროების საბჭოს წევრები - რუსეთი, საფრანგეთი და ჩინეთი ამტკიცებენ, რომ ინსპექტორებს უნდა მიეცეთ დრო, რათა საბოლოო პასუხი გასცენ კითხვას, აქვს თუ არა ერაყს აკრძალული იარაღი. მათი თქმით, სწორედ მშვიდობიანი ინსპექცია, და არა ომი, არის ერაყის განიარაღების საუკეთესო გზა.

შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. მათი აზრით, 90-იან წლებში ერაყს ჰქონდა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად საჭირო მასალები. ბაღდადს არ უთქვამს გაერო-სათვის, რა ბედი ეწია ამ მასალებს. ერაყი სისტემატურად უმალავდა ინფორმაციას გაერო-ს ინსპექტორებს, შესაბამისად, მან დაარღვია უშიშროების საბჭოს 1441-ე რეზოლუცია, რომელიც მას განიარაღებას ავალდებულებდა.

თავად ერაყი ამტკიცებს, რომ მან გაერო-ს ყველა მოთხოვნა შეასრულა და საერთაშორისო თანამეგობრობას სთხოვს, "სისხლისმსმელი" ბუშისაგან დაიცვას.

ხვალ უშიშროების საბჭო ინსპექტორთა მოხსენების განხილვას დაიწყებს. ის ქვეყნები, რომლებიც ომის წინააღმდეგნი არიან, აცხადებენ, რომ განხილვის შემდეგ საგანგებო რეზოლუციის მიღება საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოდ ინსპექტირების გაგრძელება. უშიშროების საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარე - გერმანია 14 თებერვალს კიდევ ერთი განხილვის დანიშვნას მოითხოვს.

"სი-ენ-ენი" იუწყება, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა დაიწყო რეზოლუციის პროექტზე მუშაობა, რომლითაც, ფაქტობრივად, გაერო ომს უცხადებს ერაყს. კოლინ პაული კი აცხადებს, რომ, თუ საჭირო გახდა, ამერიკა, გაერო-ს რეზოლუციის გარეშე, მარტოც იომებს. მიმომხილველების აზრით, ომის ბედი 31 იანვარს, "ორი მთავარსარდლის" - ბუშისა და ბლერის შეხვედრისას შეიძლება გადაწყდეს.

"როიტერის" ცნობით, მიუხედავად აგრესიული რიტორიკისა, აშშ-მ მიიღო გადაწყვეტილება ომის დაწყების რამდენიმე კვირით გადადების შესახებ.

ერთი სიტყვით, ინსპექტორების მოხსენებამ ამ ძალზე ბუნდოვან ვითარებაში სინათლე ვერ შეიტანა. ომის მომხრეებმაც და მოწინააღმდეგეებმაც იგი თავის სასარგებლოდ გაიგეს.

# დღეს ისრაელში საყოველთაო არჩევნები ტარდება



არიელ შარონი და მისი მხარდამჭერები.

წინასწარი სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, საარჩევნო კამპანიაში პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი და მისი პარტია – ლიკუდი ლიდერობენ. არიელ შარონის პარტიას 120-ადგილიან პარლამენტში 32-33 ადგილის მოპოვებას უწინასწარმეტყველებენ. წინასწარი ვარაუდით, შრომის პარტია 18-19 ადგილს აიღებს, ხოლო ცენტრისტული შინუის (ცვლილება) პარტია, სავარაუდოდ, 15-16 საპარლამენტო მანდატს მოიპოვებს.

უნდა ითქვას, რომ არიელ შარონის მთელი წინასაარჩევნო კამპანია სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე იყო აქცენტირებული. 74 წლის არიელ შარონი პალესტინელებთან ყოველგვარი მოლაპარაკების დაწყებას გამორიცხავს, ვიდრე ისინი ტერორისტული აქტების განხორციელებას არ შეწყვეტენ. თავისი კამპანიის ბოლო ტურნე არიელ შარონმა ქალაქ ჰაიფაში ჩაატარა, რომლის მერიც შრომის პარტიის ლიდერი, 57 წლის ამრამ მიცნა მისი უმთავრესი კონკურენტია. **"მე შევძლებ ჩემი მოვალეობის შესრულებას, თუკი კნესეტში ძალაუფლება ჩვენ გვექნება,"** - განუცხადა შარონმა თავის მხარდამჭერებს. **"ექსტრემისტთა პოზიციები დაწყნარების უფლებას არ გვაძლევს. ამდენად, არსებობს მხოლოდ ერთი არჩევანი – ლიკუდი. სხვა პარტიის არჩევა არასტაბილურობას ნიშნავს, რაც კიდევ ერთ არჩევნებს მოასწავებს, ეს კი ჩვენ არ გვჭირდება იმ დროს, როცა ტერორისტები გვიტევენ,"** - დასძინა მან. აღსანიშნავია, რომ სწორედ ტერორისტულმა აქტებმა განაპირობა ისრაელის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის მემარჯვენე პოზიციებისკენ გადახრა. არიელ შარონი და ლიკუდის ლიდერები ამ არჩევნებში 40-მდე საპარლამენტო მანდატის მოპოვებას იმედოვნებენ. თუმცა, უმრავლესობის ფორმირებისათვის ეს საკმარისი არ არის. ამისათვის ლიკუდს, სხვა პარტიებთან ერთად, კოალიციის ფორმირება დასჭირდება. სწორედ ამიტომ, ჰაიფაში ამომრჩეველთა წინაშე გამოსვლისას, არიელ შარონმა თავის კონკურენტს, შრომის პარტიის ლიდერს კოალიციის შექმნა შესთავაზა. მაგრამ, მიცნა, რომელიც პალესტინელებთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყებას და პალესტინური ქალაქების დეოკუპაციას მოითხოვს, კოალიციის იდეას ამთავითვე უარყოფს.

თუმცა, ჯერ კოალიციებზე და ალიანსებზე საუბარი ნაადრევია. წინ არჩევნებია, რომლის შედეგებიც ხვალ გახდება ცნობილი. წინასაარჩევნოდ კი ისრაელის სამხედრო ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან.

ისრაელის სამხედრო დანაყოფებმა არჩევნების დასრულებამდე მთლიანად ჩაკეტეს პალესტინური ტერიტორიები. ისრაელის თავდაცვის მინისტრის შაულ მოფაზის განცხადებით, მათ მიიღეს უამრავი შეტყობინება მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ. სწორედ ამიტომაც ქუჩებში, პოლიციის დანაყოფებთან ერთად, სამხედრო რაზმებიც პატრულირებენ.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დღეს ისრაელში მსხვილი მასშტაბის ტერაქტები არ მოხდება, რადგან ყველა სპეცსამსახური ადგილზეა და კოორდინირებულად მოქმედებს. თუმცა, ექსცესებს მაინც არ გამორიცხავენ. ასევე წინასწარი ვარაუდით, არიელ შარონსა და ლიკუდის პარტიას გამარჯვება გარანტირებული აქვთ.

# და მაინც, ჩეჩნები ტერორისტები არ არიან

ასეთ დასკვნამდე მივიდა გუშინ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელმაც, უცხოური ტერორისტული ორგანიზაციების სიის მორიგი განხილვის დროს, მასში არც ერთი ჩეჩნური ორგანიზაცია არ შეიყვანა.

არადა, სულ რამდენიმე დღის წინ სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილე რიჩარდ არმიტიჯი რადიო "ეხო მოსკვისათვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, რომ დეპარტამენტი უკვე ჩეჩნური დაჯგუფებების ტერორისტულ ორგანიზაციებად გამოცხადების "იურიდიულ დეტალებზე" მუშაობდა.

დაჯგუფების შეტანა ტერორისტული ორგანიზაციების სიაში ნიშნავს იმას, რომ ამერიკის მოქალაქეებს ეკრძალებათ მისთვის ყოველგვარი დახმარების გაწევა, ხოლო ფინანსური დაწესებულებები ვალდებული არიან, ხელისუფლებას აცნობონ ამ ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული ფინანსური თუ სხვა სახსრების შესახებ.

ამჟამად სიაში 35 ტერორისტული ორგანიზაციაა. მათ შორის, პალესტინური, კოლუმბიური, ირლანდიური, ბასკური დაჯგუფებები, "ალ ქაიდა" და სხვები.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილების შესახებ, რუსული მასმედია ერთხმად ალაპარაკდა "ორმაგ სტანდარტებსა" და "ცივი ომის სტერეოტიპებზე". საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი იძულებული გახდა, ეღიარებინა: "ჩვენი დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ჩეჩნეთში მოქმედი დაჯგუფებები ამ სიაში შეეტანათ".

# მოსალოდნელი ომი, ტერორიზმი და რეკორდული სიღარიბე

## დავოსი ეკონომიკური აპოკალიფსის მოლოდინში

*პოლიტიკა ეკონომიკის გარეშე რომ არ არსებობს და პირიქით, ყველასთვის კარგად ცნობილი ჭეშმარიტებაა და ამას დავოსში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი მთელი სიცხადით ადასტურებს. ფორუმის ყველა მონაწილისათვის აშკარაა: მსოფლიო ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო ვითარების გამოსწორება ვერაფრით მოხერხდება, თუკი პოლიტიკას არ მოევლება. ყველაზე დიდ ყურადღებას კი, ცხადია, ერაყს უთმობენ. ფორუმზე მთავარი მოპასუხის როლში აშშ გამოდის, რომლის პოზიციაც ბაღდადთან დაკავშირებით მისი ბევრი ისტორიული მოკავშირისათვისაც კი მიუღებელია.*

თორნიკე შარაშენიძე



REUTERS

ბრაზილიის პრეზიდენტი ლუის იგნასიო ლულა და სილვა დავოსის ფორუმზე გამოსვლისას.

პრეზიდენტ ბუშის წარმომადგენლებმა უკვე საკმაოდ მოისმინეს კრიტიკული გამოსვლები. უპირველესად, აღსანიშნავი იყო თურქეთის მმართველი პარტიის ლიდერის რეჯებ ერდოგანის მიმართვა. მან გააკრიტიკა ის ქვეყნები, ცხადია, აშშ-ს ჩათვლით, რომლებიც თავად აწარმოებენ მასობრივი განადგურების იარაღს და სხვებს განიარაღებისაკენ მოუწოდებენ. ერდოგანის თქმით, თურქეთი სერიოზულად დაზარალდა ჯერ კიდევ 1991 წლის ომისაგან (ზარალმა 100 მილიარდი დოლარი შეადგინა) და ერაყის წინააღმდეგ კიდევ ერთ ომს იგი ვერანაირად ვერ მიესალმება. მით უმეტეს, რომ ქვეყანა ახლა სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს განიცდის და ომი ყველაფერს კიდევ უფრო გააუარესებს. ერდოგანმა შემთხვევით ისარგებლა და დამსწრეებს შეახსენა, როგორ ისწრაფვის თურქეთი ევროკავშირში შესასვლელად და როგორ უნდა იყოს დაინტერესებული საერთაშორისო თანამეგობრობა ამ საკითხის გადაჭრით, რადგან **"თურქეთი ევროპასა და აზიას შორის ხიდს წარმოადგენს".**

დაახლოებით იგივე შინაარსის განცხადებით გამოვიდა მალაიზიის პრემიერი მაჰათირ მოჰამედი. მისი აზრით, აშშ ბაღდადზე დარტყმით ვერ გადაჭრის ტერორიზმის პრობლემას და კიდევ უფრო გაზრდის ღარიბი სამყაროს აგრესიას დასავლეთის მიმართ. მაჰათირი ახლანდელ ვითარებას “მესამე მსოფლიო ომის” წინაპირობად აფასებს, რის გამოც მთელი მსოფლიო შიშით ელის მოვლენათა განვითარებას, ნავთობის ფასები კატასტროფულად იზრდება და ბირჟებზე პანიკას ბევრი აღარაფერი უკლია. მალაიზიას შვეიცარიამაც აუბა მხარი, რომლის წარმომადგენელმაც განაცხადა, რომ ძალის გამოყენება, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე, დაუშვებელია, რასაც ფორუმი მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდა.

ამერიკამ ამ გამოსვლებს შემდეგი არგუმენტი დაუპირისპირა: ვაშინგტონი მთელი მსოფლიოს უსაფრთხოებისა და კაცობრიობის უფლებათა დასაცავად იღწვის. ერაყი არ გახლავთ მხოლოდ ამერიკელ მოქალაქეთა პრობლემა. აშშ-ს გენერალური პროკურორის ჯონ ეშკროფტის თქმით, იგი არ არის დარწმუნებული, რომ პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების მცდელობები სასურველ შედეგს გამოიღებს და სამხედრო ჩარევა არ გახდება საჭირო.

ვაშინგტონის პოზიციის მხარდამჭერად შეიძლება აღვიქვათ ოპეკის გენერალური მდივნის აბდულა ალ ათიაჰის გამოსვლა. მან განაცხადა, რომ ნავთობთან დაკავშირებით პანიკის საფუძველი არ არსებობს და ომის დაწყებისა თუ ერაყიდან საწვავის ექსპორტის შეწყვეტის შემთხვევაშიც, ოპეკი შეძლებს ბაზარზე წარმოქმნილი დეფიციტის შევსებას. ალ ათიაჰის თქმით, დღეს ნავთობის ფასები ხელოვნურადაა გაბერილი და ამის უკან მხოლოდ **“ფსიქოლოგია დგას და არა ეკონომიკა.”**

წმინდა ეკონომიკურ საკითხებს ფორუმზე ევროპის წარმომადგენლები შეეხნენ. მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა ძველ კონტინენტზე არსებული ვითარების მიმართ. ფორუმზე გამომსვლელთა თქმით, ევროკავშირი, ეკონომიკურ განვითარებაზე მეტად, სტაბილურობაზე ზრუნავს და ამ ზედმეტმა სიფრთხილემ უკვე სავალალო შედეგები გამოიღო: ევროპული ეკონომიკა ამერიკულს სერიოზულად ჩამორჩება, კრიზისი სუფევს გერმანიაში, საფრანგეთი საბიუჯეტო პრობლემებს განიცდის. ყოველივე ამის შემხედვარე კი, ევროპის ცენტრალური ბანკი კვლავაც ინარჩუნებს საკმაოდ მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. დაახლოებით იგივე ვითარებაა ცალკეულ ქვეყანათა ცენტრალურ ბანკებშიც.

აღსანიშნავია, რომ ამ გამოსვლას ერთობ გაუმაგრა ზურგი ფორუმზე მოსულმა ცნობებმა: მსოფლიო შრომის ორგანიზაციის მონაცემებით, უმუშევართა რაოდენობამ პლანეტაზე სარეკორდო მაჩვენებელს – 180 მილიონს მიაღწია. ბოლო ორი წლის განმავლობაში უმუშევართა არმიის 20-მილიონიანი ზრდა მოხდა. უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არგენტინაშია – 22 პროცენტი. მთლიანად ლათინურ ამერიკაში კი ეს მაჩვენებელი 10 პროცენტია. მოკლედ, ამ რეგიონს ძალიან უჭირს და ის ამბავი, რომ არგენტინამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გარიგებას მიაღწია, დიდ შეღავათს ჯერ ვერ იძლევა. თუმცა, ლათინური ამერიკა აპირებს, თავისი ხმამაღალი სიტყვა თქვას ფორუმზე. ბრაზილიის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ლუის იგნასიო ლულა და სილვამ ფორუმზე შეკრებილ საზოგადოებას თავისი პოზიცია გააცნო: შექმნილ ვითარებაში არსებული უსამართლო სისტემაა დამნაშავე, რომლის გამოც სიმდიდრე არათანაბრად ნაწილდება. **“ჩვენ ღარიბები ვართ და ეს, ნაწილობრივ, მდიდარი ქვეყნების დამსახურებაცაა,** - განაცხადა ბრაზილიელ მემარცხენეთა ლიდერმა, რომლის გაპრეზიდენტებამაც თავის დროზე საფონდო ბირჟებზე გვარიანი პანიკა გამოიწვია, – **სისტემა უნდა შეიცვალოს.”** გარდა ამისა, მან დამსწრე საზოგადოებას სიღარიბესთან ბრძოლის მსოფლიო ფონდის შექმნა შესთავაზა.

# პუტინი უკრაინაში დსთ-ს სამიტის გახსნამდე ჩავიდა

გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი უკრაინის დედაქალაქს ეწვია. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში ის ორმხრივი ურთიერთობების გამყარებაზე იზრუნებს, ხოლო ოთხშაბათს კი მონაწილეობას მიიღებს დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა სამიტში, რომელიც არაოფიციალური ხასიათისაა და მას ზოგიერთი ქვეყნის ლიდერიც ვერ დაესწრება.

თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ ბატონი პუტინი პირდაპირ კარპატებში, პრეზიდენტ კუჩმას ზამთრის რეზიდენციაში გაემგზავრებოდა, სადაც დსთ-ს სამიტი ჩატარდება, მაგრამ ბოლო მომენტში რუსეთის პრეზიდენტის თვითმფრინავი ბორისპოლის საერთაშორისო აეროპორტში დაეშვა.

ოფიციალური ვერსიის თანახმად, რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტის მიზანს უკრაინაში რუსეთის წელიწადის გახსნის ცერემონიალზე დასწრება წარმოადგენდა, რომელიც გუშინ უკრაინის ეროვნულ სასახლეში გაიმართა. დღეს კი ნაკლებად საზეიმო და მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები დაიწყება. ორი ქვეყნის ლიდერების შეხვედრის უმთავრეს მიზნად ეკონომიკური პრობლემების განხილვა სახელდება.

უკრაინის პრეზიდენტი რუსეთ-უკრაინის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის ინიციტივით გამოდის. ვლადიმირ პუტინი კი აცხადებს, რომ ამ ნაბიჯისათვის მოსკოვი ჯერ მზად არ არის, რადგან ამან, შესაძლოა, რუსეთის საბიუჯეტო შემოსავლები იმსხვერპლოს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტებს მეგობრობისა და გულახდილობის პერიოდი უდგათ.

შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინ, მოსკოვში ყოფნის დროს, კუჩმამ რუსეთი უკრაინის ყველაზე მნიშვნელოვან და უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორად დაასახელა. ამ განცხადებით კი მისი რუსი კოლეგა აშკარად კმაყოფილი დარჩა. თუმცა, ამ გულახდილობისა და მეგობრობის მიუხედავად, კვლავ მოუგვარებელია ისეთი ორმხრივი პრობლემები, როგორებიცაა რუსეთ-უკრაინის საზღვრების დემარკაციის საკითხი, ნატოში უკრაინის შესაძლო გაწევრიანება, გაზსადენის ბედი და ა.შ. ყველაზე მეტად კი რუსეთს უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დამეგობრება აშფოთებს. 23 იანვარს კიევში რუსეთის ელჩმა ვიქტორ ჩერნომირდინმა განაცხადა, რომ მოსკოვს არ ესმის კიევის ნატო-ში გაწევრიანების სურვილი და ამ ნაბიჯში ვერავითარ აზრს ვერ ხედავს. **“ნატო-სთან ჩვენც ვთანამშრომლობთ, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია,”** - განაცხადა ჩერნომირდინმა.

დამკვირვებელთა ყურადღებას, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების გარდა, უკრაინაში დაგეგმილი დსთ-ს ნახევრადოფიციალური სამიტიც იმსახურებს, რომელიც მკაცრად განსაზღვრული დღის წესრიგის გარეშე ჩატარდება. სამიტი რაიმე დოკუმენტზე ხელის მოწერას არ ითვალისწინებს. უფრო მეტიც, მას არ დაესწრებიან შუა აზიის რესპუბლიკების ლიდერები: ნურსულთან ნაზარბაევი, ასკარ აკაევი და საფარმურად ნიაზოვი.

როგორც ცნობილი გახდა, სამიტზე “კავკასიის ოთხეულის” (რუსეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) შეხვედრაა დაგეგმილი, რომელზეც კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარების გზებზე ისაუბრებენ.

## ინფორმაცია

### მეტროპოლიტენის ახალი ბარათები და ძველი წესები

გუშინ ამოქმედდა მეტროპოლიტენით სარგებლობის ახალი კოდირებული ბარათები. შპს თბილისის „მეტროპოლიტენის" ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ ბარათების რაოდენობა წელს არ გაზრდილა და, როგორც შარშან, დაახლოებით, 50 ათასი ცალი დაიბეჭდა.

ბარათებით სარგებლობის უფლება აქვთ დევნილებს, ლტოლვილებს, ომის მონაწილეებს და ვეტერანებს, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების წევრებს. მოსახლეობის ამ კატეგორიებს ბარათები უფასოდ ეძლევათ, ხოლო ბარათების ღირებულებას სახელმწიფო ბიუჯეტი ანაზღაურებს.

მეტროპოლიტენის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ მოსახლეობის სხვა კატეგორიებისთვის ეს ბარათები გათვალისწინებული არ არის, ამიტომაც ისინი თავისუფლად არ იყიდება. ბარათების გაცემის პრაქტიკამ, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მოქმედებდა, არ გაამართლა და მეტროპოლიტენისთვის წამგებიანი აღმოჩნდა. „შეღავათიანი" კატეგორიის მოსახლეობისთვის წლიური ბარათი, როგორც შარშან, 144 ლარი ღირს და დღეში ორ მგზავრობაზეა გათვლილი.

მეტროპოლიტენის ადმინისტრაციაში არ გამორიცხავენ გაყალბების ალბათობას, მაგრამ აცხადებენ, რომ ყალბი ბარათებით სარგებლობა შეუძლებელია, რადგან ბარათები კოდირებულია - საგანგებოდ საზღვარგარეთაა დაბეჭდილი. **მედია ნიუსი**

### ქალაქი უფრო ბინძურდება

გასული კვირის განმავლობაში თბილისში დაბინძურების 94 წერტილი დააფიქსირეს. სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ინფორმაციით, ეს მოსახლეობის უპასუხისმგებლობისა და რაიონების სპეცავტომეურნეობების ცუდი მუშაობის შედეგია.

ამავე პერიოდში ინსპექტორებმა საცხოვრებელ კორპუსებთან აღმოაჩინეს 49 დაუცლელი ნაგვის ბუნკერი და ქუჩის 45 დაუცლელი კონტეინერი.

რეიდების დროს გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაცია გადაეცა კეთილმოწყობის სამსახურს და სპეცავტომეურნეობებს, მაგრამ კვირის ბოლომდე მდგომარეობა მხოლოდ 41 წერტილზე გამოსწორდა.

ინსპექციაში აცხადებენ, რომ სამსახურები, რომლებიც ვერ ასრულებენ გასუფთავებასთან დაკავშირებულ მოვალეობებს, ჯარიმას იხდიან, მაგრამ ეს მეთოდი ნაკლებად ეფექტურია, რადგან ახალი წლის შემდეგ დედაქალაქის დაბინძურება ყოველკვირეულად მატულობს. **მედია ნიუსი**

### თბილისში სასმელი წყალი საიმედოა

გასული კვირის განმავლობაში სასმელი წყლის ხარისხზე დარღვევები არ ყოფილა. სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის მოადგილის, ივანე ხელაშვილის ცნობით, ამ პერიოდში ლაბორატორიულად გამოიკვლიეს წყალგამანაწილებელი ქსელის სათავო ნაგებობებიდან და საკონტროლო წერტილებიდან აღებული წყლის 59 სინჯი.

ამავე პერიოდში დედაქალაქში დაფიქსირდა წყალსადენის 51 და საკანალიზაციო სისტემის 69 დაზიანების ფაქტი. ინსპექციის ცნობით, დაზიანებების შესახებ ინფორმაცია გადაეცა შპს „თბილწყალკანალს" და დღეისთვის ყველა მათგანი აღდგენილია.

თბილისში სასმელი წყლის ხარისხის დარღვევები იშვიათად ფიქსირდება, რადგან დაზიანების შეკეთების შემდეგ მილების გამორეცხვა ხდება. შარშან წლის განმავლობაში სასმელი წყლის ხარისხის დარღვევის 10 ფაქტი გამოავლინეს. **მედია ნიუსი**

### რატომ ყოფილა დროშა შინდისფერი

ეროვნული უშიშროების საბჭოს ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორი, ისტორიკოსი ჰენრი კუპრაშვილი საქართველოს დღევანდელ სახელმწიფო დროშას 1867-1919 წლების კაიზერული გერმანიის დროშის პოლიტიკურ ანარეკლად მიიჩნევს, რომელმაც, მისი თქმით, საქართველოს მიერ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და გადარჩენაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ჰენრი კუპრაშვილი ამ არგუმენტით ხსნის საქართველოს ეროვნული დროშის ზედა ნაწილზე ქვესკნელის, სიბნელისა და გლოვის სიმბოლოს, შავი ფერის ზოლის არსებობას და აცხადებს, რომ კაიზერული გერმანიის იმპერიის სამფეროვან დროშას სწორედ შავი, თეთრი და წითელი ფერებისაგან შემდგარი სამი თანაბარი ჰორიზონტალური ზოლი ამშვენებდა.

როგორც ჰენრი კუპრაშვილმა თქვა, საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო დროშის წარმოშობას საფუძვლად დაედო საგარეო პოლიტიკური სარჩული. კერძოდ, 1917 წლის რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთ-ოსმალეთის ფრონტი მოიშალა და რუსეთის ჯარმა ამიერკავკასია დატოვა. საქართველოს დიპლომატიამ ორიენტაცია გერმანიაზე აიღო, რაც დროშაზეც აისახა.

დროშაზე შინდისფერის სიჭარბეს ისტორიკოსი ჰენრი კუპრაშვილი იმჟამინდელ ქართულ პოლიტიკაში მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიძლიერით ხსნის.

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის წევრი, ჰენრი კუპრაშვილი დროშასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ დებატებში ჩართვას არ აპირებს, თუმცა მიაჩნია, რომ დღევანდელი შინდისფერი დროშა ქვეყნის პროდასავლური ორიენტაციის მაჩვენებელია, ხოლო ხუთჯვრიანი დროშა - ზოგადად, ქრისტიანობის გამომხატველი. **მედია ნიუსი**

### ქართველები მაწანწალა ბავშვებზე ზრუნვას გერმანელებისგან ისწავლიან

თბილისის მერიის ოფიციალური დელეგაცია, პრემიერ გია შერაძის ხელმძღვანელობით, დღეს სამუშაო ვიზიტით თბილისთან დამეგობრებულ ქალაქ საარბრიუკენში გაემგზავრება.

როგორც მერიის საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურის დამეგობრებულ ქალაქებთან ურთიერთობის მთავარმა სპეციალისტმა, რიმა ზაზაშვილმა განაცხადა, გამოცდილების გაზიარების და სამომავლო გეგმების შემუშავების მიზნით, თბილისის დელეგაციის წარმომადგენლები საარბრიუკენელ კოლეგებს შეხვდებიან. შეხვედრებისას განიხილება გარემოს დაცვის, ნარჩენების დასუფთავების კონცეფციის, ახალგაზრდობის, კერძოდ - მაწანწალა ბავშვების და სოციალური სფეროში არსებული სხვა პრობლემები. მერიის დელეგაცია თბილისში ერთ კვირაში დაბრუნდება. **მედია ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ოპერატიული პროგნოზირების სამსახურის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში, მათ შორის, თებერვლის დასაწყისში თბილისში ჰაერის საშუალო ტემპერატურა მრავალწლიურ საშუალო მაჩვენებელს მიუახლოვდება და +1 +2 გრადუსს შეადგენს. თვის პირველ დეკადაში მოსალოდნელია ღამით ჰაერის ტემპერატურის - 8 გრადუსამდე დაწევა. ცალკეულ დღეებში კი ჰაერის ტემპერატურა +12 გრადუსამდეც გათბება. ნალექების რაოდენობას თებერვალში ნორმაზე ნაკლებს მოელიან. **მედია ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი მოსმენით მიღების შემდეგ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ პოზიციები დათმო და მეორე მოსმენით განხილვის წინ მზად არის, მაღალმთიან რეგიონებში დასაქმებულთათვის ხელფასებზე დანამატები გასცეს, თუმცა - კანონით გათვალისწინებულზე ორჯერ ნაკლები ოდენობით.

როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ვასილ გიგოლაშვილმა განაცხადა, მოქმედი კანონის თანახმად, თითოეული დასაქმებულისთვის ხელფასზე 50-პროცენტიანი დანამატი უნდა გაიცეს, თუმცა 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მხოლოდ 20-პროცენტიანი დანამატის გაცემის საშუალებას იძლევა, ისიც - 1 სექტემბრიდან. 50-პროცენტიან ზღვრამდე ასვლას კი ფინანსთა სამინისტრო ეტაპობრივად, 2005 წლამდე ვარაუდობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერია სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის თბილისის მერიის დაქვემდებარებაში გადმოცემას მოითხოვს. როგორც დღეს მერიაში გამართულ თათბირზე თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ განაცხადა, პენსიონერებისთვის კუთვნილი პენსიების დროულად მიღების პრობლემის მოსაგვარებლად საპენსიო ფონდის მერიის დაქვემდებარებაში გადასვლა სავალდებულოა. "პენსიების დროული დარიგების პრობლემა მხოლოდ ამ გზით თუ მოგვარდება", - განაცხადა ზოდელავამ და აღშფოთება გამოთქვა გასული წლის დეკემბრის პენსიების გაცემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ დეკემბრის პენსიები სრულად ჯერჯერობით არ გაცემულა და, სავარაუდოდ, ეს პროცესი 25 იანვრისთვის უნდა დასრულდეს. "ასეთი რამ ჩემი მერად ყოფნის პერიოდში არასოდეს ყოფილა", - განაცხადა ამ ფაქტით აღშფოთებულმა თბილისის მერმა და პენსიების დროულად დარიგების პრობლემის მოგვარება დაუყოვნებლივ მოითხოვა. **კავკას პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის დახურულ რადიოსადგურ "ძველი ქალაქის" მსმენელების ერთი ნაწილი აპროტესტებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც "ძველ ქალაქს" მაუწყებლობა დროებით აეკრძალა. ამგვარი გადაწყვეტილება სასამართლომ ქუთაისის მოსახლეობის ნაწილის მიერ სამი დღის წინ შეტანილი სარჩელის საფუძველზე მიიღო. მოსახლეობის ამ ნაწილის აზრით, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში აღმართული რადიოგადამცემი იქ მცხოვრებთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. სასამართლომ ამ საკითხის შესწავლამდე რადიოსადგურს გადაცემების შეწყვეტა დააკისრა. რადიოსადგურის იურისტებმა შესაგებელი სარჩელი უკვე დაწერეს და დღესვე მას სასამართლოს წარუდგენენ. "სასამართლოს არანაირი მტკიცებულება არ ჰქონდა, რომ ასეთი დასკვნა გამოეტანა და მაუწყებლობა შეეჩერებინა", - აღნიშნულია სარჩელში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზესტაფონი.** მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა წმინდა ბარბარეს სახელობის პანსიონატში ინვალიდმა ქალმა გუშინ ორი გაყინული ახალშობილი მიიყვანა. ოთხი დღის გოგონას გადარჩენა ველარ მოხერხდა, რვა დღის ბიჭი კი რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ჩვილების მიმყვანი ქალბატონის განცხადებით, ბავშვები მან თერჯოლის რაიონის ინვალიდთა სახლიდან გადარჩენის მიზნით წამოიყვანა. როგორც თერჯოლის ინვალიდთა სახლის დირექტორმა, კობა თურქაძემ განაცხადა, იგი არ ფლობდა ინფორმაციას სახლის მობინადრეების ფეხმძიმობის შესახებ და ჩვილებს სათანადო ყურადღება ამის გამო ვერ მიაქცია. მომხდართან დაკავშირებით თერჯოლის ინვალიდთა სახლში არსებული მდგომარეობით თერჯოლის რაიონის პროკურატურა დაინტერესდა. **ინტერ-პრესი**

# თებერვალი დადგებაო, ქსელში გაზი აღდგებაო

## დედაქალაქის გაზით მომარაგების სრული აღდგენა, სავარაუდოდ, 10 თებერვლამდე დასრულდება

*დღეს დილიდან ბუნებრივი აირის მიწოდება ერთდროულად დედაქალაქის რამდენიმე უბანს უნდა აღუდგეს, მათ შორის, სამგორისა და კრწანისის რაიონებს. საბურთალოს, ისნის, დიდუბის, ჩუღურეთისა და ნაძალადევის რაიონების ერთი ნაწილის გაზმომარაგება დღესაც გაგრძელდება. "თბილგაზში" აცხადებენ, რომ ბუნებრივ აირს ყველაზე ბოლოს თბილისის ცენტრალური უბნები მიიღებენ. დედაქალაქის ეტაპობრივი დატვირთვა ორ კვირაში დასრულდება.*

ეთერ მამულაშვილი

სოფელ ლარსის მახლობლად მომხდარი ავარიიდან მეთოთხმეტე დღეს ბუნებრივი აირი პირველად გლდანის რაიონის მოსახლეობამ მიიღო. გუშინ გაზის მიწოდება განუახლდა საბურთალოს, ნაძალადევის, ისნისა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის მცირე ნაწილს.

დღეისთვის დედაქალაქში ბუნებრივი აირი ნავთლუღის, გაჩიანისა და გლდანის გაზგამანაწილებელი სადგურებიდან შემოდის, რაც რამდენიმე უბნის ერთდროულად ჩართვის საშუალებას იძლევა. ბუნებრივი აირის ამგვარი სქემით განაწილება, ძირითადად, გაზის მიმართულების თანხვედრი დასახლებების მიხედვით ხდება.

"თბილგაზში" აცხადებენ, რომ იმ უბნებს, სადაც ბუნებრივ აირზე დავალიანება ოთხმოცი პროცენტი და მეტია, გაზის მიწოდება მხოლოდ დავალიანების დაფარვის შემდეგ აღუდგებათ. ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა ამბობს, რომ იმ საცხოვრებელ კორპუსებს, რომელთა გადახდისუნარიანობა პროცენტულად დაბალია, გაზი მიეწოდება მხოლოდ დავალიანების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემდეგ.

"თბილგაზის" ცნობით, დედაქალაქის გაზით მომარაგების სრული აღდგენა, სავარაუდოდ, 10 თებერვლამდე დასრულდება.

ბუნებრივი აირის კვლავ შეწყვეტის საშიშროება თბილისელებს თებერვლის ბოლომდე აღარ ემუქრებათ. დივერსიის გამეორებას თუ გამოვრიცხავთ, დედაქალაქს გაზის მიწოდება მხოლოდ გადაუხდელობის შემთხვევაში შეიძლება შეუწყდეს.

"თბილგაზს" იანვარში მოხმარებული გაზის საფასური "იტერასთვის" 15 თებერვლამდე უნდა გადაეხადა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ორკვირიანი გათიშვის გამო, ეს ვადა თებერვლის ბოლომდე გადაიწევს.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პირველი თებერვლიდან "იტერა" ბუნებრივი აირის ღირებულებას აძვირებს. ამის შესახებ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს, დავით მირცხულავას, გუშინ, დილით, მოსკოვიდან ტელეფონით აცნობეს. დაუზუსტებელ ინფორმაციას ფლობენ "იტერას" საქართველოს წარმომადგენლობაში. საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი თემურ გაჯიევი აცხადებს, რომ ბუნებრივი აირის ღირებულება "იტერამ", შეიძლება, მართლაც, გაზარდოს, მაგრამ ეს მოსახლეობას არ შეეხება.

# ახალციხელი მიწათმფლობელები მენავთობეების კომპენსაციებს დასჭერდნენ

სოფიკო ოხანაშვილი

*გუშინ ახალციხის რაიონში 15, ბორჯომში 10 და ბაკურიანში, დაახლოებით, ამდენივე მცხოვრებმა, მათ მფლობელობაში არსებული მიწისა და ქონების სანაცვლოდ, კომპენსაცია მიიღო. მესაკუთრეებთან ხელშეკრულების გაფორმება და თანხის გაცემა "საქართველოს ბანკის" ადგილობრივ ფილიალებში წარიმართა. ჟურნალისტების გამოჩენამ განსაკუთრებული დისკომფორტი შეუქმნა ხელშეკრულების გაფორმების პროცედურაზე დასასწრებად სპეციალურად ჩამოსულ "ბრიტიშ პეტროლიუმის" წარმომადგენლებს. ბრიტანული ნავთობკომპანიის წევრები, რატომღაც, ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ მესაკუთრეები და ჟურნალისტები ერთმანეთს "შემთხვევით" არ შეხვედროდნენ. ამიტომ ხელშეკრულების გასაფორმებლად მისული მესაკუთრეები BP-იმ "უკანა კარიდან" გააპარა.*



ხელშეკრულების გაფორმება

BP-ის მცდელობის მიუხედავად, მასმედიის წარმომადგენლებმა რამდენიმე მესაკუთრესთან გასაუბრება მაინც მოახერხეს. მოსახლეობის ეს ნაწილი შეთავაზებული კომპენსაციითა და BP-ისთან ურთიერთობით კმაყოფილია. მოსარგებლეები აცხადებენ, რომ მათთან მოლაპარაკება, რომელსაც BP-ის მიერ დაქირავებული "მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია" ახორციელებდა, ყველა ნორმის დაცვით წარიმართა. გუშინ საკომპენსაციო თანხა, ძირითადად, ახალციხის რაიონის სოფელ კლდის მოსახლეობას დაურიგდა.

უკმაყოფილოა ახალციხის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც კომპენსაციის გარეშე დარჩა. მათი მთავარი მოთხოვნაა, სახელმწიფოსგან შესყიდული საძოვრების სანაცვლოდ, BP-იმ იმ მოსახლეობას, რომელიც ამ საძოვრებით სარგებლობდა და ყოველწლიურად გადასახადსაც იხდიდა, გარკვეული კომპენსაცია გადაუხადოს. ამ მოთხოვნით რამდენიმე ათეული ადამიანი გუშინ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატთან შეიკრიბა, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება, BP-ისა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლები შინაგან საქმეთა მინისტრს ელოდნენ. **"თითო სულ საქონელზე წელიწადში 4-6 ლარს ვიხდით. ვიცით, რომ, რადგან ჩვენს კერძო ნაკვეთებზე არ გაიარა ამ მილსადენმა, თანხაც არ გვეკუთვნის. მაგრამ საძოვარს რომ გვისპობენ, ამისთვის მაინც უნდა გადაგვიხადონ რაღაც"**, - თანასოფლელების სახელით განაცხადა სოფელ საყუნეთის ერთ-ერთმა მკვიდრმა. მეორე სერიოზული პრობლემა, რომელმაც ახალციხის რაიონში იჩინა თავი, მიწის გადასახადების დავალიანებაა, რომელმაც 90 ათასი ლარი შეადგინა. ახალციხის გამგებლის რაგული სამსონიძის თქმით, გამგეობა გაურკვეველ მდგომარეობაშია. მათთვის არ არის ცნობილი, თუ ვინ გადაიხდის ასეთ სერიოზულ დავალიანებას - მესაკუთრე, რომელმაც კომპენსაცია მიიღო თუ მიწების ახალი მფლობელი. ამ პრობლემას მარტივი ახსნა მოუძებნა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პროექტების მართვის სამსახურის მენეჯერმა ირაკლი ქელბაქიანმა: **"კომპენსაციებში გათვალისწინებული იქნება მიწის გადასახადის დავალიანება. მესაკუთრისთვის გადასაცემი საბოლოო თანხის გამოთვლაც სწორედ ამის მიხედვით მოხდება".**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის უსაფრთხოებას სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცსამსახურები ერთად უზრუნველყოფენ. შესაბამის ბრძანებას შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელი გუშინ მოაწერა. ნარჩემაშვილის თქმით, სოლიდური საკომპენსაციო თანხები კრიმინალური სამყაროს ინტერესებსაც გამოიწვევს, ამიტომ აუცილებელია, მშენებლობის უსაფრთხოების დასაცავად პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება და იმ მესაკუთრეების უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა, რომლებიც კომპენსაციებს მიიღებენ.

შემუშავებული მარშრუტის თანახმად, ახალციხეში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენებმა 600-მდე კერძო მფლობელის მიწაზე უნდა გაიაროს. კომპენსაციის გაცემა თანდათანობით მოხდება. "საქართველოს ბანკის" ახალციხის ფილიალი დღეში, საშუალოდ, 10-15 მესაკუთრეს მოემსახურება. დაახლოებით იმავე რაოდენობის მესაკუთრეებს მოემსახურებიან ბორჯომშიც, სადაც მილსადენები 48- კილომეტრიან მონაკვეთზე გაივლის და საბოლოო ჯამში, კომპენსაციას 450 მოსარგებლე მიიღებს.

# სამი ლარი და ქვეყნის პრობლემები

## "ორ-სამ დღეში ვიტყვი, როგორ იპარავენ ფულს ქალაქის ბიუჯეტიდან", - ამბობს ლევან გაჩეჩილაძე

*ქალაქის ბიუჯეტის შესახებ სასაუბროდ გუდაურში ასული თბილისის მთავრობა და საკრებულო უკან რამდენიმე ინიციატივის განხორციელების პირობით დაბრუნდა. 2003 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, დედაქალაქმა სახელმძღვანელოები უნდა შეუძინოს ყველა პირველკლასელს, რომელიც სკოლაში პირველი სექტემბრისთვის შევა, 50-50 ლარი უნდა გამოყოს ყველა ახალდაბადებულისთვის და თბილისელების პენსია 17 ლარამდე უნდა გაზარდოს. ზემოჩამოთვლილიდან აზრთა სხვადასხვაობას მხოლოდ უკანასკნელი იწვევს. ცენტრალურ ხელისუფლებაში და თავად საკრებულოში მიიჩნევენ, რომ ეს პოპულიზმია.*

მაკა ჭაიანი

სამივე ინიციატივის ავტორად "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი" გვევლინება. მის წევრებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ დედაქალაქის მოსახლეობას პირობას შეუსრულებენ. ისინი გაცილებით შორსაც უმიზნებენ. **"ამ პროექტის განხორციელებას სულ 3 მილიონი ლარი სჭირდება. ქალაქის ბიუჯეტში არის ბევრი არარაციონალური ხარჯი, რომლის ამოღება მნიშვნელოვან რეზერვს მოგვცემს. გარდა ამისა, თბილისს შეუძლია სერიოზული თანხები მიიღოს, თუკი ბიუჯეტში მიმართავს იმ მოსაკრებლებს, რომელთა ძირითადი ნაწილი დღეს რამდენიმე ადამიანის ჯიბეში მიდის. ეს მოგვცემს არსებულ პენსიაზე 3 ლარის დამატების საშუალებას. იმედი გვაქვს, მომავალ წელს დედაქალაქს აღარ დასჭირდება მსგავსი პროგრამის განხორციელება, რადგან მთავრობას ეყოფა სინდისი, პენსია იმ დონემდე აიყვანოს, რა დონეც 1997 წელს ჰქონდა. მაშინ 13-ლარი 11 დოლარის ეკვივალენტი იყო, დღევანდელი 14 ლარი კი 5 დოლარს უდრის. ჩვენ სხვა იმედიც გვაქვს. იმის იმედი, რომ 2004 წლის ბიუჯეტს ის პარლამენტი დაამტკიცებს, რომელშიც გადამწყვეტი ხმები ჩვენი იქნება"**, - აცხადებს საკრებულოს წევრი, "ნაციონალი" რომან გოცირიძე.

ბიუჯეტიდან ამოსაღები ხარჯების ადრესატების დასახელებისგან საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში თავს იკავებენ, თუმცა წელს რომ ხელგაშლით აღარ დაფინანსდება თბილისის კეთილმოწყობის სამუშაოები და რიგი სხვა ღონისძიებები, დასკვნის გაკეთება ზოგადი საუბრითაც შეიძლება. კომისიის ხელმძღვანელი, კობა ბექაური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნალურ სფეროს პრობლემები არ შეექმნება, დედაქალაქს კი პრიორიტეტების დაფინანსების საშუალება მიეცემა. **"დიდი რეზერვი გვაქვს სათამაშო ბიზნესის, ვაჭრობისა და ავტოსადგომების მოსაკრებლების სახითაც. შარშან ავტოსადგომების გადასახადი, მთელი თბილისის მასშტაბით, მხოლოდ 600 ათას ლარს შეადგენდა, არადა ორჯერ, სამჯერ მეტის ამოღება შეიძლება იქიდან. ეს წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებულია"**, - ამბობს კობა ბექაური. იგი კიდევ ერთ რეზერვზე საუბრობს. საქმე ქონების გადაცემისთვის დაწესებულ ორპროცენტიან გადასახადს ეხება. კომისიაში მზადდება პროექტი, რომელმაც 40-ათას დოლარიანი სახლების 10 ათას ლარად შეფასებისა და გადაფორმების პრაქტიკა უნდა მოსპოს.

სახლების შეფასება-გადაფორმებაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ კაზინოებიდან, გარემოვაჭრეებიდან და ავტოსადგომებიდან მოსაკრებლის სრულად ამოღების შესაძლებლობას თბილისის საკრებულოს წევრები დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ. ახლა იგივე თემაზე საუბრისას საკრებულოში აცხადებენ, რომ არ არის გამორიცხული, ცენტრალური ხელისუფლებისგან ქალაქის საგადასახადო სამსახურის კონტროლის უფლება მოითხოვონ. მოტივი ასეთია: თბილისის წილი ცენტრალურ ბიუჯეტში 60 პროცენტს უტოლდება, ქალაქს კი უამრავი პრობლემა აქვს გადაუჭრელი; ბიუჯეტმა ან შესაბამისი დაფინანსება უნდა დაგვიტოვოს, ან საგადასახადო სამსახურის კონტროლის უფლება უნდა მოგვცეს. ამ ულტიმატუმით კომისია ფინანსთა მინისტრის წინაშე აპირებს წარდგომას. თუმცა, იქამდე ვითარება საკრებულოს შიგნით იქნება გასარკვევი. საკრებულოს ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი, ლევან გაჩეჩილაძე, რომელსაც "24 საათი" ლონდონში დაუკავშირდა, თითქმის, დარწმუნებულია, რომ ძირითადი პარამეტრები თბილისის წლევანდელ ბიუჯეტში არ შეცვლილა.

**"არ ვიცი, რის ხარჯზე ადიდებენ პენსიას. ჩემს ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციით, ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები შეცვლილი არ გახლავთ. თუ საკითხს პროფესიულად არ მივუდგებით, დაფინანსების წყაროს ზუსტად არ მივუთითებთ, უფასო სასწრაფო დახმარებისა არ იყოს, ყველაფერი პოპულიზმად იქცევა. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს მე ვაპირებ, იმ პრინციპების პრეზენტაცია გავაკეთო, რომლის გათვალისწინებაც ბიუჯეტის კორუფციულობას მოუღებს ბოლოს. ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ ეს დოკუმენტი და ორ-სამ დღეში იმასაც ვიტყვი, როგორ იპარავენ ფულს ქალაქის ბიუჯეტიდან. თუ ჩვენი პრინციპები გაზიარებული იქნა, არა მარტო პენსიების, ყველაფრის მომატება შეიძლება"**, - დარწმუნებულია ლევან გაჩეჩილაძე.

თბილისის საკრებულოში აცხადებენ, რომ პენსიაზე დაწესებული დამატების გაცემა დედაქალაქში ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე, სავარაუდოდ, მარტიდან დაიწყება. მისი წარმომადგენლების განცხადებითვე, თანამდებობიდან გაათავისუფლებენ ყველას, ვინც მოსაკრებლების გაზრდილ გეგმას არ შეასრულებს და ქალაქის პარლამენტის პირობას კითხვის ქვეშ დააყენებს. აცხადებენ იმასაც, რომ პენსიაზე დანამატის ათვლა მარტიდან დაიწყება და გასული - იანვრისა და თებერვლის თვეები მასში გათვალისწინებული არ იქნება. დანამატის დარიგების მექანიზმი, ინიციატივის ავტორების წარმოდგენით, ასეთია: საჭირო რაოდენობით თანხას სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს ქალაქი ყოველთვიურად გადაურიცხავს. ადგილობრივი ბიუჯეტი თავის თავზე ფოსტისა თუ ბანკის მომსახურების ანაზღაურებასაც იღებს. მიუხედავად ამისა, საკრებულოს ამ განზრახვისგან ცენტრალური ხელისუფლება პრობლემების მეტს არაფერს ელის.

**"ვერანაირ დამატებას ჩვენ ვერ დავარიგებთ,** - კატეგორიულია სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, გოგი ქირია. - **ფონდს ცენტრალური ბიუჯეტი უსაზღვრავს, რამდენი ლარი უნდა გასცეს პენსიონერზე. თუ იქ ჩაიწერება, რომ თბილისელ პენსიონერს 17 ლარი უნდა მივცეთ, მივცემთ, სხვანაირად - ვერა. თუ ეს მუნიციპალური პროგრამაა, მზადა ვართ, სიები, მომსახურე ბანკებისა და სხვა მისამართები მივაწოდოთ საკრებულოს და პირდაპირ მათთან მოაგვარონ საკითხი. მე ის მაწუხებს, რა ვუთხრა რუსთაველ, საგარეჯოელ, მცხეთელ, თიანეთელ პენსიონერებს? დღეისთვის თბილისში 180 ათასამდე პენსიონერია რეგისტრირებული. საქართველოში ახლა ჩაწერის მექანიზმი არ მოქმედებს და, გაზრდილი პენსიის ხათრით, ამ ადამიანებმა ხვალ რეგისტრაცია თბილისში რომ გაიარონ, დანამატს რითი ვაძლევთ? პენსიონერთა მიგრაციას ხომ ვერ ავკრძალავთ?"**

როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში განმარტავენ, ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია. მოქმედი კანონმდებლობა ადამიანს საშუალებას აძლევს, რეგისტრაციაში იქ გატარდეს, სადაც ბოლო სამ თვეზე მეტი ხანს უცხოვრია.

# დაკარგულ ავტომობილებს ქურდების დახმარებით მაღალჩინოსნებიც იბრუნებდნენ

პირველი გვერდიდან

გატაცების შემკვეთნი ან შემსრულებლები არ გაქცეულიყვნენ.

ხუთჯერ ნასამართლევი, ე.წ. "კანონიერი" ქურდი მერაბ რაზმაძე, ორჯერ ნასამართლევი, კრიმინალური სამყაროს "ავტორიტეტი" მინდია აფციაური, ზურაბ სადალაშვილი, ზურაბ მახარაძე და მათე კამლაძე თვეების განმავლობაში ძვირადღირებულ ავტომობილებს იტაცებდნენ და გასაყიდად, ძირითადად, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გადაჰყავდათ. როგორც დადგინდა, მათ რამდენიმე ხნის წინ გატაცებული ერთ-ერთი "მერსედესი" ცხინვალში ხუთი ათას დოლარად გაყიდეს. კეკუას განცხადებით, აღნიშნული ჯგუფი ავტომობილებს, ძირითადად, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარითა და ფიზიკური ძალის გამოყენებით იტაცებდა. **"ავტოფარეხის გასახსნელად მისულ მძღოლებს ხშირად თავში ბლაგვ საგანს ურტყამდნენ და მანქანებს ასე იტაცებდნენ. დაფიქსირებულია ამგვარი ყაჩაღობის სამი ფაქტი,"** – ამბობს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.



*შემთხვევის ადგილზე გაყვანილი ზურაბ სადალაშვილი.*

დღეისათვის დადგენილია ორი ავტოფარეხი, რომლებიც ჯგუფის წევრებს დაქირავებული ჰქონდათ და გატაცებულ მანქანებს მალავდნენ.

"BMW"-ს და "მერსედესების" გამტაცებლებმა ახალი წელი "ტოიოტა –ლენდკრაუზერების" გატაცებით დაიწყეს. 9 იანვარს მათ ჯერ ცნობილი ფეხბურთელის რევაზ ძოძუაშვილის ჯიპი გაიტაცეს, რამდენიმე დღის წინ კი იგივე მარკის მანქანა ბიზნესმენ ზაალ იაკობიძესაც მოპარეს. ორივე მანქანა პატრონებს დაუბრუნდათ.

დავით კეკუას თქმით, ამჯერად მიმდინარეობს მუშაობა სხვა დამნაშავეთა დასადგენად და ცხინვალში გაყიდული ავტომობილების დასაბრუნებლად.

რამდენად შეძლებენ ქართველი სამართალდამცველები ჩვენი ხელისუფლების მიერ უკონტროლო ზონიდან მანქანების დაბრუნებას, ცოტა ძნელი წარმოსადგენია. დედაქალაქის შერიფის მოადგილე კი დარწმუნებულია, რომ ამგვარი ოპერაციებით შეძლებენ ქალაქში ავტომობილების მასიური გატაცების ალკვეთას.

# მუხროვანის ბრიგადაში 20 წლის რიგითი დაიღუპა

თამარ კაციტაძე

ორი დღის წინ, სადილის შემდეგ, დაახლოებით ოთხის ათ წუთზე, მუხროვანის ბრიგადაში ავტომატის სროლის ხმა გაისმა. მოგვიანებით ერთ-ერთმა ჯარისკაცმა სახის არეში დაჭრილი ჯონი არჩვაძის გვამი საგუშაგოზე აღმოაჩინა.

ვაზიანის სამხედრო პროკურორის მამუკა ცაავას განცხადებით, რიგითის გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დასახელება ძნელია. თუმცა, როგორც ცაავამ აღნიშნა, სასწრაფო საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების მიზნით, არჩვაძის გარდაცვალების ფაქტი დაკვალიფიცირდა თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით.

დაკითხული ჯარისკაცების და სხვა სამხედრო მოსამსახურეების საუბრიდან გამომდინარე, პროკურატურაში ამჟამად ვარაუდობენ, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა უბედურ შემთხვევას. როგორც ჯარისკაცები იხსენებენ, არჩვაძეს იარაღით თამაში უყვარდა, რისთვისაც ბრიგადის უფროსს რამდენჯერმე შენიშვნაც მიუცია.

არჩვაძის ახლობლები ასევე გამორიცხავენ რიგითის მხრიდან ვინმესთან კონფლიქტის შესაძლებლობასაც. გუშინ, ვაზიანის სამხედრო პროკურატურაში დაკითხეს ჯონი არჩვაძის ძმა, რომელმაც ასევე გამორიცხა არჩვაძის მხრიდან თვითმკვლელობა ან ვინმესთან უთანხმოება. პირიქით, ძმის ინფორმაციით, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ჯონი არჩვაძეს, რომელიც საკმაოდ კარგ ხასიათზე იყო, სახლში დაურეკავს და ოჯახის წევრებისთვის ჩასვლის თარიღი უცნობებია. 20 წლის რიგითს ორ კვირაში სამხედრო სავალდებულო სამსახური უნდა დაესრულებინა.

მთავარი სამხედრო პროკურატურის მონაცემებით, გასულ წელს ქართულ ჯარში განზრახ მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის ოთხი ფაქტია დაფიქსირებული, ხოლო თვითმკვლელობის და თვითმკვლელობის მცდელობის - ხუთი შემთხვევა. სამხედრო პროკურატურის მონაცემებში არაფერია ნათქვამი უბედურ შემთხვევებზე, ანუ გაუფრთხილებლობით მომხდარ მკვლელობებზე. მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას ინფორმაციით, შეიარაღებულ ძალებში შარშან ამგვარი ფაქტები საერთოდ არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება თვითმკვლელობის და განზრახ მკვლელობის ფაქტებს, ჯიქიას მტკიცებით, ამ სახის დანაშაულები გასულ წელს (წინა წლებთან შედარებით) 70 პროცენტით შემცირდა. თუ როგორი შედეგით დასრულდება მიმდინარე წელი, მთავარი სამხედრო პროკურორი წინასწარ ვერაფერს ამბობს; მით უმეტეს, რომ იანვარში განზრახ მკვლელობის ფაქტზე უკვე ორი საქმე აღიძრა. მუხროვანის ბრიგადაში ორი დღის წინ მომხდარი რიგითის გარდაცვალების ფაქტიც, ჯერჯერობით, შეუფასებელია.

რა კვალიფიკაციას მიიღებს საბოლოოდ ჯონი არჩვაძის დაღუპვა, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, როდესაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა საბოლოო სიტყვას იტყვის.

# ექსტრემალური ვითარება №3

## 9 აპრილის მსგავსი აქცია - ასე შეაფასა არასამთავრობო ორგანიზაციამ ციხეში განხორციელებული ოპერაცია

ხათუნა ჯანგირაშვილი

მასობრივი არეულობა და დაუმორჩილებლობა, იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა, სხეულის დაზიანება, ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ დაუმორჩილებლობა – ასეთია ორი დღის წინ ორთაჭალის საპყრობილეში მომხდარ ინციდენტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმისთვის მიცემული კვალიფიკაცია.

ციხის ბუნტის მიზეზებს, შედეგებსა და ჩატარებული ოპერაციის კანონიერება-არაკანონიერებას გუშინ დიდხანს არჩევდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წევრები და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები. მათი პოზიციები მომხდართან დაკავშირებით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება.

**"ეს არ უნდა მომხდარიყო; ფართომასშტაბიანი ჩხრეკა-შემოწმების სარეჟიმო სპეცოპერაცია უკანონოდ, არაპროფესიონალურად, არაკვალიფიციურად ჩატარდა; ეს იყო 9 აპრილის დონის აქცია, რადგან საკნებში მძინარე ხალხს მოულოდნელად შეუსიეს სპეცრაზმის წევრები და დაარბიეს; ოპერაციის შედეგად, პატიმრებს წაართვეს საკუთარი ნივთები – ქურთუკები, სპორტული ფეხსაცმელები; მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ამასთან ერთად, გაძარცვეს კიდეც."** - ასეთია არასამთავრობო ორგანიზაციის წევრთა მხრიდან იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიმართ გამოთქმული ძირითადი პრეტენზიები. მათი აზრით, მომხდარ არეულობაზე მთელი პასუხისმგებლობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ უნდა აიღოს. **"პატიმრების მიმართ განხორციელებული დანაშაულის გამო, კონკრეტულმა პირებმა უნდა აგონ პასუხი, რადგან თითქმის დარწმუნებულები ვართ, რომ ოპერაციის შედეგად ამოღებული არსენალი, შესაძლოა, პატიმრებს სულაც არ ეკუთვნოდათ. ციხეში მომხდარი არეულობა სერიოზულ ეჭვებს ბადებს, რომ ამ ოპერაციის უკან სხვა რამ იმალება",** – აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია. კონკრეტულად რა ეჭვებზეა საუბარი, ორგანიზაციის წევრები არ განმარტავენ და მხოლოდ ვერსიების წარმოჩინებით იფარგლებიან. მათი ყველაზე დიდი პრეტენზია კი ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ არ მიეცათ დაზარალებული პატიმრების მონახულების საშუალება. **"ჩვენ მხოლოდ ცალმხრივ ინფორმაციას ვფლობთ, დარწმუნებულები ვართ, რომ გამოძიება ობიექტურად არ ჩატარდება, ამიტომ ვითხოვთ საგამოძიებო ჯგუფში ჩვენს ჩართვას",** – ასეთია არასამთავრობო ორგანიზაციის კატეგორიული მოთხოვნა, რასაც იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა, "პატიმრობის შესახებ კანონის" მოთხოვნებიდან გამომდინარე, კატეგორიულად ეწინააღმდეგება.



*კახა კობერიძე და პაატა მხეიძე.*

**"ოპერაციის ჩატარება გარდაუვალი იყო. გვქონდა ოპერატიული ინფორმაცია, რომელსაც, ჩვენს გარდა, სხვა უწყებებიც ფლობდნენ. სავარაუდოდ 27 იანვრისთვის იგეგმებოდა მასობრივი არეულობა და დაუმორჩილებლობა, რაც ფართომსშტაბიანი, ორგანიზებული სახის დესტაბილიზაციაში უნდა გადაზრდილიყო. ჩვენი მხრიდან ამ ყველაფრის მიჩუმათება და უმოქმედობა უზნეობა იქნებოდა",** – აცხადებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე პაატა მხეიძე და მომხდართან დაკავშირებით პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს. მისი განმარტებით, ბოლო პერიოდში პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის ურთიერთობა მეტისმეტად დაიძაბა, რასაც პატიმართა მხრიდან ღია მუქარაც ახლდა. მხეიძის თქმით, ჩხრეკა-შემოწმების სარეჟიმო ოპერაცია სწორედ "კანონიერი" ქურდების საკნიდან დაიწყო და დაახლოებით ორსაათნახევრის განმავლობაში არანაირ გართულებასა და წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. ოპერაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული ტაქტიკური გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა. საპყრობილე შვიდ სექტორად იყო დაყოფილი. **"პატიმრები საკნებიდან გამოგვყავდა და ისე ვჩხრეკდით, იჩხრიკებოდა საკნებიც. სპეცრაზმს ხელი არ გაუნძრევია მანამ, სანამ თანამშრომელი თვალწინ არ დაუჭრეს. ეს იყო პატიმრების ეგზალტირებული მასა. ასეთ დროს ჩვენ ყვავილების სროლას ვერ დავიწყებდით",** – აცხადებს პაატა მხეიძე, რომელიც გავრცელებულ ინფორმაციას, "ობშიაკის" თანხის ამოღების შესახებ, კატეგორიულად უარყოფს და უზნეობას უწოდებს. **"მსგავსი რამ არ ყოფილა. თუნდაც მოეთხოვა ვინმეს პატიმრებისთვის ე.წ. "ობშიაკის" ფული, ამაში არაკანონიერს ვერაფერს ვხედავ, რადგან ციხეში შავი სალარო აღარ უნდა არსებობდეს",** – ასეთია იუსტიციის მინისტრის მოადგილის კახა კობერიძის პოზიცია. იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რომ გავლენიან პატიმართა კანონიერ ჩარჩოში მოსაქცევად მსგავს ოპერაციებს კვლავაც გააგრძელებენ.

გუშინ ბევრი იმსჯელეს "პატიმრობის შესახებ კანონის" თაობაზე, ოპერაციის დროს დაზარალებული პატიმრებისა და სპეცრაზმელების ჯანმრთელობის შესახებ. გაირკვა, რომ სარეჟიმო ჩხრეკა-შემოწმებისას მომწამვლელი ნივთიერება არ გამოუყენებიათ. ექსპერტიზისა და სპეციალური გამოკვლევების ცენტრის ხელმძღვანელი მაია ნიკოლეიშვილი, რომელმაც გუშინ მეხუთე საპყრობილის პატიმრები მოინახულა კატეგორიულად უარყოფს მომწამვლელი და აკრძალული ნივთიერების გამოყენებას. არადა, როგორც გაირკვა, შსს-ს, გენერალური პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ პატიმართა გაქცევისა და ექსტრემალურ სიტუაციებში ერთობლივად გასატარებელი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გეგმის მიხედვით, რომელიც 22 თებერვალს შემუშავდა, მსგავსი არეულობის შემთხვევაში, ხელკეტების გარდა, სპეცრაზმს ჯავშანჟილეტების, იარაღის, ცრემლსადენი გაზის გამოყენების უფლება ჰქონდა.

**"ექსტრემალური ვითარება N3"** – ასეთი სახელწოდება აქვს 25 იანვარს ორთაჭალის ციხეში ჩატარებულ ჩხრეკა-შემოწმების სარეჟიმო სპეცოპერაციას. ერთი სიტყვით, გუშინ ოპერაციის ბევრი დეტალი ხმამაღლა ითქვა, თუმცა მაინც გაურკვეველი დარჩა, როდის, როგორ და რანაირად შედის იარაღი ციხეში. ჩვენი ინფორმაციით, იუსტიციის მინისტრმა გუშინ ხელი მოაწერა პრეზიდენტის სახელზე დაწერილ ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც იუსტიციის სამინისტრო პარლამენტში ახალი კანონპროექტის განხილვას ითხოვს. ამ კანონპროექტის თანახმად, პენიტენციალური სისტემის თანამშრომლების მიმართ ორჯერ გაიზრდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

# ხვალ საკონსტიტუციო სასამართლო ომბუდსმენის საჩივარზე გადაწყვეტილებას გამოიტანს

*ხვალ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციურ სარჩელზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამდენიმე მუხლის კონსტიტუციურობის თაობაზე. მოცემული გადაწყვეტილება შეეხება ადამიანთა თვითნებური დაკავებისაგან დაცვას და დაცვის უფლებას.*

გასული წლის დეკემბერში საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ განიხილა საქართველოს სახალხო დამცველის და მოქალაქეთა ჯგუფის მიერ შეტანილი სარჩელი.

კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ იყო დაყენებული **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მრავალი მუხლი თუ დებულება,** რომელიც შეეხება შემდეგ საკითხებს:

**დაკავებიდან პირველ 12 საათში** ადამიანის გარანტია, ისარგებლოს დუმილის, დამცველის ყოლის, სამედიცინო შემოწმების, ახლობლებთან დაკავშირების თუ სხვა უფლებით;

**ეჭვმიტანილის და ბრალდებულის შეუზღუდავი ურთიერთობა დამცველთან** (კანონით ეს ურთიერთობა შეზღუდულია დღეში პირისპირ 1 საათიანი შეხვედრით) და **დამცველის უფლება, პირის დაკავებიდანვე გაეცნოს საქმის მასალებს**;

**ეჭვმიტანილის და ბრალდებულის უფლება, გაასაჩივროს პროცესის მწარმოებელი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება სასამართლოში** (შეზღუდვა, რომლის გამო გასულ წელს რუსეთში ექსტრადირებულმა პირებმა ვერ გაასაჩივრეს გადაცემის გადაწყვეტილება სასამართლოში);

**ადამიანის წინასწარი პატიმრობის ვადა** (საქართველოს კონსტიტუციით წინასწარი პატიმრობა – პატიმრობა სასამართლოს პირველი გამამტყუნებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე - არის 9 თვე. საპროცესო კოდექსით კი ეს ვადა, რიგ შემთხვევაში, შეიძლება გაორმაგდეს);

**უფლება, არ მისცე შენს საწინააღმდეგო ჩვენება** (კოდექსით პირი ვალდებულია, გამომძიებელს წარუდგინოს მის მიერ დანიშნული ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის მისი საწინააღმდეგო იქნება).

**მოსარჩელეები საკონსტიტუციო სასამართლოსგან მოითხოვენ, არაკონსტიტუციურად იყოს ცნობილი და ძალადაკარგულად გამოცხადდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო მუხლები.**

## ინფორმაცია

### მოსკოვის ცენტრში ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს

გუშინ, მოსკოვის ცენტრში, სპეციალისტები რამდენიმე საათის განმავლობაში მუშაობდნენ "მერსედესის" მარკის ავტომანქანაში აღმოჩენილი ასაფეთქებელი მოწყობილობის განაღმვაზე.

მოსკოვის მილიციამ შეტყობინება დილის 11 საათზე მიიღო. მოსკოვის მილიციის კინოლოგიურმა სამსახურმა სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლების საშუალებით დაადგინა, რომ ავტომობილში ასაფეთქებელი მოწყობილობა იდო. ადგილზე გამოძახებულმა УФСБ-ს სპეციალისტებმა მოწყობილობის გაუვნებელყოფას რამდენიმე საათი მოანდომეს.

### კოლუმბიის პოლიციამ კოკაინის გიგანტური პარტია ამოიღო

აშშ-ს სასაზღვრო დაცვამ და კოლუმბიის პოლიციამ კონფისკაცია გაუკეთეს ნარკოტიკების მსხვილ პარტიას. ოპერაცია წყნარი ოკეანის კოლუმბიის სანაპიროზე ჩატარდა.

კოლუმბიის პოლიციამ და ამერიკელმა სამხედროებმა დააკავეს გემი, რომელიც დატვირთული იყო ათას 800 კილოგრამი კოკაინით. დაკავებულია 6 კოლუმბიელი ნარკოკურიერიც.

საერთოდ, კოლუმბია კოკაინის მთავარ მიმწოდებლად ითვლება. იგი აშშ-ს ძირითადი მომმარაგებელია. კოკის პლანტაციებში მუშაობა კოლუმბიის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

### "Los Angeles Times"-ის კორესპონდენტები გაიტაცეს

კოლუმბიაში მოქმედი ცნობილი დაჯგუფების "ანოს" წევრებმა ორი ჟურნალისტი: ბრიტანელი - რუს მორისი და ამერიკელი - კოტტა დალტონი გაიტაცეს. გაზეთ "Los Angeles Times"-ის ჟურნალისტები კოლუმბიაში "ანო"-ს მეთაურებთან ინტერვიუს ასაღებად ჩავიდნენ.

კოლუმბია ჟურნალისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ქვეყანაა. ბოლო წლებში იქ 114 ჟურნალისტი გამოასალმეს სიცოცხლეს.

"Los Angeles Times"-ის ჟურნალისტების გამოხსნაზე კოლუმბიის ხელისუფლება ზრუნავს, თუმცა, ჯერჯერობით, უშედეგოდ. რაც შეეხება თავად "ანოს", კოლუმბიაში უკვე ჩავიდა ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი 40-კაციანი სპეცჯგუფი დამნაშავეთა ბანდის ლიკვიდაციის გეგმით.

### პენზაში "ნორდ-ოსტის" ტერორისტები დააკავეს

პენზის მილიციის სამმართველოს უფროსმა ალექსანდრ გულიაკოვმა სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა. მისი განცხადებით, მილიციამ პენზაში დააკავა სამი ტერორისტი, რომლებიც მოსკოვის კულტურის სახლის შენობაში შეიჭრნენ და მოსახლეობა მძევლად აიყვანეს. დაკავებულები მოსკოვის იზოლატორში გადაიყვანეს. ტერორისტობაში ეჭვმიტანილთა ვინაობა გასაიდუმლოებულია.

ალექსანდრ გულიაკოვმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ "ნორდ-ოსტის" აღებისას დაპატიმრებული ყველა ტერორისტი მოკლეს. გულიაკოვის თქმით, რამდენიმე მათგანმა "ნორდ-ოსტიდან" თავის დაძვრენა მოახერხა. არადა, რუსეთის ფსბ-ს ინფორმაციით, შენობის შტურმისას მოკლეს ყველა ტერორისტი - 22 მამაკაცი და 19 ქალი.

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ, გლდანის ხევის დასახლებაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ზურაბ ხაჟალიამ ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა დავით ქართველიშვილი. ბარძაყში დაჭრილი ქართველიშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე, გზაში გარდაიცვალა, ხაჟალია კი სამართალდამცველებმა დააპატიმრეს. **"24საათი"**

■ ■ ■

**ქუთაისი.** საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ძლიერი ქარისაგან დაზიანებულ ქუთაისის N2 იზოლატორს 8 000 ლარი გამოუყო. ციხის უფროსის გელა გაბეხაძის განცხადებით, აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი დაზიანებული შენობის სახურავის გამოცვლას მოხმარდება, ნაწილი კი - კედლების გალესვას. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელს, მინისტრის კობა ნარჩემაშვილისა და მისი მოადგილეების გარდა, საგაზაფხულოდ საკვალიფიკაციო გამოცდები ჩაუტარდება. სამინისტროს ათასობით თანამშრომელი გამოცდებს, სავარაუდოდ, ზეპირი წესით ჩააბარებს. გამოცდების ჩატარების წესისა და პირობების შესახებ ყოველგვარი ინფორმაცია ატესტაციამდე ერთი თვით ადრე, საჯაროდ გამოქვეყნდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზი სეპარატისტები გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში კანაფისგან კუსტარული წესით ამზადებენ ნარკოტიკულ ნივთიერება ჰაშიშს აბების სახით. სეპარატისტებს კანაფი საკუთარ ეზოებში მოჰყავთ. ამჟამად აფხაზეთში ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ბიზნესია. ამ საქმიანობაში აფხაზებთან ერთად მონაწილეობენ ქართველებიც, მაგრამ მათი წილი მცირეა. გალში, ოჩამჩირესა და გულრიფშში კუსტარულად წარმოებული ნარკოტიკები, ძირითადად, ზუგდიდში იყიდება. ტყვარჩელის რაიონში კი ნარკოტიკების დამამზადებელი მინი-ქარხანაც არსებობს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პროკურორების საკვალიფიკაციო ტესტირებაში, რომელიც 25 იანვარს ჩატარდა, 243-დან ხუთი იურისტი ჩაიჭრა. იუსტიციის საბჭოს პრესსამსახურის ცნობით, გენერალური პროკურორის მოადგილემ გიორგი თვალავაძემ 100-დან 99 ქულა მოაგროვა, ხოლო თბილისის პროკურორმა ნუგზარ მახარაძემ 98 ქულა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლის პროკურატურამ ხაშურის საკრებულოს დეპუტატის ჯემალ ენჯიბაძის მკვლელობის დაკარგული საქმის მასალების აღდგენა დაიწყო. ხელახლა იკითხებიან მოწმეები, მოპოვებულია ექსპერტიზის დასკვნები, ბრალდებულის პიროვნებასთან დაკავშირებული დოკუმენტები და სხვა. ენჯიბაძის მკვლელობის საქმე, რომელშიც ბრალდებულია ხაშურელი გოჩა ჭელიძე, 13 იანვარს თბილისის მე-5 საპყრობილიდან დაიკარგა. გენერალურმა პროკურორმა ამ ფაქტის გამო თანამდებობიდან გადააყენა საქმის გამომძიებელი როლანდ ვათიაშვილი. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ზესტაფონის რაიონის პოლიციამ დააკავა სოფელ მარტოთუბანში მცხოვრები, 65 წლის რამაზ ბარბაქაძე, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა თანასოფლელი, 37 წლის დავით ლელაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში დააკავეს გარდაბნის რაიონის სოფელ დიდ ლილოში მცხოვრები, 32 წლის ვაჟა ჭინჭარაული. იგი, თბილისში მცხოვრებ ბურდულთან და მაისურაძესთან ერთად, მანქანაში ჩაუჯდა თეიმურაზ წერეთელს და სთხოვა არაგვისპირელის ქუჩაზე წაყვანა. ჯავახიშვილის მოედანთან ჭინჭარაულმა დანის მუქარით აიძულა წერეთელი, რომ ავტომანქანა ჩიხში შეეყვანა, სადაც მას სიკვდილის მუქარით გასტაცეს ავტომანქანა, მობილური ტელეფონი, ტყავის ქურთუკი, 47 ლარი, ავტომანქანის პასპორტი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა რუსეთის ფედერაციის ქალაქ კრასნოდარში დააკავეს ქურდობისათვის თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს მიერ ძებნილი, 40 წლის ზურაბ ბოგველი. მზადდება მასალები ბოგველის საქართველოში ექსტრადიციის მიზნით. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის საგზაო პოლიცია ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე მოვაჭრეთა ფარდულების აღებას შეეცადა. მოვაჭრეებმა სამართალდამცველებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. საგზაო პოლიციის განცხადებით, აქცია გამაფრთხილებელ ხასიათს ატარებდა და უახლოეს დღეებში ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია უკანონო მოვაჭრეთაგან გაიწმინდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უზენაესი სასამართლოს დელეგაციამ ჰონკონგში 10-დღიანი ოფიციალური ვიზიტი დაასრულა. ჰონკონგში იმყოფებოდნენ: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პირველი მოადგილე ჯემალ გახოკიძე, იუსტიციის საბჭოს მდივანი ზურაბ აბაშიძე, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის უფროსი კონსტანტინე როგავა და სხვა ოფიციალური პირები. საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ინტერპოლისა და კორუფციასთან ბრძოლის დამოუკიდებელი კომისიის ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციაში. **ინტერ-პრესი.**

# რუსი ექსპერტების აზრით, შევარდნაძეს დაითანხმებენ რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე

პირველი გვერდიდან

დსთ-ს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **ვლადიმირ რომანენკო** ამბობს, რომ იდეალური იქნებოდა დსთ-ს თავისუფალ სავაჭრო ზონაში თორმეტივე რესპუბლიკის შესვლა: **"ეს, არა მარტო რუსეთ-უკრაინისათვის, არამედ ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკისათვისაც ეკონომიკური, ენერგეტიკული, სატრანსპორტო ხსნა იქნებოდა. ყველას კარგად გვახსოვს, ეს რესპუბლიკები საკუთარ უხარისხო პროდუქციას ადრე რუსეთის დიდ ბაზარზე წარმატებით რომ ასაღებდნენ. დღეს ამათ დაინტერესებული არიან ამერკავკასიის რესპუბლიკები. პრეზიდენტ შევარდნაძეს, კავკასიის ოთხეულის ფორმატში დაგეგმილ შეხვედრაზე, სთხოვენ სარკინიგზო მაგისტრალის ადღგენას. მიგვაჩნია, რომ ეს გზა ეთნოკონფლიქტების პოლიტიკური პრობლემის გადაჭრის საკეთესო წინაპირობაცაა."**

სამაგიეროდ, მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში არ მიაჩნიათ, რომ უკრაინაში პრეზიდენტთა არაფორმალური სამიტი თურქმენეთის, აზერბაიჯანის ან საქართველოს რომელიმე პრობლემას მოხსნის.

ფრაქცია „იაბლოკოს“ წარმომადგენელმა, რუსეთ-უკრაინის საზოგადოების თავმჯდომარემ **ვიაჩესლავ იგრუნოვმა** „24 საათს“ უთხრა: **"პრეზიდენტთა არაფორმალური სამიტის ფარგლებში აფხაზეთის პრობლემას ქართული მხარის მოთხოვნით განიხილავენ, მაგრამ არა მგონია, პრეზიდენტების შეხვედრის ასეთმა ფორმატმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა მოახერხოს."**

მოსკოვის პოლიტიკური წრეები ყურადღებას აქცევენ მეორე არანაკლებ საინტერესო დეტალსაც - აფხაზეთის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენით უკვე დაიწყო სომხეთ-რუსეთის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის უხილავი პროცესიც. **"ამ მხრივ, შევარდნაძე-პუტინის ერთი-ერთზე შეხვედრა მხოლოდ მოსკოვის პოზიციის გაძლიერებას მოემსახურება,** - აცხადებს დსთ-ს ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინ ზატულინი, - **სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლის გაუქმება პუტინის შევარდნაძესთან არაფორმალურ შეხვედრას არ შეუძლია."**


REUTERS

*ყინვის მიუხედავად, პრეზიდენტები ურთიერთობის დათბობას შეეცდებიან.*

ვლადიმირ რომანენკო უფრო გლობალურად მსჯელობს: **"დღეს მოსკოვი ქართული მხარის საყვედურების მოსასმენად მზად არ არის. მოსკოვს ერაყში მოსალოდნელი სამხედრო ოპერაცია და რუსეთში მისი შესაძლო ეკონომიკური შედეგები უფრო აღელვებს. აფხაზეთში რკინიგზის გახსნას და ამიერკავკასიაში ძველი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას, ერაყის წინააღმდეგ ოპერაციის შემთხვევაში რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა მიენიჭება. ამიტომ არა მგონია, რომ პუტინი დღეს დათანხმდეს უკვე დაწყებული პროცესის შეჩერებას."**

ცხადია, რომ დსთ-ს მასშტაბით ენერგორესურსების ექსპორტი და თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნა დღეს რუსეთისთვის მხოლოდ ეკონომიკური საკითხი აღარ არის. კიევში პუტინის ვიზიტის წინმსწრები აქცია იყო უკრაინაში რუსეთის წელიწადის საზეიმო ვითარებაში გამოცხადება. ექსპერტები საზოგადოების ყურადღებას ამახვილებენ ერაყში მოსალოდნელ სამხედრო ოპერაციაზეც; ამდენად, რუსეთს დღეს საკუთარი ნავთობის რესურსები უფრო აღელვებს და ის, თუ რა ეღირება ბენზინი ბაღდადის დაბომბვის დღეებში.

რუსი ექსპერტები უკრაინაში კავკასიის ოთხეულის შეხვედრის პერსპექტივას დადებითად აფასებენ. ვლადიმირ რომანენკო აცხადებს: **"თუკი ეს შეხვედრა შედგება, მასზე სომხეთი პრინციპულად დააყენებს ამიერკავკასიის რკინიგზის გახსნის საკითხს. ყველა წინაპირობა არსებობს საიმისოდ, რომ მოსკოვი ამ აქტუალურ ეკონომიკურ ინიციატივას მხარს დაუჭერს".**

სპეციალისტებს აინტერესებთ, თუ როგორი იქნება თბილისის კონტრარგუმენტი. ექსპერტთა ვარაუდით, საქართველოს პრეზიდენტი მხარს დაუჭერს კავკასიის ოთხეულის დანარჩენ ლიდერთა ერთიან პოზიციას ამიერკავკასიაში სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენაზე.

# რუსეთის დელეგაცია ევროსაბჭოში მორიგ სკანდალს ერიდება

პირველი გვერდიდან

ერთობლივ განცხადებას. მასში აღნიშნულია, რომ ჩვენმა დელეგაციებმა აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემების მთელი სპექტრი განიხილეს, დაწყებული პასპორტების გაცემით და დევნილების დაბრუნებით დამთავრებული; რომ ორივე მხარე შეთანხმდა, ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ ორმხრივი, სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების საფუძველზე იქნება მიღებული.

ჩვენ ასევე შევთანხმდით, რომ დელეგაციების შემადგენლობებიდან შევქმნათ ფაქტების დამდგენი ორმხრივი ჯგუფი, რომელიც თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ვითარებას ადგილზე შეისწავლის და უსწრაფეს რეაგირებას მოახდენს ყველა საგანგაშო ფაქტზე.

ხოლო ამ ჯგუფის მუშაობის შესახებ მუდმივად გავაკეთებთ მოხსენებას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. საგულისხმოა, რომ რუსეთის დელეგაცია ამტკიცებს, ამჟამად პასპორტების გაცემა შეწყვეტილია, სარკინიგზო მიმოსვლასთან დაკავშირებით კი მკაცრ გადაწყვეტილებას მივიღებთო.

**- ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ როგოზინზე და დელეგაციის იმ წევრებზე, რომლებიც ყოველთვის რადიკალურად და ანტაგონისტურად არიან განწყობილები საქართველოს მიმართ. როგორ მოხდა, რომ ისინი ასეთი დოკუმენტის ხელმოწერას დათანხმდნენ?**

- მე ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და წარმატებული იყო ნინო ბურჯანაძის ვიზიტი მოსკოვში, რომელიც კონსტრუქციულობითა და პრინციპულობით გამოირჩეოდა. რუსეთის დელეგაციის წევრებს არ დაუმალავთ, რომ მათ არ უნდათ, კიდევ ერთხელ ნახონ ისეთი სკანდალი, როგორიც ჩვენმა დელეგაციამ ევროპის საბჭოში სექტემბერში მოაწყო, როცა მთელი ასამბლეა რუსეთის საქციელზე მსჯელობდა.

ჩვენ დავაფიქსირეთ, რომ ჩვენი თვითმიზანი არ არის რუსეთის დელეგაციასთან გაუთავებელი ჩხუბი. ჩვენთვის მთავარია, მოხდეს პოზიციების შეჯერება და უსამართლობას თავისი სახელი დაერქვას.

**- ის ფაქტი, რომ რუსეთის დელეგაციამ გარკვეულწილად აღიარა, პასპორტების გაცემა და რკინიგზის ამოქმედება არასწორი ნაბიჯი იყოო და, შესაბამისად, ეს პროცესი აღარ უნდა გაგრძელდეს, ნიშნავს თუ არა იმას, რომ აფხაზეთის საკითხის განხილვა ცოტა უჩვეულო გარემოში ჩაივლის, რადგან აღარ იქნება საჯარო დაპირისპირება ჩვენსა და რუსეთის დელეგაციებს შორის?**

- ჩვენ პლენარულ სხდომაზე აღარ გვექნება არანაირი დებატები და აღარ წავალთ ცხარე დაპირისპირებაზე.

ჩვენ შევთანხმდით იმაზე, რომ ის, რაც აფხაზეთში ბოლო პერიოდში მოხდა, გაუმართლებელი და საერთაშორისო ნორმების დარღვევაა. უბრალოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ ეს ბრალდებები აუცილებლად ფაქტებით უნდა დავადასტუროთ. მათ გამოთქვეს მზადყოფნა, რომ თითეულ ფაქტზე, რომელსაც ორმხრივი სამუშაო ჯგუფი აღნუსხავს, მკაცრ რეაგირებას მოახდენენ.

**- მაგრამ რამდენად შესრულებადია ის შეთანხმებები, რაც ამ დოკუმენტში ჩაიდო? თუ ეს მხოლოდ თეორიული განცხადებების დონეზე დარჩება?**

- აქ საუბარია სრულიად კონკრეტულ მექანიზმზე, როგორიც არის ფაქტების დამდგენი ორმხრივი ჯგუფი. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე ჩვენს რუს კოლეგებს სერიოზულ რეაგირებას მოვთხოვთ. თუ ეს არ მოხდება, აპრილში, საპარლამენტო ასამბლეის მომდევნო სხდომაზე ამ საკითხებს კიდევ უფრო მწვავედ დავაყენებთ.

**- პასპორტების გაცემა, რკინიგზის ამოქმედება იქნება ის საკითხები, რომელზეც უკრაინაში შევარდნაძე და პუტინი ისაუბრებენ. როგორ გგონიათ, მოჰყვება თუ არა რეალური შედეგები ორი პრეზიდენტის შეხვედრას?**

- რუსეთს არ სურს, საერთაშორისო საზოგადოების თვალში მუდმივად დამპყრობლისა და მტარვალის როლში გამოჩნდეს. თუ ჩვენი პოზიცია იქნება პრინციპული, ჩვენი ხელისუფლება კი თავის მოთხოვნებს მკაფიოდ დააყენებს, მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის მხარე აღიარებს ჩვენი პრეტენზიების სამართლიანობას და შესაბამის გადაწყვეტილებებსაც მიიღებს. ამიტომ დავსვი პარლამენტში ასე მწვავედ საკითხი, რომ ახლა ბუნდოვანი და გაუგებარი განცხადებების გაკეთების დრო არ არის, რომ ჩვენ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ და რეალურად ავამოქმედოთ საერთაშორისო ბერკეტები.

ის, რაც ახლა ევროპის საბჭოში ხდება, არის შედეგი სწორედ იმისა, რომ ჩვენ არასოდეს თვალი არ დაგვიხუჭავს იმ პრობლემებზე, რომელიც გვაწუხებდა და ამაზე ყოველთვის მწვავედ ვსაუბრობდით. ბუნებრივია, რუსეთსაც არ სურს, ამ ძალიან ავტორიტეტულ საერთაშორისო ფორუმზე ისევ მწვავე კრიტიკის ობიექტად იქცეს.

# "ვენაში ობიექტური ინფორმაცია არ იგზავნება"

პირველი გვერდიდან

**კონსტანტინ ტოცკი: "სამწუხაროდ, მე ხელთ არ მაქვს ზუსტი მონაცემები, რადგანაც მათი რიცხვი სისტემატურად იცვლება. სამაგიეროდ დანამდვილებით შემიძლია ვამტკიცო, რომ პანკისის ხეობაში მოკალათებული ბოევიკების ერთი დიდი ჯგუფი უკვე გადავიდა პანკისიდან მაღალმთიან რაიონებში. როგორც კი გამოზაფხულდება და უღელტეხილები გაიხსნება, ბოევიკები უკვე მოსინჯული მარშრუტით იმოძრავებენ და სწორედ იმ პერიოდში უნდა ველოდოთ ახალ გართულებებს სახელმწიფო საზღვარზე."**

„24 საათი“: "ესე იგი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია უშედეგოდ დასრულდა?"

კონსტანტინ ტოცკი: **"ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, თუ სინამდვილეში რამდენი ბოევიკი იქნა განადგურებული საქართველოს ძალებით წარმოებული ამ ოპერაციის დროს. ცნობილია, რომ პანკისში მყოფი ბანდიტების ერთი დიდი ნაწილი უკვე გადავიდა სახელმწიფო საზღვრის მაღალმთიანეთში და მათ იქ დახვდათ თანამედროვე დონეზე აღჭურვილი საწვრთნელი ბაზები."**

„რია-ნოვოსტი“: "რა ზომებს მიმართავს თქვენი უწყება გაზაფხულზე საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?"

კონსტანტინ ტოცკი: **"დღეს ჩვენი უწყება მუშაობს სპეციალური დანიშნულების რაზმის შექმნაზე, რომელიც სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთს მოემსახურება და იქაურობას დაიცავს. ეს რაზმი უკვე ფორმირებულია. მის შემადგენლობაშია მედესანტე-მოიერიშეთა ერთი და მოტომანევრირების ორი ჯგუფი. ეს უკანასკნელი დისლოცირებული იქნება ჩეჩნეთის ბორზოი-იურტის რაიონში, სადაც**



*კონსტანტინ ტოცკი.*

**ამჟამად რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ძალებია კონცენტრირებული. გაგიხსნით ერთ საიდუმლოსაც, რომ იქ დიდი ტემპით მიმდინარეობს სამხედრო ქალაქის მშენებლობაც. ამ ჯგუფის მთავარი მიზანია საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ყველაზე სახიფათო - ჩეჩნეთის მონაკვეთზე მიიზიდოს ჩვენს განკარგულებაში გადმოსული ძირითადი რეზერვები."**

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორი შეეხო საზღვარზე მომუშავე ეუთო-ს მისიის მონიტორინგის ეფექტურობასაც.

"ადრე ეუთო-ს მისიის ოფიციალური მოხსენებები მოკლებული იყო ობიექტურობას და სულაც არ ასახავდა საზღვარზე შექმნილ ვითარებას. **მისია თვალს ხუჭავდა იმაზეც, რასაც დღეს საქართველოს ხელისუფლება უკვე ვეღარ აჩუმათებს," -** აცხადებს ტოცკი, და დასძენს, რომ ამის მიუხედავად, რუსეთი წინააღმდეგი არ არის, ეუთო-ს მისიის შემადგენლობა 111 კაციდან ზაფხულის პერიოდში 144-მდე გაზარდოს. ტოცკის აზრით, პანკისის ხეობასა და რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე რიცხვობრივად უფრო მეტი დამკვირვებელი უნდა იდგეს.

შეკითხვაზე, ხომ არ აპირებს რუსეთის ფედერალურ-სასაზღვრო სამსახური, დაეხმაროს ეუთო-ს ობიექტური ინფორმაციის მიღებაში, კონსტანტინ ტოცკი პასუხობს:

**"საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე შექმნილი ობიექტური სურათის დასადგენად ჩვენი 3-4 წარმომადგენელი უკვე მუშაობს ამ ჯგუფში. ახლა ჩვენ ამ მისიაში მესაზღვრეთა რიცხვობრივ ზრდაზე კი არა, იმაზე უნდა ვიმუშაოთ, რომ ვენაში დაუმახინჯებელი ინფორმაცია და მონაცემები გადაიცეს. ჩვენი მხრიდან ასეთ მონაცემებს სისტემატურად ვაწვდით ხოლმე ეუთო-ს მისიის დამკვირვებლებს."**

# უპრეცედენტო პროტესტი რუსეთის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

ვიდეს და "მსოფლიოს დედაქალაქ" ნიუ-იორკთან ერთად, ევროპის წამყვანი ცენტრებიც მოიცვას. მანჰეტენზე, გაერო-ს ცათაბჯენის წინ, 45-ე ქუჩისა და პირველი ავენიუს კუთხეში, ათასამდე ქართველსა და საქართველოს გულშემატკივარს ელიან. მათ შორის, ვინც აქციაში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა, არის ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელ ამერიკელ მომღერალთა გუნდი, რომელიც მანჰეტენზე ერთი საათის მანძილზე ქართულ პატრიოტულ სიმღერებს შეასრულებს. ნიუ-იორკის კანონების თანახმად, აქცია სწორედ ამდენ ხანს გაგრძელდება, მის მონაწილეებს არ ექნებათ რუსეთის დროშების დაწვის, ტრანსპორტისა და პიკეტირებული ოფისების მუშაობის შეფერხების უფლება.

**“აქციის გამართვის იდეა სრულიად სპონტანურად გამიჩნდა. ჩვენ, მართალია, ამერიკაში ვართ და შედარებით უკეთ ვცხოვრობთ, ვიდრე დანარჩენი ქართველობა, მაგრამ ის, რაც სამშობლოში ხდება, ისევე გვაღელვებს, როგორც თბილისში ან ქუთაისში მაცხოვრებელს. ”რუსთავი-2”-დან ყოველდღიურად ვიგებთ, რა ხდება და ყველაფრის საქმის კურსში ვართ. მეტის მოთმენა შეუძლებელია. ამიტომ გადავწყიტეთ, პროტესტის ამ ფორმისთვის მიგვემართა. ჩვენ ვალდებულები ვართ, გამოვთქვათ პროტესტი და მხარში დავუდგეთ საქართველოს. დავანახოთ მთელ ამერიკას ჩვენი დამოკიდებულება და თანადგომა სამშობლოსადმი, მით უმეტეს, რომ ძირითად დახმარებას აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად სწორედ აშშ-სგან ველით,”** – გვითხრა ქ-ნმა ელისო წიკლაურმა, რომელსაც გუშინ ნიუ-იორკში დავუკავშირდით.

ქ-ნი წიკლაურის იდეამ ამერიკაში მცხოვრებ ქართველებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. **“ნამდვილად არ ველოდი, თუ ჩემი იდეით ამდენი თანამემამულე დაინტერესდებოდა. ტელეფონი განუწვეტლივ რეკავს, მოდის შეტყობინენებები ელექტრონული ფოსტით როგორც ამერიკიდან, ისე ევროპიდან. განსაკუთრებით აქტიურობენ ახალგაზრდები, ვინც აქ სწავლობს, მუშაობს, ზოგი - დიდ თანამდებობაზეც. ეს ძალიან მახარებს. აქციის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენე გაერო-ში საქართველოს წარმომადგენელი რევაზ ადამია. ის კმაყოფილი დარჩა და მხარდაჭერა აღგვითქვა. ძალიან დამეხმარნენ აქაური ქართველები, ცნობილი ფიზიკოსი, ბატონი შოთა ვაშაკიძე, ასევე ქართველი ებრაელი, ქ-ნი მანანა ჯინჯიხაშვილი, რომელმაც ნიუ-იორკში ქართული რადიო დააარსა. დროშები გერმანიიდან და თბილისიდან გამოგვიგზავნეს, მათ შორის - თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმაც. მოკლედ, ვემზადებით. ნიუ-იორკის პოლიციამ საპროტესტო აქციის გამართვის ნებართვა უკვე მოგვცა,”** – გვითხრა ელისო წიკლაურმა.

ელისო წიკლაურის იდეა ევროპის ქვეყნების ქართულმა სათვისტომოებმა მაშინვე აიტაცეს. **“31-ში, ზუსტად 12 საათზე, სტოკჰოლმში, რუსეთის საელჩოს წინ დაიწყება შვედეთში ქართული სათვისტომოს მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია, რომელიც ასევე ერთ საათს გასტანს. ჩვენ უკვე მივიღეთ პოლიციისგან აქციის გამართვის უფლება. ჩემი აზრით, დროც კარგად შევარჩიეთ, 12 საათზე მთელი სტოკჰოლმი ლანჩზეა გამოსული, რუსეთის საელჩოში კი ის შვედები იკრიბებიან, რომლებიც რუსეთში გამგზავრებას გეგმავენ. მგონი, 50 ქართველი იმას ნამდვილად მოვახერხებთ, რომ შვედების ყურადღება მივიპყროთ, მით უმეტეს, პოლიციამ ხმაურიანი აქციის გამართვის უფლება მოგვცა, დროშების, მეგაფონების, პლაკატებისა და საყვირების გამოყენებით,”** – გვითხრა შვედეთის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელმა ქალბატონმა მარინა მარია-აქსელმა, რომელსაც “24 საათი” გუშინ სტოკჰოლმში ესაუბრა.

**“შეწყდეს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია!”, “აფხაზეთი საქართველოა და არა რუსეთი!”, “რუსეთის ჯარები სასწრაფოდ გავიდნენ საქართველოდან!”, “რუსმა სამშვიდობოებმა დატოვონ აფხაზეთი!”** – ნიუ-იორკისა და სტოკჰოლმის გარდა, ქართველები ამ შინაარსის პალკატებს ასევე გამოფენენ ბერლინში (აქ აქციას იურისტი **ელიკო წიკლაური** უხელმძღვანელებს), ლონდონსა და ბრიუსელში, რუსეთის საელჩოების წინ. არ არის გამორიცხული, რომ საპროტესტო გამოსვლები გაიმართოს პრაღასა და სტრასბურგშიც. აქციის ორგანიზატორები ამ ქალაქებიდან საბოლოო პასუხს ელოდებიან.

ნიუ-იორკში, აქციის შემდეგ, მონაწილეები აღმოსავლეთ ბრუკლინში მდებარე წმინდა სამების ეკლესიაში გადაინაცვლებენ, სადაც ამერიკაში სპეციალურად ჩასული სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსი მამა ნიკოლოზი წირვას ჩაატარებს, რომელიც 1 თებერვლის თორმეტ საათამდე გასტანს.

**“მე არ ვარ მიამიტი, არ მგონია, რომ ამ ერთმა აქციამ ანდა უშიშროების საბჭოს მორიგმა სხდომამ რაიმე სასიკეთო შედეგი გამოიღოს. მაგრამ ფაქტი, რომ სამშობლოსთვის ამ უმძიმეს ჟამს, მთელ მსოფლიოში, თუნდაც ერთი საათით, ქართველობა ერთი იდეის ქვეშ გაერთიანდება, თითოეული ჩვენთაგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან მინდა ეს პრეცედენტი მოხდეს,”** – ამბობს ელისო წიკლაური.

თუ არ ჩავთვლით 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ შეერთებულ შტატებში ქართული სათვისტომოს მცირერიცხოვანი ნაწილის შეკრებას, 31 იანვრის აქცია, თავისი მასშტაბებითა და გეოგრაფიით, **რიგით პირველია** ქართული დიასპორის არსებობის მრავალწლიან ისტორიაში. იმედია, არა უკანასკნელი...

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# პრობლემებს გარეთ არ უნდა ვეძებდეთ, ის შიგნით, ჩვენშია...

*თემურ ბასილია ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, ვინც საქართველოში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თავიდანვე მუშაობდა. როგორც თავად ამბობს, ჯერ კიდევ 1990 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაშლილი არ იყო, მაგრამ პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა, მისი ბლოკის, "თავისუფლების" საარჩევნო პროგრამის ეკონომიკური ნაწილის ავტორი გახლდათ. იქ კი მკაფიოდ ეწერა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და სხვა საფინანსო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ. ასევე აღნიშნული იყო ფულის რეფორმისა და ეროვნული ვალუტის შემოღების შესახებ. რა თქმა უნდა, მაშინ არც თემურ ბასილიამ იცოდა, რომ ამ ვალუტას ლარი დაერქმეოდა... მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და ის, აგერ უკვე ცხრა წელიწადია, არ ჯდება საკუთარ სკამზე... ოღონდ, ინტერვიუების დროს. არ უნდა, ოფიციალური იყოს საზოგადოების წინაშე გამოსვლისას... თუმცა, მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თავის თანაშემწეს - თემურ ბასილიას ფუნქციები ჩამოართვა და გარკვეული გავლენები დააკარგვინა, მისი საქმიანობის პოზიტიური მხარე მასმედიის გახშირებული ინტერესის საგანი აღარ არის. ის ახლა ფარული ნიშნისმოგებით საუბრობს აღმასრულებელი ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის მისამართით. პრეზიდენტის თანაშემწე უკვე ის სტატუსი არ არის, აღებული საერთაშორისო ვალდებულებებზე რომ მოსთხოვონ პასუხი...*

მაია ჭალაგანიძე

**- თქვენ ვიცე-პრემიერი იყავით, როცა 1993-1994 წლებში მსოფლიო ბანკთან დაიწყო საუბარი. ამ ხნის ურთიერთობის მანძილზე რომელ მხარეს გაუცრუვდა იმედები?**

- თავისუფალ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პრინციპები ჩემთვის ახალი არ ყოფილა და როდესაც ვიცე-პრემიერის პოზიცია დავიკავე, სწორედ ამ იდეების განხორციელებას შევუდექი. რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. დღევანდელი გადასახედიდან თუ შევაფასებთ, მთლიანობაში ეს თანამშრომლობა პოზიტიური იყო. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ იყო შეცდომები როგორც მათი, ისე - ჩვენი მხრიდან. ქვეყანას იმ პერიოდში სხვა არჩევანი არ ჰქონდა. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 1990 წელთან შედარებით 20 პროცენტს შეადგენდა. ინფლაცია 8 500 პროცენტს აღემატებოდა. 1991-1993 წლებმა, ცნობილი მიზეზების გამო, ძალზე დაამძიმა მდგომარეობა და ამან რთული ფონი შექმნა. ამიტომაც, დაჩქარებული ეკონომიკური რეფორმების ჩატარება ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთადერთი გზა იყო.

1991-1993 წლებში რეფორმები თანმიმდევრულად ხორციელდებოდა და მეტ-ნაკლებად კარგად მიმდინარეობდა. საერთაშორისო ურთიერთობებმა მართლაც გამოიღო სასურველი შედეგები - ქვეყნის შიდა პროდუქტმა მოიმატა, ინფლაცია საგრძნობლად შემცირდა. სამწუხაროდ, ამას გარე ფაქტორები დაერთო. ზოგიერთებმა მიიჩნიეს, რომ ყველაზე რთული ეტაპი განვლილი იყო და მომდევნო ეტაპზე ეკონომიკურ პროცესებში სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები ჩაერთნენ...

**- ეკონომიკის პოლიტიზება დღემდე აქტუალურია. როგორ ფიქრობთ, რას მოუტანს ეს ქვეყანას?**

- ეს არასწორია... ჩემის აზრით, ყველაზე კარგი პოლიტიკური გადაწყვეტილება ყველაზე რაციონალური ეკონომიკური გადაწყვეტილებაა. შეიძლება, მოცემულ მომენტში არ გაძლევდეს ხელშესახებ შედეგს, მაგრამ გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაშიც აუცილებლად მოგვცემს სერიოზულ შედეგს.

**- დღემდე რატომ ვერ მოხერხდა ეკონომიკის დახსნა პოლიტიკისგან?**

- რთული კითხვაა. ეს, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებული უნდა იყოს იმ ჯგუფებზე, ვინც ამ პროცესებში არიან ჩართულნი. როცა პროცესების მონაწილე ხარ, გარკვეული გავლენა გაქვს ამა თუ იმ სფეროზე და, ბუნებრივია, სხვადასხვა ჯგუფები ამ გავლენის შენარჩუნებას ცდილობენ. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი... მაგრამ, ამავე დროს (და დღეს ეს აზრი კიდევ უფრო განმიმტკიცდა), ამ ეტაპზე საქართველოს უფრო მეტად პეროფესიული და არა პოლიტიკური მთავრობა სჭირდება. ისეთი მთავრობა, რომელიც თავისუფალი იქნება პოლიტიკური ჯგუფების ზეგავლენისაგან. რა თქმა უნდა, აბსოლუტურ თავისუფლებაზე არავინ საუბრობს, მაგრამ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი მაინც უნდა იყოს. ამ რთულ, გარდამავალ პერიოდში, ხელმძღვანელობის უმეტესი ნაწილის მიზანი თანამდებობის შენარჩუნება და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება არ უნდა იყოს. იმდენად რთული გადაწყვეტილებები არის მისაღები, რომ იმ ხალხს, ვინც ეს უნდა გააკეთოს, ნამდვილად გაუჭირდება არჩევნებში გამარჯვება.

**- თქვენ შეხვდით მსოფლიო ბანკის ახლადდანიშნულ რეგიონულ დირექტორს, ქალბატონ დონა დოუსეთ კორიოლოს. შეხვედრისას გქონდათ საუბარი მსოფლიო ბანკის იმ სამუშაო წერილზე, რომელიც გახმაურდა?**

- ნამდვილად არ გვქონია საუბარი. ეს წერილი ასე მნიშვნელოვნად არ მიგვაჩნია.

ჩვენ სამ ძირითად საკითხზე ვისაუბრეთ და ამგვარ მეორეხარისხოვან საკითხებზე ყურადღება არ გაგვიმახვილებია.

**- მსოფლიო ბანკის მიერ წარმოდგენილ საქართველოს განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებზე საუბარი თქვენ მეორეხარისხოვნად მიგაჩნიათ?**

- ყოველ შემთხვევაში, ის სამი საკითხი, რომელზეც ვისაუბრეთ, გაცილებით მნიშვნელოვნი იყო.

**- რა იყო ეს საკითხები?**

- მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტების შეთანხმება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სტრატეგია და მსოფლიო ბანკის ქვეყნის მომდევნო სამწლიანი დახმარების სტრატეგია.

**- როგორ შეაფასა დონა დოუსეთ კორიოლომ პროექტების მიმდინარეობა?**

- დღეს და ხვალ მსოფლიო ბანკის ოფისში ყველა ამ პროექტს დეტალურად განიხილავენ. მონაწილეობას მიიღებენ შესაბამისი დარგობრივი მინისტრები, ამ პროექტის განმახორციელებელი ჯგუფების ხელმძღვანელები. შეხვედრებისას დაწვრილებით ისაუბრებენ წერილში წარმოდგენილ პრობლემებზე.

უნდა მოგახსენოთ, რომ მთლიანობაში საქმე პოზიტიურად არის.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

თემურ ბასილია

თუმცა, პრობლემებიცაა. არ არსებობს მიმართულება, რომელიც როგორც პოზიტიურად, ისე უარყოფითად არ შეფასდება და ეს ბუნებრივია. ყველაზე მთავარი შემაფერხებელი პრობლემა ქართული მხარის არადროული თანადაფინანსებაა. მოგეხსენებათ, მსოფლიო ბანკის მიერ ამა თუ იმ პროექტის დაფინანსებისას, ქართული მხარის თანადაფინანსება 20 პროცენტია, ანუ საქართველოს მიერ დაფინანსებულ ყოველ ლარზე მსოფლიო ბანკი 4-ჯერ მეტს გვაძლევს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ამგვარი პროგრამების ხელშეწყობა ქვეყნისთვის უმთავრესი ამოცანა და უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. როდესაც ამ პროექტების დროული თანადაფინანსება არ ხდება, ბუნებრივია, არ ხდება შესაბამისი რესურსების გამოყოფა მსოფლიო ბანკის მიერ. უნდა აღვნიშნო, ამ თანხების გამოყოფაზე მსოფლიო ბანკს გადაწყვეტილებები უკვე მიღებული აქვს, ის უკვე რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტში, ანუ ქართულ მხარეს უმაღლეს დონეზე აქვს აღებული ვალდებულება ამ პროგრამების თანადაფინანსების თაობაზე...

**- პრობლემას ბიუჯეტის შეუსრულებლობა ჰქმნის?**

- ეს, რა თქმა უნდა, საბიუჯეტო პრობლემებია. გასული 2002 წელი, სხვა წლებთან შედარებით უკეთესი იყო, მაგრამ საბიუჯეტო პრობლემები კვლავ დარჩა. ბიუჯეტში არის მნიშვნელოვანი გარღვევა, რომელიც სხვადასხვა ფაქტორებითაა გამოწვეული, რის გამოც რეალურად ვერ მოხერხდა თანადაფინანსება. მინდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხზე გასული წლის დეკემბერში საინვესტიციო საბჭოს სხდომაზე გავამახვილეთ ყურადღება. თანადაფინანსების მდგომარეობის განხილვა სპეციალურად ჩავსვით დღის წესრიგში. ჩვენი მხრიდანაც და მსოფლიო ბანკის მხრიდანაც სერიოზული არგუმენტები იყო წარმოდგენილი იმის თაობაზე, თუ რატომ არ შეიძლება, შეფერხდეს ეს პროგრამები. პროექტების შეფერხება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უნდა მოხმარდეს, საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამიტომაც პრეზიდენტმა ძალზე მკაცრი მითითება და დავალება მისცა ფინანსთა სამინისტროს. 2003 წლის პროექტში თანადაფინანსებისთვის 14 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული. საინვესტიციო საბჭოს დეკემბრის სხდომის შემდგომ ეს თანხები 28 მილიონამდე გაიზარდა. რა თქმა უნდა, ეს ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ვფიქრობ, რომ პრობლემას ვერ გადაწყვეტს.

**- როგორ გგონიათ, მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის პროექტში დევს, შესაძლებელია ამ თანხების რეალურად მოძიება?**

- ეს უკვე ფინანსთა სამინისტროზეა დამოკიდებული. ფისკალური პოლიტიკაზე იგია პასუხისმგებელი. არასდროს მიგვიცია თავისთვის უფლება, ჩავრეულიყავით მის საქმიანობაში, ან მიგვეთითებინა თანხების ხარჯვის მიმართულებების შეცვლისკენ. ეს ჩვენს კომპეტენციას ნამდვილად აღემატება.

**- რა პოლიტიკას გაატარებს მსოფლიო ბანკი ჩვენთან ურთიერთობისას?**

- ჩვენ ვისაუბრეთ სამომავლო პროექტებზე და ქვეყნის განვითარების ახალ სტრატეგიაზე. უახლოეს პერიოდში მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე თბილისის მიწისძვრის შედეგების პროექტის განხილვაა დაგეგმილი. ეს პროექტი 5 მილიონი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს, რაც თბილისში მიწისძვრის დროს დაზიანებული სკოლების, საავადმყოფოების და სხვა სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციას უნდა მოხმარდეს. სავარაუდოდ, მაისისთვის განიხილავენ და დაამტკიცებენ სოციალური ინვესტიციების 2004-2006 წლებში განსახორციელებულ მუნიციპალური და სოციალური პრობლემების დასაძლევ მეორე პროექტს. განიხილავენ სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტსაც.

**- თქვენ ამბობთ, რომ მსოფლიო ბანკი თავის პოლიტიკას საქართველოში არ შეცვლის?**

- მსოფლიო ბანკს განსაზღვრული აქვს მანდატი საქართველოს მიმართ და რეფორმების განხორციელების პროცესში ამ მანდატს ვერ გადაუხვევს. დამერწმუნეთ, მსოფლიო ბანკს არც შეუმცირებია, არც გადაუვადებია რომელიმე პროექტის დაფინანსება. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მსოფლიო ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც აუცილებლად სჭირდება საქართველოს პარლამენტის რატიფიკაცია. შეფერხება მხოლოდ თანადაფინანსების გამო ხდება. ეს კი ქართული მხარის ბრალია და არა მსოფლიო ბანკისა.

**- საქართველოში მსოფლიო ბანკს ოპოზიციაც ჰყავს, რომლის ძირითადი ბრალდება არის ის, რომ კრედიტები ეროვნული ეკონომიკის განვითარებას ღუპავს...**

- ასე ხელაღებით საუბარი ძალზე უხერხული იქნება. არა მგონია, რომ ეს სწორი იყოს. ბოლო პერიოდში ქართველი მეწარმეებისგან არ გამიგია მსოფლიო ბანკის კრიტიკა. სამაგიეროდ, გამიგია ქართველ მეწარმეთა კრიტიკა საგადასახდო კოდექსის მისამართით... მერწმუნეთ, მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტები ნამდვილად უწყობენ ხელს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

**- მსოფლიო ბანკმა საქართველოს განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად სახელმწიფო ხარჯების არასწორი მართვაც დაასახელა...**

- ეს პრობლემები ბიუჯეტის აღსრულების პროცესს ეხება. ეს არის ფინანსთა სამინისტროს კომპეტენცია.

**- მთავრობაში გამეფებული კორუფცია და...**

- იმ წერილში "გამეფებული კორუფცია" არ წერია

**- კეთილი. კორუფცია არა გამეფებული, არამედ, უბრალოდ - არსებული და მთავრობაში არსებული უთანხმოება...**

- ამისთვის ქვეყანაში არსებობს ანტიკორუფციული პროგრამა, რომელსაც ანტიკორუფციული ბიურო ახორციელებს. სხვის ნაცვლად საუბარი კი არამართებული იქნება. ალბათ, ამ უწყებას უნდა ვკითხოთ და დარწმუნებული ვარ, ბევრ არგუმენტს მოიყვანენ ამის საპირისპიროდ.

**- როგორ ფიქრობთ, საქართველოში არსებული რეალობა დიდად განსხვავდება მსოფლიო ბანკისა და საერთოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული შეფასებებისგან?**

- აქ დგება სავსე და ნახევრადცარიელი ჭიქის საკითხი. რეალობა ყველამ კარგად ვიცით და ამას საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასება არ ესაჭიროება. ჩვენ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები, არსებულ ვითარებას ყოველგვარი შელამაზების გარეშე ვიცნობთ. ჩვენზე უკეთესი შემფასებელი, დამერწმუნეთ, არავინ არის... ასეა ეს დოკუმენტიც. ჩვენ იგი შეგვიძლია შევაფასოთ ლიბერალურადაც და მკაცრადაც. კაცმა არ იცის, მე რომ ეს დოკუმენტი დამეწერა, იქნებ უფრო მკაცრი ყოფილიყო.

**- როგორ გგონიათ, გექნებათ მსოფლიო ბანკის ახალ დირექტორთან ისეთივე კარგი, მეგობრული ურთიერთობა, როგორც ქალბატონ ჯუდი ო კონორთან?**

- მინდა დაგარწმუნოთ, რომ ახალ დირექტორთან ძალზე კარგი ურთიერთობა მაქვს. ვერ გეტყვით სხვა სახელმწიფო მოხელეების დამოკიდებულებისა და ურთიერთობების შესახებ, მაგრამ პირადად შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს და არა მგონია, რომ ამ ურთიერთობაში რაიმე შეიცვალოს.

**- რა თვისებები გამოარჩევს მას თავისი წინამორბედისაგან? პროფესიულ თვისებებს ვგულისხმობ...**

- მსოფლიო ბანკში ასეთ პოზიციაზე მხოლოდ სერიოზულ პროფესიონალები მუშაობენ. სხვაგვარად შეუძლებელია. ეს არის სწორედ ამ ორგანიზაციის თანამშრომელთა უპირველესი ღირსება. დონა დოუსეთ კორიოლოს ასევე ახასიათებს უშუალო პიროვნული თვისებები, კომუნიკაბელურობა, რაც ძალიან ადვილს ხდის მასთან ურთიერთობას.

**- მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებში არ წერია საქართველოს სახელმწიფო მოხელეთათვის ამ თვისებების აუცილებლობის შესახებ?**

- ჩვენ ზოგჯერ პრობლემების გარეთ ძებნა გვიყვარს. დამერწმუნეთ, პრობლემები შიგნით, ჩვენშია. საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვენი მეგობრები არიან, მათ მხოლოდ დახმარება შეუძლიათ . ისინი ჩვენს გასაკეთებელ საქმეს ვერ გააკეთებენ და არც უნდა გააკეთონ - ეს მხოლოდ ჩვენი არჩევანი, ქვეყნის არჩევანი უნდა იყოს. ჩვენ პირველ რიგში უნდა გადავწყვიტოთ, საით მივდივართ. მე, პირადად, პირველი თავისუფალი არჩევნების პერიოდიდან, არჩეული გზიდან არასდროს გადამიხვევია...

**- თქვენ მაშინ ტრადიციონალისტი იყავით?**

- არა, ეს მაგის შემდეგ იყო... ბედნიერი ვარ იმით, რომ შემიძლია ვთქვა - ინფლაციის მოთოკვა, ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპი, რომლის დამაგვირგვინებელიც ქართული ლარის შემოღება იყო, ჩემი ვიცე-პრემიერობის დროს განხორციელდა... რა თქმა უნდა, ეს ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით მოხდა.

**- ამ გზაზე თქვენ ბევრი პრობლემა და მრავალი ბრალდება წამოგეწიათ...**

- ეს ხმები პერიოდულად წამოიწევს ხოლმე და როგორც მე ვიცი, სამიოდე კვირაში კიდევ მზადდება ახალი აღელვება.

**- ჩვეულებრივ, რა არის ამ ხმაურის მიზეზი?**

- რა თქმა უნდა, ვიცი, რატომაც ხდება ეს ყველაფერი, მაგრამ ამაზე საუბარი ახლა არ მინდა... ჩემთვის მთავარია, ვაკეთო საქმე, რომლისთვისაც მოწოდებული ვარ. ამ გზაზე ადამიანი დადებით და უარყოფით შეფასებებსაც უნდა მიეჩვიოს... გაკეთებული საქმეებისთვის მადლობას არავინ ამბობს - ეს სამწუხარო რეალობაა და არა მხოლოდ საქართველოში.

**- თუ ბრალდებები უსაფუძვლოა, როდემდე აპირებთ ჩუმად ყოფნას?**

- ეს ჩემი პრინციპია. სერიოზულად პასუხის გაცემას არც ვაპირებდი და არც გამიცია. შევხედავ და სიტუაციის მიხედვით ვიმოქმედებ... ისე კი, დამერწმუნეთ, არავინ დარჩენილა პასუხგაუცემელი და არც მომავალში დარჩება. რა ფორმით იქნება ეს პასუხი, ვნახავთ...







# რიხტერის მუსიკალური რეცეპტები

"ბახის მოსმენა ზოგჯერ ჰიგიენური თვალსაზრისითაც კი აუცილებელია"

თამარ სუხიშვილი

ნათელი ლეგენდა საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიაში, რთული და მრავალგანზომილებიანი პიროვნება - ასე იცნობენ უდიდეს შემოქმედს – სვიატოსლავ რიხტერს, რომელმაც წინასწარ განჭვრიტა რუსული (და არა მარტო რუსული) მუსიკალური კულტურის განვითარების ტენდენციები. ეს იყო მუსიკოსი, რომელმაც ტოტალიტარულ სახელმწიფოში ოფიციალურად მოიპოვა ეტალონის სტატუსი, რომელიც თავდავიწყებით ემსახურებოდა თავის საქმეს, მუდმივად თაყვანისმცემლებითა და თანამოაზრეებით გარშემორტყმული და, ამავე დროს, სრულიად მარტოსული...

"რიხტერი: დიალოგები, დღიურები" - ასე ჰქვია წიგნს, რომელიც რუსულმა გამომცემლობა "კლასიკა XXI"-მ გამოსცა. წიგნის ავტორია დოკუმენტური კინოს ცნობილი ფრანგი ოსტატი ბრუნო მონსენჟონი, რეჟისორი ფილმისა "დაუმორჩილებელი რიხტერი". აქედან გამომდინარე, თხზულების ერთი ნაწილი, გარკვეულად, ამ ფილმის გასაშიფრავადაც გამოდგება...

ახალი წიგნი ძირითადად დღიურებისგან შედგება. ეს არის შვიდი რვეული, ჩანაწერებითა და ნაფიქრით სავსე, ხელოვანისა და ხელოვნების მთელი 25-წლოვანი ისტორია. აქ მხოლოდ მუსიკაზეა საუბარი, რადგან რიხტერი მხოლოდ მუსიკით საზრდოობდა, თუმცა მკითხველი მასში მწვავე კრიტიკასა და დამაინტრიგებელ თუ უჩვეულო ინფორმაციასაც ამოიკითხავს.

წიგნში თავმოყრილი ბიოგრაფიული ეპიზოდების ერთი ნაწილის ავტორი თავად რიხტერია, მეორე ნაწილისა კი - ბრუნო მონსენჟონი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაზე ძვირფას ბიოგრაფიულ წყაროს მაინც დღიურები წარმოადგენს. რიხტერის დღიურები მხოლოდ ვიწრო წრისთვის განკუთვნილი საარქივო მასალა როდია, ეს საინტერესოა ნებისმიერი ადამიანისათვის, იქნება ის მუსიკის მოყვარული, თუ არა.

წიგნის კითხვისას მკითხველის თვალწინ გადაიშლება მუსიკის მთელი სამყარო თავისი ტრადიციებით, განვითარებით. რიხტერი პურისტი არ არის, ამიტომ მის დღიურებში შეხვდებით მარლენ დიტრიხს, ნინო როტას, პიერ ბულეზს და ლუჩანო ბერიოს. აქ ყველა სტრიქონში მუსიკა ისმის, რადგან თავად რიხტერისთვის მუსიკა იყო მთავარი, სულ ერთია, სადაც არ უნდა ყოფილიყო - საკონცერტო დარბაზში, ბინაში, მანქანასა თუ რესტორანში.

წიგნში საკმაო ადგილი ეთმობა სვიატოსლავ რიხტერის შენიშვნებსა თუ რეცენზიებს. რიხტერი უკომპრომისოა: როდესაც ხელოვანი იგონებს ვლადიმირ ვისოცკისთან და მარინა ვლადისთან შეხვედრას, რიხტერი არ მალავს, რომ არ მოსწონს არც ვისოცკის მუსიკა ("ეს მხოლოდ ნაგავია"), და არც ტექსტი ("ეს მარტო იმისთვისაა განკუთვნილი, ვინც გაზეთებს კითხულობს"): "მე ეს არ მაინტერესებს და არც მომწონს, თუმცა თავად ვისოცკი ნამდვილად თავისებურად ნიჭიერი ადამიანია," – ასეთია დასკვნა.

კრიტიკოსების აზრით, რიხტერი გენიალურია მაშინაც, როდესაც ვინმეს აქებს და მაშინაც, როდესაც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს შემსრულებლებს. აი, ერთი ამონარიდი რეცენზიიდან, რომელიც "ომი და მშვიდობას" პრემიერას (როსტროპოვიჩისა და პოკროვსკის დადგმა) ეძღვნება: "რა გამოვიარეთ ამ სპექტაკლზე? დადგმა წარუმატებელი გამოდგა, ძველმოდურია. გალია ვიშნევსკაია ნატაშას როლში ბოროტ ალქაჯს უფრო ჰგავს, მაზუროკი (ანდრეი) ისე მღერის, თითქოს პარტიის კრებაზე იყოს, პიერი საერთოდ არ მახსოვს, არხიპოვას ელენი რაღაც ტანკივითაა..."

სვიატოსლავ რიხტერისთვის ბევრად მიმზიდველია სამყარო, სადაც არც გაზეთია, არც აურზაური: "რა ფანტაზია აქვთ ხელოვანებს - კოშმარი უმშვენიერეს ბალში, სილამაზე სიკვდილის გვერდით - და ეს ყველაფერი უფრო რეალურია, ვიდრე ჩვენი ცხოვრება," - წერს შტრაუსის "სალომეაზე", მაგრამ ეს ფრაზა თავისუფლად შეიძლება იქცეს მთელი წიგნის დევიზად.

მაესტრო რიხტერი მუსიკალურ ნაწარმოებებს ისევე ეპყრობა და უფრთხილდება, როგორც ადამიანებს. "დიდი ხნის განშორების, მთელი 40 წლის შემდეგ ისევ შევხვდით ერთმანეთს – მე და კვარტეტი. ამ ახალმა შეხვედრამ ჩემში ისეთივე აღფრთოვანება გამოიწვია, როგორც ახალგაზრდობაში. მოხარული ვარ, რომ ასეთი ერთგული დავრჩი," – პირველივე სტრიქონს რომ ჩაიკითხავს, მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ ადამიანზე არაა საუბარი, რიხტერი მხოლოდდამხოლოდ შუმანის კვარტეტს (ლა-მაჟორი) გულისხმობს.


სვიატოსლავ რიხტერი

ადამიანურ ურთიერთობათაგან განსხვავებით, მუსიკის სამყაროში განსხვავებული ეთიკა ბატონობს, აქ სხვა წესები და კანონებია: მაგალითად, რიხტერისთვის მიუღებელია, როცა ბრიტენი მხარს უჭერს სუსტ კომპოზიტორებს მხოლოდ იმის გამო, რომ თავის დროზე ისინი მის გვერდით იდგნენ; ასევე არ შეიძლება, რომ ცნობილმა მომღერალმა მეგობარს სთხოვოს აკომპანიმენტი. "ნამდვილ ხელოვნებას სხვა კანონები აქვს, და ამ კანონთა დარღვევა კარგს არაფერს მოგვიტანს".

თავის დღიურებში რიხტერი განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი საუბრობს მუსიკის შეგრძნებაზე. მისთვის ნამდვილი დღესასწაულია ჰაიდნის მოსმენა: "ჰაიდნი მუსიკას სიამოვნებისთვის წერდა და ახლაც, მეოცე საუკუნეში, ის ისეთივე სიხარულის მომგვრელია ჩვენთვის." რიხტერი თავისებურ მუსიკალურ რეცეპტებსაც გვთავაზობს: ბახის მოსმენა ზოგჯერ აუცილებელია, ჰიგიენური თვალსაზრისითაც კი. რაც შეეხება ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონიას, ეს იმ ნაწარმოებთა რიგს მიკუთვნება, რომლებსაც ხშირად არ უნდა უსმინო, მათ უნდა უსმენდე მხოლოდ დღესასწაულებზე, ვინაიდან თვითონ მეხუთე სიმფონიაა დღესასწაული - დღესასწაული სიხარულის, მწუხარების, დღესასწაული გენიალური მუსიკოსის გულახდილობისა...

კრიტიკოსები კი გვირჩევენ: არ არის აუცილებელი ეს წიგნი თავიდან ბოლომდე ერთი ამოსუნთქვით წაიკითხო, ის მაგიდაზე უნდა გედოს, დღეში ერთი აბზაცი სავსებით საკმარისია. რაღაცას დაეთანხმები, რაღაცაზე დაფიქრდები, რაღაცას გაიაზრებ... ესაა ნაწარმოები, რომელშიც იკითხება ხელოვნების პროცესის განვითარების კანონზომიერების საიდუმლო.

# კომპოზიტორთა კავშირი ახალ თავმჯდომარეს ვერ ირჩევს

კომპოზიტორთა კავშირი ყრილობის მოწვევას კვლავ ვერ ახერხებს. როგორც კავშირის წევრები აცხადებენ, კომპოზიტორთა კავშირის გამგეობას და თავმჯდომარეს საქმიანობის ვადა უკვე ორი წელია გაუვიდათ. კავშირმა 2002 წლის სექტემბერში ყრილობის მოწვევა სცადა, თუმცა კავშირის თავმჯდომარემ ვაჟა აზარაშვილმა ის არაკანონიერად ცნო და ჩაშლილად გამოაცხადა.

კავშირის წევრთა თქმით, მაშინ წევრთა ერთი მესამედი შეიკრიბა და ისინი თავმჯდომარის არჩევის ინიციატივით გამოვიდნენ. მაგრამ ამჟამინდელმა თავმჯდომარემ მაშინდელ ყრილობას კრება უწოდა და მას თავადაც არ დასწრებია. კომპოზიტორთა კავშირის წევრთა უმრავლესობა ყრილობის ჩაშლის მცდელობის ძირითად მიზეზად თავმჯდომარის ფინანსურ დაინტერესებას ასახელებს. როგორც ისინი ამბობენ, კომპოზიტორთა კავშირის შენობის პირველი სართული გაქირავებულია კაზინოზე, რომელსაც შენობის 750 კვადრატული მეტრი ფართი უკავია, და იქიდან შემოსული თანხა კომპოზიტორთა კავშირს არ ხმარდება. გარდა ამისა, იქ იშვიათად იმართება კონცერტები.

წევრთა განცხადებით, კონცერტების გასამართად თანხები იმ შემთხვევაში იხარჯება, თუ თავმჯდომარის რომელიმე ნაწარმოებია შესასრულებელი. კომპოზიტორთა კავშირის პირადი ქონება წლების მანძილზე იყიდება და სულ მალე გასაყიდიც აღარაფერი დარჩება. ამასთან, კომპოზიტორთა კავშირის წევრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამჟამინდელი მუსიკალური ფონდის დირექტორის - ბარამ ბარამიძის მიმართ, რომელიც კავშირის თავმჯდომარემ ამ თანამდებობაზე უკანონოდ დანიშნა. ბარამიძე 2 წლის წინათ ქორეოგრაფიულ სასწავლებელს ხელმძღვანელობდა და კონტროლის პალატის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნებს თუ დავეყრდნობით, მას იქ უამრავი ფინანსური დარღვევა აღმოუჩინეს.

ამრიგად, კომპოზიტორთა კავშირს 1997 წლის შემდეგ ყრილობა არ მოუწვევია და არც ახალი თავმჯდომარე აურჩევია. აქედან გამომდინარე, კავშირი იურიდიულად არ არსებობს და მისი ამჟამინდელი თავმჯდომარეც უკანონოდ ითვლება. კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრებმა თავმჯდომარის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატურა შეარჩიეს, თუმცა მათი არჩევა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ხერხდება. როგორც კავშირის წევრები აცხადებენ, კავშირში ამჟამად სულ 140 კომპოზიტორია და მათგან 25 საზღვარგარეთ ცხოვრობს. ისინი დღემდე კავშირის წევრები არიან, მათი არყოფნა კი ხელს უშლის კვორუმის შეკრებას.

იმ შემთხვევაში, თუ კავშირის თავმჯდომარე არ მისცემს საშუალებას კავშირის წევრებს, რომ ხელახალი ყრილობა მოიწვიონ და ვადაგასული თავმჯდომარე გადაირჩიონ, კომპოზიტორთა კავშირში არსებულ უამრავ კანონდარღვევასა და ხელახალი ყრილობის მოწვევაზე სასამართლო იმსჯელებს, აცხადებენ კომპოზიტორთა კავშირის წევრები. **(მედია-ნიუსი)**

# მხატვრის უცნობი მემკვიდრეობა

ირაკლი გაბაშვილის ნამუშევრების პირველი და მემორიალური გამოფენა "ეროვნულ გალერეაში" გაიხსნა

ვერა ნეფარიძე

კატა 007, კატა და ქალაქი, კატა რამზეს II, კატა 77, კატა-მეფისტო და ა.შ. - გრაფიკული სერია, რომელსაც პირობითად შეიძლება "კატები" დავარქვათ, უამრავ სხვა გრაფიკულ და თითოოროლა ფერწერულ ნამუშევრებთან ერთად, საქართველოში პირველად გამოიფინა. ექსპოზიცია დამთვალიერებელმა პირველად, ავტორის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ ნახა. გუშინ "ეროვნულ გალერეაში" მხატვარ-მონუმენტალისტის, ირაკლი გაბაშვილის მემორიალური გამოფენა გაიხსნა.

გამოფენის გახსნაზე გუშინ, რომელსაც როგორც წესი, ავტორის უამრავი ახლობელ-ნათესავი ესწრება ხოლმე და გამონაკლისი არც გუშინდელი შემთხვევა ყოფილა, ყველა ერთსა და იმავეს აღნიშნავდა. ამ გამოფენით მათ თურმე ირაკლი გაბაშვილი, მათთვის ასეთი ახლობელი პიროვნება ხელმეორედ აღმოაჩინეს. თითქმის არავინ იცოდა, თუ პროფესიით მხატვარ-მონუმენტალისტს ამ რაოდენობისა და ასეთი მრავალფეროვანი ფერწერული, განსაკუთრებით კი გრაფიკული მემკვიდრეობა ჰქონდა.

"მე და ირაკლი ერთად ვიზრდებოდით. ჩემს თვალწინ ჩამოყალიბდა ირაკლი, როგორც მხატვარი. ამის მიუხედავად, დღეს ამ დარბაზში ბევრი რამ ჩემთვისაც აღმოჩენა იყო. აქამდე არ მენახა და არ ვიცოდი მისი გრაფიკა, თუ ასეთი მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი იყო. მართალია, ირაკლის უამრავი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში აქ არ არის წარმოდგენილი, სამაგიეროდ, ეს ექსპოზიცია ირაკლის საინტერესო მხატვრად წარმოაჩენს, რაც ძალიან მომწონს", - მითხრა ირაკლი გაბაშვილის მეგობარმა, არქეოლოგმა ვახტანგ ნიკოლაიშვილმა.


ირაკლი გაბაშვილი

ირაკლი გაბაშვილი მხატვარი-მონუმენტალისტი იყო. დაამთავრა სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტი. მისი რამდენიმე ნამუშევრისთვის ელენე ახვლედიანს მაღალი შეფასება მიუცია და სწორედ მას უწინასწარმეტყველებია ახალგაზრდა მხატვრისთვის წარმატებული კარიერა. თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ირაკლი გაბაშვილისთვის საზოგადოებრივი აქტიურობა უცხო აღმოჩნდა. ალბათ ამიტომაც, არასდროს უცდია საკუთარი პერსონალური გამოფენის მოწყობა. მისი გრაფიკული სერია, რომელიც როგორც ამბობენ, ტომას სტერნზ ელიოტის შემოქმედებით შთაგონებულმა შექმნა, შემთხვევით უცხოელ ექსპერტებს უნახავთ. როგორც ჩანს, მოსწონებიათ და სწორედ მათი წყალობით მოხვდა აღნიშნული ექსპოზიცია აშშ-ში. ექსპოზიციას თურმე ოკეანის გაღმა მაშინ საინტერესო გამოხმაურება ჰქონდა. როგორც ირაკლი გაბაშვილის თაობის მხატვრები ამბობენ, სერია იმ დროისათვის ძალიან საინტერესო ნამუშევარი იყო. "ირაკლი გაბაშვილის შემოქმედება არის უაღრესად დახვეწილი, უმაღლესი რანგის გემოვნებით, პროფესიონალური ხერხების ბრწყინვალე ცოდნით შესრულებული. ირაკლი ბრწყინვალე კომპოზიტორი, საინტერესო მოაზროვნე იყო. რეალობა, რომელშიც მოუწია ცხოვრება, წარმოაჩინა დაფარული კოდით - დაფარულია, როდესაც კატას ხატავ და ადამიანს გულისხმობ. ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში ასეთი სერია არ არსებობს", - გაბაშვილის შემოქმედებაზე საკუთარი მოსაზრება გამიზიარა "ეროვნული გალერეის" დირექტორმა, მხატვარმა თემო გოცაძემ.

აღნიშნული სერიის გარდა, გამოფენაზე (რომელმაც გალერეის ორივე საკმაოდ მოზრდილი დარბაზი შეავსო) წარმოდგენილი იყო მხატვრის შესრულებული პორტრეტები, პეიზაჟები, კომპოზიციები. ექსპონატები გარდაცვლილი მხატვრის მეუღლემ შეარჩია. გამოფენის ორგანიზებაში კი მას საქართველოს კულტურის სამინისტრო დაეხმარა.

კალენდარი

# 28 იანვარი



ამერიკელი მხატვარი, ჯექსონ პოლოკი, ვაიომინგში დაიბადა. 16 წლისამ ლოს ანჟელესის გამოყენებითი ხელოვნების უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, "არადამაკმაყოფილებელი ყოფაქცევის" გამო, სკოლის დატოვება მოუწია.

1930 წლიდან პოლოკი თომას ჰარტ ბენტონთან, "ამერიკული რეგიონალიზმის" წარმომადგენელთან სწავლობდა, რომელმაც იმხანად მოდერნისტების წინააღმდეგ გაილაშქრა და რეალისტური ფერწერის მომხრე იყო. მისი გავლენით შეიქმნა პოლოკის პირველი ნამუშევრები. უპოვარ მხატვართა მხარდაჭერის პროგრამაში მოხვედრილი პოლოკი იმხანად საზოგადოებრივი ძეგლების გაწმენდაზე მუშაობდა და ხელოსნობითაც გაჰქონდა თავი. დროთა განმავლობაში მისი ნახატები ნელ-ნელა შეიცვალა - ფერმწერი ევროპულ ავანგარდს მიუახლოვდა. პოლ კლეი, ხუან მირო და პაბლო პიკასო მისი სათაყვანებელი ოსტატები იყვნენ, მაქს ერნსტმა მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

ახალგაზრდობიდან ალკოჰოლისაკენ მიდრეკილი მხატვარი 1937 წელს ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობდა, და ამ დროიდან მოყოლებული სულიერი ავადმყოფობის რეციდივები მის ცხოვრებაში ხშირი მოვლენა გახდა. მიუხედავად ამისა, ის ნაყოფიერად განაგრძობდა მუშაობას. 1943 წელს მან სამხატვრო გალერეის, პეგი გუგენჰაიმის სახლში კედელი მოხატა, და ამ ნამუშევარში პირველად გაერთიანებული შრიფტები, ცხოველებისა და ტოტემების სიმბოლოები მის შემდგომ შემოქმედებაშიც ჩნდებოდა. მხატვრის მიზანი "შემოქმედებითი პროცესის უშუალოდ ტილოზე გადატანა" იყო. დაახლოებით 1947 წელს მან თავისთვის ე.წ. "წვეთოვანი მეთოდი" აღმოაჩინა: პირდაპირ იატაკზე დაფენილ ტილოს ფუნჯიდან, თუნუქის ქილიდან ან გახვრეტილი სათლიდან საღებავის წვეთებით ფარავდა. "იატაკზე მეც ნახატის ნაწილი ვარ," ამბობდა პოლოკი. სწორედ ამ წლებში შეიქმნა მისი ყველაზე ცნობილი ტილოები: "ნომერი 1: თეთრი კაკადუ", "შემოდგომის რითმი" და სხვ.

მაგრამ 50-იან წლებში, საერთაშორისო აღიარების მოპოვების შემდეგ, მხატვარს მძიმე კრიზისი დაეწყო და სასმელს მიეძალა. მისი ნახატებიდან ფერი გაქრა, მხოლოდ შავ საღებავს იყენებდა. მრავალ ნამუშევრს სახელწოდებას არ აძლევდა, მხოლოდ ნომრავდა ხოლმე: "რომ მნახველმა სწორედ ის დაინახოს, რასაც ნახატი წარმოადგენს – გაშიშვლებული ფერწერა".

1956 წელს, უკვე მძიმე სულიერი ავადმყოფობის ფონზე, 44 წლის ჯექსონ პოლოკი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

**ჯექსონ პოლოკი**, "მოქმედების ფერწერის" ფუძემდებელი, დაიბადა 1912 წლის 28 იანვარს.

კითხვარი

# ბრძოლა უწიგნურობის წინააღმდეგ

დავით ჭავახიშვილი
*მწერალი*

**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**

**1.** კულტურის აქტივობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია საზოგადოების სულიერ მოთხოვნილებებზე. თვით კულტურა ხომ ადამიანის სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შექმნილი პროდუქტია. იქ, სადაც არ არსებობს ეს მოთხოვნილებები, ვერავითარი კულტურა ვერ აღმოცენდება და აქედან გამომდინარე, მის აქტივობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

რა არის ყველაზე გამომწვევი ფაქტორი კულტურისათვის სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან? ეს კითხვა, ჩემის აზრით, ორნაირად შეიძლება იქნეს გაგებული: ასე ვთქვათ, კარგად და ცუდად. კარგი გაგებით, ეს ფაქტორი გახლავთ კულტურისადმი სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრივ გამოჩენილი ყურადღება და სათანადო დაფასება დოტაციური სტიმულირების სახით. ცუდი გაგებით, ყველაზე გამომწვევ ფაქტორად კულტურისათვის სახელმწიფოსა და საზოგადოების


დავით ჭავახიშვილი

მხრიდან მისდამი გულგრილობა და მის მიღწევათა იგნორირება მიმაჩნია, რასაც მოსდევს ქვეყნიდან კულტურის გადინება; ეს საფრთხე დღეს ჩვენთვის სავსებით რეალურია.

კულტურა ვალდებულია ერთგვაროვნად უპასუხოს ამ ორივენაირ გამოწვევას და ეს პასუხი უნდა იყოს სწორედ ის აქტივობა, რომელიც ამ კითხვის დასაწყისში იქნა ნახსენები. პირველ შემთხვევაში ეს შედარებით ადვილია, მეორეში კი – ძალიან ძნელი, მაგრამ სამომავლოდ - ყოვლად აუცილებელი. კულტურის სფეროში მოღვაწე თითოეულმა ადამიანმა უნდა ჰპოვოს ძალა თავის თავში და, მიუხედავად სიძნელეებისა, უნდა ეცადოს არ აჰყვეს კონიუნქტურას, არ მიეცეს უიმედობას, არ უცადოს ღვთისა და მით უფრო, ხელისუფლების წყალობას და უანგაროდ ემსახუროს თავისი ერისა და ზოგადკაცობრიულ კულტურას; მხოლოდ ეს თუ იხსნის დღეს ქართულ კულტურას დეგრადაციისა და სრული განადგურებისგან.

**2.** შეიცვალა ძალიან ბევრი რამ და, სამწუხაროდ, უფრო მეტად – უარესისკენ. ყველაზე გულსატკენი და საგანგაშო ისაა, რომ ქართული კულტურა ეროვნულ სახეს კარგავს; იფურჩქნება და ყვავის ყოველივე უცხოურისადმი ბრმა მიმბაძველობა; გემოვნების სიმდარემ, უბადრუკობამა და უხამსობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და ბევრგან გადალახა კიდეც ეს ზღვარი; მაგალითები უთვალავია; საკმარისია, თუნდაც, ზერელედ გადავხედოთ ქართულ ესტრადას, ტელევიზიას, ყვითელ და ნორმალურ პრესას, ქალაქში ბოლოხანს დადგმულ სკულპტურებს, ნაქურდალი ფულით ფარისევლურმკრეხელურ საეკლესიო მშენებლობასა და სხვ. ისე არ გამიგოთ, თითქოს ყოველივე ამაზე მაღლა ე.წ. სოცრეალიზმის დროინდელ გამომათაყვანებელ იდეოლოგიას ვაყენებდე, ღმერთმა დამიფაროს! უბრალოდ, "ვაის გავეყარე – ვუის შევეყარეო", მინდოდა მეთქვა.

ყოფით კულტურაზე, ალბათ, გაჩუმება სჯობს, მაგრამ სირაქლემები ხომ არ ვართ, სავალალო სინამდვილეს სად გავექცევით?! სად გავექცევით ნაგვისყუთად ქცეულ ქალაქს; ყოველ ნაბიჯზე დედის გინებას; ზრდილობისა და თავაზიანობის ელემენტარული ნორმების, ლამისაა, სრულ უგულვებელყოფას; თვით პარლამენტშიც კი უნიჭო სადღეგრძელოებისმაგვარი, ძველბიჭური მეტყველების დამკვიდრებასა და რა ვიცი კიდევ რა ვთქვა.

ამ შემაძრწუნებელ ფონზე, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შეიმჩნევა ცალკეული დამაიმედებელი ძვრები. ბოლო წლების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია უწიგნურობის წინააღმდეგ წარმატებით გაჩაღებული ბრძოლა – სხვას ვერაფერს დავარქმევ კერძო გამომცემლობების გამრავლებასა და მათი პროდუქციის ყოველმხრივი ხარისხის შეუნელებელ ზრდას. უეჭველად აღსანიშნავია, აგრეთვე ჭავჭავაძის პროსპექტზე ნამდვილი წიგნის მაღაზიის – "პარნასის" გახსნა, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს კულტურის პატარა ოაზისი რესტორნებითა და სახინკლეებით გადაძეძგილ ქალაქ-უდაბნოში.

**3.** ამჟამად ვკითხულობ ყველაფერს, რაზეც ხელი მიმიწვდება. კანტი-კუნტად ვისმენ სხვადასხვა საინფორმაციო ტელეპროგრამებს. ვუსმენ კარგ ჯაზსა და კლასიკურ მუსიკას. სპექტაკლებისა და ფილმების სანახავად ვერ დავდივარ. გამოფენებიდან ბოლოხანს მოვინახულე აწ განსვენებული მხატვრის, ესმა ონიანის პერსონალური გამოფენა, მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილის უაღრესად საინტერესო ნამუშევრების გამოფენა და ცნობილი ქართველი მთასვლელისა და ფოტოხელოვანის – გურამ თიკანაძის გამოფენა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## "სელტამ" ვან გაალს "სასიკვდილო განაჩენი" გამოუტანა

აკა ტონია


ლუის ვან გაალი

კვირას "ბარსელონას" მწვრთნელს, ლუი ვან გაალს, გამოცდა ჰქონდა, უკვე მერამდენე... ჯერ კიდევ "სევილიასთან" მატჩის შემდეგ, როდესაც "ბარსა" შინ 0:3 დამარცხდა, გუნდის ხელმძღვანელობამ ჰოლანდიელს ულტიმატუმი წაუყენა - მომდევნო მატჩში მას აუცილებლად უნდა გაემარჯვა. მაშინ ვან გაალი გაძევებას გადაურჩა. ერთი კვირის წინ, "ვალენსიასთან" განცდილი მარცხის შემდეგ, მწვრთნელი კვლავ დადგა გამოცდის წინაშე - კვირას, ვიგოს "სელტასთან" მატჩი, მას აუცილებლად უნდა მოეგო, წინააღმდეგ შემთხვევაში, 24 საათში პოსტიდან გაათავისუფლებდნენ. როგორც გაირკვა, ვიგოში გამართული მატჩი უკანასკნელი იქნება ვან გაალის კატალონიურ კარიერაში: "ბარსელონა" ისევ დამარცხდა - 0:2.

ბოლო 3 მატჩიდან "სელტას" არც ერთი არ მოუგია, მეტიც, გოლიც კი არ გაუტანია. ეს სტატისტიკა, თითქოს, ვან გაალის წისქვილზე ასხამდა წყალს, თუმცა... "ბარსელონას" ფეხბურთელებმა ვერ გადაარჩინეს ვან გაალი. კვირას "სელტას" წინააღმდეგ თამაშობდა "ბარსა" - ისევ ისეთი საწყალი და გასაცოდავებული, როგორიც იყო ეს კლუბი უკანასკნელ ხანებში. "ბარსელონა" არც ერთ ფაზაში არ იმსახურებდა გამარჯვებას. პირიქით, "სელტას" ფეხბურთელებმა რამდენიმე აშკარა საგოლე შანსი გაუშვეს ხელიდან, ვერ გამოიყენეს მეტოქის კარში დანიშნული პენალტი და მაინც გაიმარჯვეს - 2:0. ეს იმას ნიშნავს, რომ ვან გაალის ეპოქა "ბარსელონაში" დასრულდა, ალბათ, სამუდამოდ.

კლუბის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, თავისი პირობა შეასრულოს. სხვაგვარად ვერც მოიქცევა, რადგან თუ გასპარი ვან გაალს არ გააძევებს, მასთან ერთად თვითონაც დაკარგავს თავის სკამს.

მატჩის შემდეგ "ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტმა ფრანსეშ კლოზამ განაცხადა, რომ ვან გაალის საკითხი ორშაბათს (ანუ გუშინ) გადაწყდებოდა. "ახლა არ არის იმის დრო, რომ რაიმე გადაწყვეტილება მივიღოთ. ცხელ გულზე მოქმედება გაუმართლებელია. წინ არის მთელი ღამე, რომ დავისვენოთ, ყველაფერი ავწონ-დავწონოთ. შექმნილ სიტუაციაზე ხვალ ცივი გონებით ვიმსჯელებთ", - თქვა კლოზამ კვირას.

გუშინ "კამპ ნოუს" სტადიონზე მდებარე "ბარსელონას" შტაბბინაში გაიმართა კლუბის დირექტორთა საბჭოს კრება, რომელიც გვიან ღამემდე გაგრძელდა. კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება მხოლოდ დღეს გახდება ცნობილი, მაგრამ ერთი რამ, ალბათ, ისედაც ცხადია - ვან გაალს აღარავინ დატოვებს "ბარსელონაში".

ფეხბურთი

## შუშაკი "დინამოს" სპორტული ფორმის პიკში შეყვანას არ ჩქარობს

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამომ" დაასრულა კვიპროსული საწვრთნელი შეკრება და დღეს ლარნაკა-თბილისის ჩარტერული რეისით სამშობლოში დაბრუნდება. გუშინ საქართველოს ჩემპიონატის ლიდერს ბოლო საკონტროლო მატჩი უნდა გაემართა. მეტოქედ ჩეხეთის "სინოტი" იყო შერჩეული, მაგრამ თამაში არ ჩატარდა. აქვე გეტყვით, რომ მატჩი სტადიონზე განათების სისტემის მწყობრიდან გამოსვლის გამო არ ჩაშლილა. უბრალოდ, გუშინ მთელ კვიპროსზე ამ დროისთვის უჩვეულო ამინდი იდგა - ძლიერი ქარი, თავსხმა წვიმა და ჭექა-ქუხილი. ზოგიერთ რაიონში ნგრევაც კი აღინიშნა, რაც ევროპის საინფორმაციო საშუალებებმაც ასახეს.

მაშ ასე: "დინამომ" კვიპროსზე ყოფნის ორი კვირის განმავლობაში ხუთი მატჩი გამართა. მათგან სამი ფრედ დაასრულა (ხაბაროვსკის "სკასთან" - 1:1, ვორონეჟის "ფაკელთან" - 2:2, ფამაგუსტას "ანართოსისთან" - 3:3), ხოლო ორში დამარცხდა

(რუსეთის "სვეტოტეხნიკთან" - 1:2, უკრაინის "კრივბასთან" - 0:1).

გუნდთან ერთად თბილისში არ დაბრუნდება "დინამოს" მთავარი მწვრთნელი, ივო შუშაკი. ის კვიპროსიდან პირდაპირ ბოსნია-ჰერცეგოვინაში გაემგზავრება. "დინამოც" სამ დღეს დაყოფს სამშობლოში, შემდეგ კი, მთავარ მწვრთნელთან ერთად, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ქალაქ შიროკი ბრეგში, ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მოსამზადებელ კიდევ ერთ საწვრთნელ შეკრებას გაივლის. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, ხორვატი მწვრთნელისთვის სატელეფონო ინტერვიუ ჩამოგვერთმია, რაშიც "დინამოს" პრეს-ატაშე, ლევან სალუქვაძე დაგვეხმარა.


ივო შუშაკი ვარჯიშზე

**- რა მიზანს ისახავდა კვიპროსში მოწყობილი საწვრთნელი შეკრება და თუ მიაღწიეთ დასახულს?**

- ამ შეკრების ძირითად მიზნად ფეხბურთელების ფიზიკური კონდიციების ოპტიმალურ დონემდე მიყვანას ვისახავდი. უნდა დაგვეხვეწა ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური თვალსაზრისით. ვგეგმავდი ახალი ტაქტიკური მონახაზების დამუშავებას და მატჩის მსვლელობაში ერთი ტაქტიკური სქემიდან მეორეზე გადაწყობას, მის პრაქტიკაში გამოცდას. თანამედროვე გუნდს უნდა შეეძლოს ტაქტიკის ცვლა სათამაშო სიტუაციის მიხედვით.

ვერ ვიტყვი, რომ აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ, მაგრამ, მიმაჩნია, რომ კვიპროსზე ჩატარებული შეკრება და საკონტროლო შეხვედრები დასახული მიზნების მიღწევაში დაგვეხმარა.

**- ტესტ-მატჩების შედეგებით უკმაყოფილო უნდა იყოთ. გუნდმა, არცთუ ძლიერ მეტოქეებთან, ხუთ შეხვედრაში ვერ გაიმარჯვა.**

- რა თქმა უნდა, მოგება ძალიან კარგია და, დადებით ემოციებთან ერთად, გამარჯვებულის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს. რასაკვირველია, მოგების წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ შედეგისთვის არ გვითამაშია. პირველ რიგში, ზემოთ დასახელებული მიზნების მიღწევა გვსურდა. თანაც, უარყოფით შედეგებს ლოგიკური ახსნა აქვს: გუნდი სერიოზული დატვირთვების ფონზე, გადაღლილი თამაშობდა და, შესაბამისად, ბევრ შეცდომას უშვებდა. ასე რომ, ხუთმატჩიანმა მოუგებელმა სერიამ სულაც არ გამანაწყენა. ამ სეზონში ერთი მთავარი მიზანი გვაქვს: გავხდეთ საქართველოს ჩემპიონები და მოვიგოთ საქართველოს თასი. ამიტომ, შეკრებები ისე გვაქვს დაგეგმილი, რომ სპორტული ფორმის პიკში ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის სტარტის დროს შევიდეთ.

**- 1 თებერვალს გუნდი მორიგ შეკრებაზე მიემგზავრება ბოსნია-ჰერცეგოვინაში, სადაც მონაწილეობას მიიღებთ საერთაშორისო ოთხთა ტურნირში. ახლაც კონკრეტული მიზნებისთვის იბრძოლებთ თუ შედეგისთვის ითამაშებთ?**

- შიროკი ბრეგში სამი მატჩი გველის. პირველ მეტოქეს, სლოვენიის არაერთგზის ჩემპიონს, "მარიბორს", 4 თებერვალს ვეთამაშებით. ტურნირში ჩვენი მეტოქე იქნება ხორვატიის ჩემპიონი და მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერი, ზაგრების "დინამო". ეს ტურნირი უკვე შედეგების თვალსაზრისით იქნება საინტერესო. ძირითად შემადგენლობაში საუკეთესო ფეხბურთელებს დავაყენებ. ვეცდებით, წარმატებით გამოვიდეთ. სპარინგი ისეთ მეტოქეებთან, როგორებიც არიან "მარიბორი" და ზაგრების "დინამო", ჩვენი "დინამოს" რეალურ ძალას გამოავლენს.

ბოსნიიდან გადავინაცვლებთ ხორვატიაში, "მაკარსკას" ცნობილ ბაზაზე, სადაც ერთ ამხანაგურ მატჩს სპლიტის "ჰაიდუკთან" გავმართავთ.

**- 11 და 12 თებერვალს საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ამხანაგურ მატჩებს გამართავენ მოლდოვის ნაკრებებთან. ამ შეხვედრებზე, როგორც ახალგაზრდულ, ისე ეროვნულ გუნდში, "დინამოდან" ფეხბურთელთა მთელი წყებაა გამოძახებული. ეს ფაქტი მზადებაში ხელს ხომ არ შეგიშლით?**

- არა, რადგან შიროკი-ბრეგის ტურნირი 9 თებერვალს დასრულდება. ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელებს თბილისში გამოვამგზავრებთ. 13 თებერვალს ისინი ხორვატიაში, "მაკარსკას" ბაზაზე შემოგვიერთდებიან.

ცურვა

## ბერლინში ლუზა ჩაუშვეს


ლინსდეი ბენკო

მოცურავეთა ბერლინური მსოფლიო თასი, შედეგების გარდა, იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ეს უკანასკნელი 2002-2003 წლების ბოლო გათამაშება გახლდათ. ასე რომ, თავის გამოჩენასთან ერთად, პრემიალურების სახითაც დიდი იყო ცდუნება. ამ მხრივ აღსანიშნავია ამერიკელი ლინსდეი ბენკოს მსოფლიო რეკორდი. მსოფლიო რეკორდიც რომ არა, ამერიკელი 4-წუთიანი ზღვრის გადაბიჯებით მაინც შევიდა ისტორიაში.

რეკორდი რეკორდად, მაგრამ როდესაც გარკვეულ, ასე ვთქვათ, "ცისფერი ბილიკების" "მრგვალ" შედეგს "გატეხავ", ამ სამყაროში დიდად გაფასებენ. ასეა ლინსდეი ბენკოს შემთხვევაშიც. ამერიკელი ბევრჯერ ახლო ყოფილა 4-წუთიან ბარიერთან, მაგრამ ყოველთვის სულ ცოტა აკლდებოდა. ახლა კი ის გახდა პირველი ქალი, რომელმაც 400 მეტრი თავისუფალი სტილით ცურვაში 3 წუთსა და 59,53 წამში დაფარა.

"ბევრს ვშრომობდი იმ მიზნის მისაღწევად, სადამდეც სულ ერთი ნაბიჯი მაკლდებოდა. ვერაფერს იტყვი, საოცარი რეკორდია", - საკუთარი თავით კმაყოფილია ბენკო.

მართლაც, შარშან, ასევე ბერლინში ასპარეზობისას, ბენკო მსოფლიო თასის რეკორდის (4.00,30) დამყარებით ყველაზე ახლო მიიჭრა პუერტორიკოელი კლაუდია პოლის მიერ 1997 წელს გოტენბურგში (შვეცია) "პატარა წყლის" (25 მ.) მსოფლიო ჩემპიონატზე დამყარებულ მსოფლიო რეკორდთან - 4.00,03. ახალი რეკორდი კი ამერიკელისთვის რიგით მეორეა, რომელიც სპორტული კარიერის განმავლობაში "პატარა წყალში" დაუმყარებია. ერთი სიტყვით, რეკორდის წყალობით, ბენკომ 1013 ქულა გამოიმუშავა და კლასიფიკაციაში მესამე საფეხური დაიკავა. ყველაფერმა ამან ამერიკელს 20 ათასი დოლარი და "ყველაზე სასარგებლო მოცურავის" სახელი მოუტანა. ამასთან, შეჯიბრების ორგანიზატორთაგან სამახსოვროდ "Mini Cooper"-ის ავტომანქანაც ერგო.

იმავე კლასიფიკაციაში დაწინაურება მსოფლიო თასის გათამაშების მონაწილეთათვის უმთავრესი ამოცანა იყო. ვაჟთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა გერმანელმა ტომას რუპრატმა. პირველ დღეს 100 მეტრი გულაღმა მან 50,76 წამში გაცურა და ქულათა მაქსიმუმი მიიღო - 1016 ქულით რუპრატმა 50 000 დოლარიც დაისაკუთრა. კლასიფიკაციის მეორე-მესამე ნომრების ვინაობაც ბერლინში გასარკვევი გახდა. რუსმა რომან სლუდნოვმა 100 მეტრი ბრასით 57,96 წამში გაცურა (1012 ქულა). ჰოლანდიელმა პიტერ ვან დენ ჰუგენბანდმა 200 მეტრში (თავისუფალი სტილით) მეორე ადგილი დაიკავა (1.42,45) და ქულათა იგივე რაოდენობა მოაგროვა. მათ შორის მეორე-მესამე ადგილის ბედი კი წინა ეტაპებზე უკეთესი შედეგის მქონე სპორტსმენს მიეკუთვნა. ასეთი რუსი აღმოჩნდა.

არანაკლებ დაძაბული გამოდგა ადგილების გადანაწილება ქალ მოცურავეთა კლასიფიკაციაში. ასპარეზობის პირველ დღეს ბრიტანელმა ალისონ შეპარდმა 50 მეტრი 24,06 წამში დაფარა და ქულათა მაქსიმუმი (1014) მოაგროვა. მიუხედავად ამისა, ადვილი შესაძლებელი იყო, ფეხდაფეხ მდევარი შვედი ემა იგელსტრიომისა და ამერიკელი ლინსდეი ბენკოსგან მას საფრთხე შექმნოდა. მისდა საბედნიეროდ, ორივე მათგანმა 1013-1013 ქულა დააგროვა. აქაც მეორე-მესამე ადგლების ბედი ადრეული ეტაპების შედეგებზე გახდა დამოკიდებული.

რაც შეეხება მედლების რაოდენობის მხრივ დაწინაურებულ ქვეყნებს, ისევე როგორც პარიზულ, მეხუთე ეტაპზე, აქაც ბრიტანელებმა გაიმარჯვეს (8 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი). მეორე ადგილზე რუსეთი გავიდა (5 "ოქრო", 1 "ვერცხლი"), ხოლო მესამეზე - მასპინძლები (4 "ოქრო", 7 "ვერცხლი", 3 "ბრინჯაო").

ძიუდო

## ქულათა მაქსიმუმი - მოსკოვის სუპერტურნირზე

ბიბა გურასაშვილი

*ძიუდოისტებს, რომლებსაც 2004 წელს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრება სურთ, ამისთვის ერთგვარი საშვი სჭირდებათ. საშვებს კი სალიცენზიო ტურნირებზე არიგებენ. ოღონდ, მის დასაუფლებლად ქულათა მაქსიმუმი უნდა დააგროვო. ამისთვის კი სამეულში ტრიალია საჭირო. ამ მხრივ ერთი ნაბიჯი უკვე გადადგეს ჩვენმა ძიუდოისტებმა.*


ნესტორ ხერგიანი


შოთა ხაბარელი

სალიცენზიო ტურნირებმა, რომლებიც ბევრით არაფრით განსხვავდება მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებისგან, მოსკოვიდან აიღო სტარტი. 25-26 იანვრის ასპარეზობებს "ლუჟნიკის" სპორტის სასახლემ უმასპინძლა. საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც "სუპერ A" კატეგორია ჰქონდა მინიჭებული, 41 ქვეყნის 500-ზე მეტმა ძიუდოისტმა მოიყარა თავი. საქართველოს ნაკრები 12 სპორტსმენით წარსდგა მოსკოვის ტატამზე. ჩემპიონი გახდა ნესტორ ხერგიანი (60კგ). მეორე ადგილზე გავიდა დავით ქევხიშვილი (73კგ). საინტერესოდ წარიმართა 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველთა ბედიც. გიორგი რევაზიშვილსა და დავით მარგოშვილს ცოტა მეტი რომ მოენდომებინათ, ქართული ფინალის მოწმენი გავხდებოდით - ორივემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გუშინ ქართველი ძიუდოისტები შინ დაბრუნდნენ. თბილისის აეროპორტში საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, შოთა ხაბარელს, ვთხოვეთ, მოსკოვურ პერიპეტიებზე მოეთხრო.

"თუ გავითვალსწინებთ იმას, რომ მოსკოვის ტურნირზე თითქმის ყველა გუნდი უძლიერესი ძიუდოისტებით იყო დაკომპლექტებული, ურიგოდ არ გამოვსულვართ, - გვეუბნება შოთა ხაბარელი, - ამის დასტურია ოქროს, ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი. ახალგაზრდებმა, რომლებიც მოსკოვში წავიყვანეთ, საკუთარი თავი ღირსეულად წარმოაჩინეს. რა თქმა უნდა, იყო შეცდომებიც, მაგრამ შედეგით მაინც კმაყოფილი ვართ. ჩვენ ქულათა მაქსიმუმი დავაგროვეთ. ლიცენზიებისთვის ბრძოლა თბილისის, შემდეგ საფრანგეთის, გერმანიისა და პოლონეთის ანალოგიურ ტურნირებზე გაგრძელდება. ერთი სიტყვით, წლეულს რამდენიმე ლიცენზიის მოპოვებას ვგეგმავთ.

**- ძიუდოისტებს, რომლებიც მოსკოვში გამოვიდნენ, თბილისშიც ვიხილავთ თუ შემადგენლობაში ცვლილებებია მოსალოდნელი?**

- ისინი, ვინც მოსკოვში იჭიდავეს, თბილისის ტურნირზეც გამოვლენ. თუმცა, ჩვენ, როგორც მასპინძელს, უფლება გვაქვს, თითოეულ წონაში ოთხი სპორტსმენი დავაყენოთ.

**- რამდენიმე დღეში ტურნირი დაიწყება. რომელიმე ქვეყნის დელეგაცია ხომ არ ჩამოსულა და, საერთოდ, როდის ელით მათ?**

- საბერძნეთის ნაკრები უკვე აქ არის. ჩვენთან ერთად მოსკოვიდან ლატვიელებიც ჩამოფრინდნენ. დანარჩენი ქვეყნები 30 იანვარს ჩამოვლენ.

ხაბარელთან საუბრის შემდეგ ჩემპიონსაც გავესაუბრეთ:

- კარგმა განწყობამ და მომზადებამ გამარჯვებამდე მიმიყვანა. ვეცდები, თბილისშიც გავიმარჯვო. მით უმეტეს, რომ ლიცენზიის მოსაპოვებლად კიდევ ორი ტურნირის მოგება მჭირდება.

**- რომელიმე ბრძოლას ხომ არ გამოარჩევდი, ან შენს მეტოქეთაგან აქამდე რომელიმეს თუ შეხვედრიხარ?**

- ვერ ვიტყვი, რომ ვინმესთან გამიჭირდა. ფაქტობრივად, ყველა ორთაბრძოლა სუფთად მოვიგე. გამოვარჩევდი ავსტრიელ პაიშერს, რომელთანაც ადრე დავმარცხებულვარ და მომიგია კიდეც. ახლაც გადავეყარეთ ერთმანეთს, ამჯერად - ფინალში. ბედმა მე გამიღიმა.

ისტორიული ფოტო

### ეს იყო 40 წლის წინათ...


1963 წლის 15 ივლისი, მადრიდი. მადრიდის "რეალის" უნგრელი თავდამსხმელი ფერენც პუშკაში ვარჯიშისას.

რაგბი

## IRB-ს ჯილდოები ფრანგებმა დაისაკუთრეს

პაატა თოთაძე

*გუშინ ლონდონში მომხდარი ფაქტის შემდეგ ისეთებიც გამოჩნდებიან, ფრანგული რაგბის მსოფლიოში პირველობას რომ აღიარებენ. ფაქტი კი ასეთია: რაგბის საერთაშორისო საბჭომ 2002 წლის საუკეთესო მორაგბედ ფრანგი ფაბიენ გალტიე დაასახელა, საუკეთესო გუნდად - საფრანგეთის ნაკრები, საუკეთესო მწვრთნელად კი - "მამლების" დამრიგებელი ბერნარ ლაპორტი.*

ლონდონის "ლენდმარკ ჰოტელში" გამართული დაჯილდოების ცერემონიალი ფრანგების ტრიუმფად იქცა - ყველა პრესტიჟული ჯილდო ამ ქვეყნის წარმომადგენლებს ერგოთ.

თავდაპირველად რაგბის საერთაშორისო საბჭომ უმცროსი ასაკის მორაგბეთა შორის გაარკვია საუკეთესოები: 21 წლამდელთა შორის პირველობა ერგო სამხრეთაფრიკელ პატ ბერნარს, 19 წლამდელთა შორის - ლუკ მაკალისტერს (ახალი ზელანდია). საუკეთესო ქალ მორაგბედ ასევე ახალზელანდიელი მონიკა ჰიროვანაა აღიარეს.

IRB-ს გასული წლის საუკეთესო გუნდი და მწვრთნელი უნდა დაესახელებინა. ამ ნომინაციებში ყველა ფრანგებს უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას. შარშან "მამლებმა" ექვსი ერის გათამაშება მოიგეს, თანაც, ისე, რომ ყველა მატჩში გაიმარჯვეს და "დიდ სლემს" დაეუფლნენ. ამასთან, არც სამხრეთელ ბოზოლებთან შეირცხვინეს თავი. ასე რომ, რაგბის მმართველთა არჩევანი ყველასთვის მისაღები იყო. რადგან ფრანგებმა ასეთი დიდი გამარჯვება მოიპოვეს, მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელადაც ფრანგების დამრიგებელი ბერნარ ლაპორტი დაასახელეს.

პლანეტის საუკეთესო მორაგბის ტიტულს ხუთი კანდიდატი ეცილებოდა ერთმანეთს - ფაბიენ გალტიე (საფრანგეთი), ბრაიან ოდრისკოლი (ირლანდია), ჯეისონ რობინსონი (ინგლისი), რიჩარდ მაკკოი (ახალი ზელანდია) და ჯო ვან ნიკერკი (სამხრეთ აფრიკა). სპეციალისტთა ვარაუდით, ძირითადი ბრძოლა ევროპელებს შორის უნდა წარმართულიყო, მათ შორის ფავორიტად კი ფრანგი ნახევარმცველი იყო მიჩნეული. პროგნოზი გამართლდა: საფრანგეთის ნაკრების შარშანდელი გამარჯვებების სულისჩამდგმელი, შერკინების ნახევარმცველი გალტიე IRB-მ მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ აღიარა.

"ძალიან ბედნიერი ვარ, - ასე დაიწყო თავისი გამოსვლა მსოფლიოს საუკეთესო მორაგბემ, - ბედნიერი ვარ ორმაგად: საკუთარი თავისა და გუნდის გამო. ეს ხომ მხოლოდ ჩემი გამარჯვება არ არის, ეს მთელი ნაკრების გამარჯვებაა. დიდი მადლობა ყველას აღიარებისთვის. ეს დღე არასდროს დამავიწყდება. მაგრამ არც ის მინდა, დღევანდელი გამარჯვება უკანასკნელი გამოდგეს ჩემთვის. პირად ჯილდოზე არ ვსაუბრობ. ჩვენი გუნდი ევროპაში საუკეთესოა. დროა, ახლა მსოფლიოში პირველობაზეც ვიფიქროთ. შემოდგომაზე, ავსტრალიაში, დიდი გამოცდა უნდა ჩავაბაროთ. ფრანგული და, საერთოდ, ევროპული რაგბის პრესტიჟი დასაცავია. ამის საუკეთესო საშუალება კი მსოფლიოს ჩემპიონობაა. სწორედ ამ დიდ გამარჯვებაზე ვოცნებობ და ყველაფერს გავიღებ, რათა მას მივაღწიო".

სხვათა შორის, ჩრდილო და სამხრეთული რაგბის დაპირისპირებაზე გუშინაც გაგრძელდა საუბარი. "ლენდმარკ ჰოტელში" შეკრებილი საზოგადოება პერმანენტულად წამოჭრიდა ხოლმე გასული მსოფლიო თასის ნახევარფინალსა და ფინალში მომხდარ ამბებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით ახალზელანდიელები გამოირჩეოდნენ და მომავალ მსოფლიო თასზე ევროპელებს რევანშით ემუქრებოდნენ. თუმცა, ალილო და ხვალეო...


ფაბიენ გალტიე

ჭადრაკი

# გონთა ბრძოლა - ადამიანი დაწინაურდა

კასპაროვი - "Deep Junior" 1:0

როგორც იქნა, დაიწყო მატჩი დიდ რუს მოჭადრაკეს გარი კასპაროვსა და "Deep Junior"-ს შორის. თავიდან რუსი დიდოსტატისა და "რკინის ყუთის" შეხვედრა იერუსალიმში 1-13 ოქტომბერს იგეგმებოდა, მაგრამ ორთაბრძოლა ჯერ დეკემბრისთვის, შემდეგ კი იანვრისთვის გადაიდო და ნიუ-იორკში ტარდება. გამარჯვებული 7 თებერვალს გამოვლინდება. ექვსი წლის შემდეგ კასპაროვი და კომპიუტერი კვლავ ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.

მეტოქეები, დროის კლასიკური კონტროლით (2 საათი 40 სვლისთვის), ექვს პარტიას გაითამაშებენ. საპრიზო ფონდი მილიონი დოლარია. რეგლამენტის თანახმად, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი, ყველა შემთხვევაში, 500 000 დოლარს მიიღებს. საპრიზო თანხის მეორე ნაწილი კი ასე განაწილდება - 300 000 გამარჯვებულს, 200 000 - დამარცხებულს. ფრეს შემთხვევაში, საპრიზო თანხის ნახევარს მეტოქეები თანაბრად გაინაწილებენ.

შაბათს, მანჰეტენის ცენტრში, ნიუ-იორკის "ატლეტიკ კლუბში", ტურნირი საზეიმოდ გაიხსნა. გაიმართა კენჭისყრა: პირველ პარტიაში გარი კასპაროვს თეთრი ფიგურები ერგო. გაიმართა პრესკონფერენცია. სიტყვა წარმოთქვა FIDE-ს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა. მან დაადასტურა, რომ ადამიანისა და კომპიუტერის ორთაბრძოლა ტრადიციული გახდება.


REUTERS
გარი კასპაროვი

სპეციალისტთა უმრავლესობა ფავორიტად ადამიანს მიიჩნევს. "მე დარწმუნებული ვარ, ადამიანი ფავორიტია! კასპაროვმა უნდა მოიგოს", - განაცხადა 1999 წლის FIDE-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონმა ალექსანდრ ჰალიფმანმა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კასპაროვის ახლანდელი მეტოქე ძლიერია "Deep Blue"-ზე, რომელმაც ექვსი წლის წინათ სწორედ კასპაროვი დაამარცხა და "Deep Fritz"-ზეც, რომელსაც ბახრეინში მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი დაუზავდა. "ვფიქრობ, "Deep Junior"-ი ადამიანისთვის უფრო სახიფათო მეტოქეა", - ამბობს გარი კასპაროვი.

შეჯიბრების პირველ დღეს სრულიად საპირისპირო სურათი მივიღეთ. თამაში ოთხ საათს გაგრძელდა. 27-ე სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა ებრაელი პროგრამისტების მიერ შექმნილი "რკინის ყუთი" აიძულა, კაპიტულაცია გამოეცხადებინა. კასპაროვმა დებიუტშივე აგრესიული თამაში წარმართა. "Deep Junior"-ი შეეცადა, ხარისხის შეწირვით უპირატესობა მოეპოვებინა, მაგრამ კასპაროვის ორგანიზებულ თავდაცვით ზღუდეებს წააწყდა და შეტევა ვერ განახორციელა. პირიქით, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი ფორსირებულ იერიშზე გადავიდა და პარტია ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა - 1:0 ადამიანის სასარგებლოდ.

# ვიშვანათან ანანდი - მეთორმეტე ლაურეატი

**ჰოლანდია. ვეიკ-ან-ზეე. საჭადრაკო სუპერტურნირი. მე-13 ტური:** *ივანჩუკი - პონომარიოვი 1:0, კარპოვი - კრამნიკი 0,5:0,5, ტიმანი - კრასენკოვი 0,5:0,5, ვან ველი - შიროვი 0:1, ტოპალოვი - გრიშჩუკი 0,5:0,5, რაჯაბოვი - პოლგარი 0,5:0,5, ანანდი - ბარეევი 0,5:0,5.*

ვეიკ-ან-ზეეს წლევანდელი, რიგით მე-12 ტრადიციული საჭადრაკო სუპერტურნირი დასრულდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა. მან 13 შესაძლებლიდან 8,5 ქულა დააგროვა და ნახევარი ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე მყოფ უნგრელ იუდით პოლგარს. არადა, უნგრელი, გამარჯვების შემთხვევაში, ანანდს ქულებით გაუთანაბრდებოდა, მაგრამ ახალგაზრდა აზერბაიჯანელი რაჯაბოვის წინააღმდეგობა ვერ დაძლია.

მიუხედავად ამისა, ვეიკ-ან-ზეეს ტურნირზე მიღწეული შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა იუდით პოლგარის საჭადრაკო კარიერაში. რაც შეეხება ანანდს, ის სწრაფად დაუზავდა ევგენი ბარეევს და ამით, პრაქტიკულად, პირველობა გაინაღდა. ბარეევი მესამე ადგილს დასჯერდა.

უკრაინელმა ვასილი ივანჩუკმა 29 სვლაში გაანადგურა თანამემამულე, FIDE-ს მსოფლიო ჩემპიონი რუსლან პონომარიოვი. ესპანელმა ალექსეი შიროვმა შავი ფიგურებით დაამარცხა მასპინძელი ლუკ ვან ველი. დანარჩენი პარტიები ყაიმით დასრულდა. საბოლოოდ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება


ვიშვანათან ანანდი

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 8,5 |
| 2. | იუდით პოლგარი (უნგრ.) | 8 |
| 3. | ევგენი ბარეევი (რუს.) | 7,5 |
| 4-8. | ვლადიმირ კრამნიკი (რუს.) | 7 |
| | ალექსეი შიროვი (ესპ.) | 7 |
| | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუს.) | 7 |
| | ვასილი ივანჩუკი (უკრ.) | 7 |
| | ლუკ ვან ველი (ჰოლ.) | 7 |
| 9-10 | ტეიმურ რაჯაბოვი (აზერ.) | 6,5 |
| | ვესელინ ტოპალოვი (ბულგ.) | 6,5 |
| 11-12 | რუსლან პონომარიოვი (უკრ.) | 6 |
| | ანატოლი კარპოვი (რუს.) | 6 |
| 13 | ალექსანდრ კრასენკოვი (პოლ.) | 4,5 |
| 14 | იან ტიმანი (ჰოლ.) | 2,5 |

# გარი კასპაროვი: "კომპიუტერს ბევრი პრობლემა აქვს"

*კომპიუტერულ პროგრამა "Deep Junior"-თან მატჩის დაწყებამდე გარი კასპაროვმა ინტერვიუ მისცა საჭადრაკო საიტ WorldChessRating-ს*

**- როგორ ემზადებით ფიზიკურად და მენტალურად ამ მატჩისთვის?**

- ვითვალისწინებ 1997 წელს "Deep Blue"-სთან შეხვედრის გამოცდილებას და ყველა იმ სცენარს, რომელიც ადამიანისა და კომპიუტერის დაპირისპირებაში დაგროვდა. განსხვავება ჩვეულებრივ და კომპიუტერის წინააღმდეგ მზადების პროცესებს შორის სულ უფრო მცირდება. მართალია, ჩვენ ჭადრაკის თამაშს ვაპირებთ, მაგრამ ამჯერად ზოგიერთი კორექციისა და მეტოქის ბუნების გათვალისწინებით. კაცმა რომ თქვას, როგორც უნდა მოემზადო, თამაშის მოგება მაინც საჭადრაკო დაფაზე მოგიწევს. ამისთვის კი საღად მოაზროვნე თავია საჭირო.

**- მატჩის ორგანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით, შეძლებთ კი თამაშზე კონცენტრაციას?**

- რასაკვირველია, მატჩთან დაკავშირებული პრობლემები, ვადის რამდენჯერმე შეცვლა, ერთ-ერთ მეტოქეზე ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს. რა თქმა უნდა, ერთ-ორთვიანი მშვიდობიანი ცხოვრება უკეთესი იქნებოდა, მაგრამ, იძულებული ხდები, იმით დაკმაყოფილდე, რაც გაქვს. პრინციპში, ბოლო სასამართლო პროცესმა უფრო მეტი სულიერი ძალა გამომაცალა, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა გადავადებამ. ვერ გეტყვით, უნდოდათ თუ არა ეს ებრაელ ბანკირებს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ისინი ისრაელის კომპიუტერული პროგრამის კარგი მოკავშირეები გამოდგნენ. იძულებული ვარ, ამ საქმესთან დაკავშირებით ადვოკატებთან მუდმივი კონტაქტი ვიქონიო, რადგან FIBI-ს (FIBI - ისრაელის ბანკი, საიდანაც კასპაროვმა სესხი აიღო, მაგრამ კასპაროვის მიერ ამ სესხით დაარსებული კომპანია გაკოტრდა, მოჭადრაკე კი სესხის გასტუმრებაზე უარს აცხადებს) მხრიდან ზეწოლა გრძელდება. ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი ჩემს მდგომარეობაზე მოქმედებს.

**- შეიძლება მატჩი წააგოთ?**

- როცა მანქანის წინააღმდეგ თამაშობ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. ადამიანებთან თამაში შედარებით ნაკლებ კონცენტრაციას ითხოვს, რადგან პაექრობის დროს ადამიანები ორმხრივად ცდებიან. პოზიციის გაუარესებასთან ერთად, ადამიანთა ბრძოლის უნარი იკლებს. კომპიუტერი კი, პირიქით, გავალდებულებს, პირველიდან ბოლო სვლამდე, მთელი გულისყურით იბრძოლო. უპირატესობის იდეალურ გამოყენებაზე შეიძლება მხოლოდ კომპიუტერული სიზუსტით ისაუბრო, რადგან მანქანა მათემატიკური სიზუსტით მოქმედებს, ანუ ერთი შეცდომა და... ყველაფერი დამთავრდება. თუმცა, 1997 წლისგან განსხვავებით, მე წარმოვიდგინე, რასთან მაქვს საქმე. მთავარი ის არის, შევძლებ თუ არა არასაჭადრაკო პრობლემათა დავიწყებას და ჩემი ყველა ჩანაფიქრის განხორციელებას.

**- მზად ხართ იმისთვის, რომ თქვენს მატჩს მუდმივად კრამნიკი-Deep Fritz-ის შეხვედრას შეადარებენ?**

- რასაკვირველია, საჭადრაკო პრესაში მრავლად იქნება ბახრეინის მატჩთან შედარებები, თუმცა, შეიძლება, ბევრმა არც იცოდეს, სინამდვილეში რა ხდებოდა მანამში. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ChessBaze-ს საიტზე ამას წინათ გამოქვეყნებული ინფორმაცია. "ვის უნდა მილიონის" გერმანულ ანალოგში ქალბატონმა 8000 ევრო ვერ მოიგო იმის გამო, რომ ვერ გაიხსენა კრამნიკის მოწინააღმდეგე პროგრამის სახელი. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ქალბატონს დარბაზიც ვერ დაეხმარა. არ ვიცი, მაგრამ მეჩვენება, რომ "Deep Blue"-სთან შეხვედრისას ჩემი მეტოქის სახელი ქვეყნის დასალიერზეც იცოდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში კარგია, რომ ასეთი ტიპის მატჩები სულ უფრო რეგულარული ხდება და მითიდან მნიშვნელოვან სამეცნიერო-სოციალურ ექსპერიმენტად ყალიბდება.

**- რას ფიქრობთ იმაზე, რომ *"Deep Junior"*-ის ვერსია მატჩამდეც და მისი მიმდინარეობის დროსაც შეიძლება შეიცვალოს?**

- ნიუ-იორკის მატჩის შედეგის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადადგმულია - შეიმუშავეს ობიექტური წესები. "Deep Blue"-სთან ჩემი დაპირისპირება წარიმართა დევიზით: "ყველაფერი კომპიუტერისთვის". ბახრეინში კი დიდი უპირატესობა მიიღო ადამიანმა. ის უპირატესობები, რაც კრამნიკმა მიიღო, უბრალოდ, დაცინვაა. ის ფაქტი, რომ პროგრამის ასლი მატჩის დაწყებამდე კრამნიკის განკარგულებაში აღმოჩნდა, ეწინააღმდეგება სპორტული ბრძოლის სულისკვეთებას. ამჯერად კი შეიქმნა "სუფთა თამაშის" პირობები. წესები ორივე მხარის გათვალისწინებით შეადგინეს. ამ საქმეში FIDE-მ დადებითი როლი შეასრულა. პირველად მატჩს ორგანიზაცია გაუკეთა დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ, რომელიც არ არის დაინტერესებული, ერთ-ერთმა მხარემ გაიმარჯვოს. სწორედ ამის წყალობით გახდა შესაძლებელი ოპტიმალური პირობები "სუფთა თამაშისთვის". ასე, მაგალითად, პირველად ისტორიაში, მატჩს მოემსახურება წესების კომიტეტი.

**- საოცარია, რომ კრამნიკმა Deep Fritz-თან მატჩში ისეთივე შეცდომები დაუშვა, როგორიც თქვენ - ხუთი წლის წინათ: მეტოქეს მაშინ დანებდა, როცა დაზავება შეიძლებოდა. როგორ შეიძლება მსგავსი კაზუსების თავიდან აცილება?**

- შეცდომების გამეორება იმაზე მეტყველებს, რომ ეს წმინდა ადამიანური შეცდომებია. რაც შეეხება დანებებას, ეს წმინდა ფსიქოლოგიური ფაქტორია. ადამიანი იმიტომ ნებდება, რომ კომპიუტერს ენდობა. გეჩვენება, რომ თუ მანქანა უკეთეს პოზიციაში რაღაც ვარიანტს ბოლომდე მისდევს, ესე იგი, მოგებულია. სამწუხაროდ, გვავიწყდება: ენდშპილში კომპიუტერის თუნდაც დიდი უპირატესობა ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ის უეჭველი გამარჯვების გზაზეა. არსებობს პოზიციათა მთელი რიგი, რომელიც მანქანას არ ესმის. ამიტომ მანქანის უპირატესობას დანებება კი არა, შემოწმება სჭირდება, მაგრამ ადამიანისთვის ძნელია ტრადიციული ინსტინქტების მოცილება.

**- ადამიანი იღლება, მანქანა - არა. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ფაქტი?**

- კომპიუტერს უამრავი სხვა პრობლემა აქვს. მანქანა, ჯერჯერობით, არ არის დამოუკიდებელი. ის პროგრამისტზეა დამოკიდებული. ადამიანის დახმარების გარეშე კომპიუტერს ყაიმის შეთავაზებაც არ შეუძლია. იდეაში კი უნდა შეიქმნას წესები, რომლებიც მეტოქეთა ობიექტური სირთულეების ნიველირებას მოახდენს. ვფიქრობ, რაღაც მომენტიდან ადამიანი მოგებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როცა 6-8 პარტიისგან შემდგარ მატჩში კომპიუტერულ პროგრამას, თუნდაც ერთ პარტიას მოუგებს. ხოლო თუ თავის ზენიტში მყოფი რომელიმე ადამიანი კომპიუტერს დაამარცხებს, ეს იმას ნიშნავს, რომ, ჯერჯერობით, ჩვენ უფრო ძლიერები ვართ.

**- საინტერესოა, როგორი იქნება თქვენი ტაქტიკა? კრამნიკმა განაცხადა, რომ "ანტიკომპიუტერული" სტრატეგია არ მუშაობს, რადგან, თამაშის შეცნობის თვალსაზრისით, მანქანებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ.**

- კომპიუტერის პოზიციების შეფასებისას პრობლემები რჩება, მაგრამ, მთლიანობაში, კრამნიკი მართალია. 2000 წელს, დორტმუნდში, კრამნიკმა "Deep Junior"-ი დაამარცხა, მაგრამ ხელმეორედ ამის გაკეთება გაუჭირდება. ტრადიციული "ანტიკომპიუტერული" თამაში არაფრის მაქნისია და მოყვარულთა ზღაპრები იმის თაობაზე, თუ a3 და h3 სვლებით როგორ ამარცხებენ კომპიუტერს, ცარიელი სიტყვებია. რასაკვირველია, ამ ტაქტიკით ერთი პარტიის მოგება შესაძლებელია, მაგრამ ამაზე სტრატეგიის აგება არ შეიძლება. ადამიანის მიზანია, ნორმალურ ჭადრაკში მოძებნოს "ანტიკომპიუტერული" სტრატეგიის ელემენტები. ამჟამად მზადების პროცესზე საგრძნობლად მოქმედებს ის ფაქტი, რომ კომპიუტერულ პროგრამებს აშკარად გამოკვეთილი შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი ახასიათებთ. ბედის ირონიით, ჭადრაკისადმი მიდგომის თვალსაზრისით, "Deep Fritz"-ი კრამნიკს ჰგავს, ხოლო "Deep Junior"-ი - კასპაროვს. ეს კი მოახლოებულ მატჩს სულ უფრო საინტერესოს ხდის.

კალენდარი

## 28 იანვარი


ჯორჯ ფორმენი

1938 - დაიბადა ლეონიდ ჟაბოტინსკი. საბჭოთა ძალოსანი. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

1939 - დაიბადა ვიქტორ შუსტიკოვი. საბჭოთა ფეხბურთელი. მოსკოვის "ტორპედოს" წევრი.

1943 - დაიბადა პოლ ჰენდერსონი. კანადელი ჰოკეისტი. 1972 წლის საბჭოთა კავშირი - კანადის მატჩების სერიის გმირი, მის მიერ გატანილმა შაიბებმა გადაწყვიტა სერიის ბოლო სამი მატჩის ბედი.

1948 - დაიბადა ჯორჯ ფორმენი. ამერიკელი მოკრივე. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი მძიმე წონაში 1973-1974 წლებში. 1994 წლის ნოემბერში ის მსოფლიოს უხუცესი ჩემპიონი გახდა. საჩემპიონო ბრძოლაში 45 წლის ფორმენმა მაიკლ მურერი დაამარცხა.




გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების კუპონი

28.01.03 N-26

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 20 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-ოთახიანი, მიშენებით, საერთო ფართი 120 კვ.მ, დიღმის ბაზართან. 53-83-65.

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ქირავდება გრიბოედოვზე ქუჩისპირა სარდაფი საკომერციოდ ან დაწყობად. 98-86-01.

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაგდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.

ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## მანქანები

სასწრაფოდ! იყიდება მაღალი კლასის ავტომანქანა "ჰუნდაი სონატა" სრული ელპაკეტით (ტყავის სალონით) 1995წ. 877 44 45 13

## სწავლება

კომპიუტერის საოფისე პროგრამებს და ინტერნეტს. ფასი: 40 ლარი. 34-12-28.

უცხო ენის სპეციალისტი შეასწავლის ინგლისურს და რუსულს პროგრამის შერჩევით, შეღავათიან ფასად. 34-12-28.

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 სალამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩევთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

იყიდება ბილიარდები: რუსული, კარამბოლი და პული. 34 84 85, 8(77) 42 50 82

ვთარგმნი გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

იყიდება ლაი-ლაიში ჩართული ნომერი. ფასი 25 ლარი. 8(93) 24 58 7

ვარ 40 წლის, გამოცდილი ბუღალტერი საერთაშორისო ბუღალტერიისა და კომპიუტერის ცოდნით. ვეძებ სამსახურს. 58 83 51

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 53 55

ფირმების რეგისტრაცია უმოკლეს ვადაში.
96-17-35
899 16 11 03

**გასართობი ცენტრი "არაგვი" სამუშაოდ იწვევს, 25 წლამდე ასაკის, გოგონებსა და ვაჟებს, შემდეგ ვაკანსიებზე:**

1. კრუპიე;
2. მიმტანი (მხოლოდ გოგონები);
3. მზარეული
4. დამლაგებელი

კრუპიებისა და მიმტანებისათვის ფუნქციონირებს მოსამზადებელი კურსები.

მოგვმართეთ მისამართზე: სანაპიროს 1. რესტორანი "არაგვი". $17^{00}$-$21^{00}$ -მდე.

**ტელ: 92-04-06, 92-04-08**




## აფიშა

### თეატრები

**მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ანსამბლ "მთიების" ძველი და ახალი თაობის კონცერტი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"სტუმარ-მასპინძელი", რეჟისორი ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ

**„ძველი სახლი - მეტეხის თეატრი„**
თეოდორ დოსტოევსკი "იდიოტი", რეჟ. სანდრო მრევლიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი (მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის 2 ლარი)

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
ირაკლი გაბაშვილის ნამუშევრების მემორიალური გამოფენა

**ძველი გალერეა**
"დაჯექი", ლია შველიძის გამოფენა-აქცია

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ბეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი
დას: 10:30; 14:00; 17:30; 21:00 სთ; ფასი 5,6,9,10 ლარი

**„რუსთაველი„**
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 16:30; 19:00; 21:30 სთ; ფასი 5,7,10 ლარი

**„ელისო„**
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 18:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

## TV პროგრამა 28 იანვარი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.45 ჰერაკლე
19.05 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.30 პერეკროსტოკი
20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული"
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „მაქსი ჩემი სიყვარული" მთ. როლებში შარლოტა რემპლინგი, ენტონი ჰოპკინსი
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „თოვლის პაპა"
10.10 მხ. ფილმი „ტაში ცალი ხელით"
11.45 დოკ. სერიალი „მოდა ყველასათვის"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.05 დოკ. სერიალი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
14.00 „ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი „ქალწულების თვითმკვლელობა"
16.50 „სჯობს სახელისა მოხვეჭა"
17.15 ტელევიზიის ოქროს ფონდიდან - „პეპო"
17.30 შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ავიაშოუ"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „და არს მუსიკა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 დოკ. სერიალი „წყვილები და დუეტები"
22.15 „ჩვენი ფეხბურთი"
23.00 დღის ბოლოს
00.00 მხ. ფილმი „შეხვედრების ადგილი უცვლელია"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 გან. უცხოური მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „დუბლიორი"
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 რუსული მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მოკლე სეანსი
23.00 სველი ხაზი
00.00 ფილმი ბრავო „ფსკერზე"
01.45 ფილმი ღამურა „ჰელოუინი"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამბები ჩვენზე
21.00 ასპარეზი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „შეხვედრის ადგილი უცვლელია"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.50, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
09.30 „ბურთი და მოედანი"
09.50 მხ. ფილმი „დროის მანქანა"
10.30 დოკ. ფილმი
11.00 მხ.ფ. „არგენტინელი ქალი ნიუ-იორკში"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. „ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ"
22.30 ძველი კინო - მხ. ფილმი „ყვირილი"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „მართალი ტყუილი"
15.00 მხ. ფილმი „სამი სურვილი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „დიდიე"
19.20 სპექტრი
21.00 დოკ. ფილმი
21.50 მხ. ფილმი „სახის გარეშე"

### მეცხრე არხი

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
10.05 მხ. სერიალი „ზურგის ქარი"
10.50 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი"
11.10 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ადვოკატი პორტა"
12.50 მხ. ფილმი „დედამ ჯარისკაცის ჩექმა ჩაიცვა"
14.45 მხ. ფილმი „მთავარი ეჭვმიტანილი"
16.20, 19.50, 23.50, 02.20 მუსიკა
16.30 დოკ. ფილმი „ველური ბუნება" 89-ე სერია
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ქარი" მე-60 სერია
18.30 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი" მე-8 სერია
20.00 დოკ. ფილმი „მსოფლიო ფერწერის ისტორია" „ოქროს სამი საუკუნე"
21.00 მხ. სერიალი „ადვოკატი პორტა"
21.50 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური", „ჰავანის ძველი ქალაქი კუბა"
22.05 მხ. ფილმი „მკვლელის წერილები"
00.20 მხ. ფილმი „ურტყი ქვალში"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.40 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 22.00, 00.00 „დღეს"
09.30 მუსიკა
10.00 საგავშვო ფილმი „არასასიამოვნო თავგადასავლები მაიმუნებთან"
12.15 კომედია „რა მოუვა ბოზს"
13.50 მხატვრული ფილმი „აფიორა"
16.15 მულტფილმი „სასწაულებრივი გადარჩენა"
17.20 კომედია „სამი ძმბილი"
19.20, 23.05, 00.30 „ნოვოსტი"
19.40 Пресс-папье
19.30, 22.50, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
20.00 სათავგადასავლო დრამა „ჯილაგი" 2 სერია
22.50 Пресс-папье
23.00 „გალერეა"
23.10, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.15, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.20 დოკუმენტური ფილმი
01.10 ისტორიული ფილმი „ლეგენდა ენეოსზე"
03.30 დრამა „ცირკი დაიწვა, ჯამბაზები გაიფანტნენ"

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 „ბედნიერი ერი"
09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 მელოდია
10.50 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
11.25 მობილურები
12.05 „ბიორითმი" - ალსუ.
12.25 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.15 დისნეი და მისი მეგობრები
13.35 კომპიუტერული ტექნიკა
14.20 ჰოროსკოპი
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.05 სპორტული პროგრამა
20.45 „ღამის კაპრიზი" - თემა: შენი თვალები.
21.50 მობილურები
22.30 „კინოკლუბი" - „დიდი მერილინი" 1 სერია.
00.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
00.50 „ბიორითმი" - ალსუ.

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.05 Боевик „Русский транзит", 5 с.
12.05 „Шутка за шуткой"
12.35 Дисней-клуб: „Переменка"
13.15 Худ.фильм „Короткая игра"
15.00 „Новый день". Искатели
15.30 „Новый день". Клоуны. „Карандаш и Клякса"
16.15 Сериал „Атомный поезд", 1 с.
17.00 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов"
18.00 „Большая стирка"
19.30 „Сати". Е.Миронов
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
21.00 „Слабое звено"
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов"
23.45 Док.фильм „Неизвестная блокада"
00.50 „Новый день". „Теория невероятности"
01.20 „Новый день". „Первобытные охотники третьего тысячелетия"
01.50 „Апология"
02.55 Боевик „Неудержимый: Чарли"

### РТР

06.45 Доброе утро Россия!
09.45 Сериал „Леди босс"
10.40 Сериал „Дневник убийцы"
11.35 Экспертиза
11.45, 18.45, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Корнуольская тайна"
13.10 Худ.фильм „Адвокат"
14.30 Колоссальное хозяйство
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех"
17.15 Сериал „Простые истины"
17.45 Экспертиза
18.20 Дорожный патруль
18.35 Вести-спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди босс"
22.50 Сериал „Дневник убийцы"
23.50 „Вести +"
00.20 Вести-спорт
00.30 Худ.фильм „Стелс" в действии"
02.25 Дорожный патруль

### НТВ

09.35 Утро на НТВ
10.05 Сериал „Скорая помощь 6"
11.00 Сегодня утром
11.25 „Национальная безопасность: тропы наркомафии".
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Кулинарный поединок". Италия-Франция
13.05 Комедия „Кот в мешке"
14.40 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.30 „Как защитить себя от хамства?" Ток-шоу „Принцип „Домино"
18.05 Боевик „Кодекс чести"
19.20 Док. драма „Преступление и наказание"
20.40 Сериал „Право на защиту"
21.45 Боевик „Кодекс чести", 2 с.
23.00 „Сегодня вечером"
23.35 Сериал „Секс в большом городе"
00.15 Детектив „Право на защиту"
01.15 Гордон
02.10 Сериал „Солдаты удачи"

**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**
**ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში**

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.

მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ $15^{00}$ საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.

განცხადებები მიიღება ყოველდღე $9^{30}$ -დან $15^{00}$ -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.















# ჰოჰენშტაუფენების დაბრუნება

## ანუ როცა ისტორიკოსები ცდებიან

*ღრმეს მადლობას მოვახსენებ მის იმპერატორულ და მეფურ უდიდებულესობას, პრინც პაოლო ფრანჩესკო I ბარბარა ჰოჰენშტაუფენ – შვაბიელის ოჯახს, პირადად მის მეუღლეს, პრინცესა ლალის იტალიის ნაციონალურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების რეზიუმირებისა და მოწოდებისათვის.*
*ამავე დროს ბოდიშს ვუხდი მკითხველს იმის გამო, რომ გაზეთის ფორმატი საშუალებას არ იძლევა მოწოდებულ მასალას უაღრესად საჭირო და აუცილებელი კომენტარები დაერთოს.*
*იმედს ვიტოვებ, რომ ამ ხარვეზებს მომავალში მათ უდიდებულესობებთან ინტერვიუთი შევავსებ.*
მთარგმნელი ქეთევან ჯერვალიძე

### ჰოჰენშტაუფენთა მოდგმის შეჩვენება

1245 წლის 17 ივლისს ლიონის საეკლესიო კრებაზე პაპმა ინოკენტი IV-მ გერმანელ ხალხთა საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის, გერმანიის, სიცილიისა და იერუსალიმის მეფის, ფრიდრიხ II-ის მისამართით შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: "მე, ინოკენტი IV, ღვთისაგან დადგინებული ქრისტიანი ხალხების რწმენისა და ერთიანობის დასაცავად, დაცვად კეთილმორწმუნეთა და დასჯად ბოროტმოქმედთა, მივიჩნევ, რომ ფრიდრიხმა, როგორც არაერთგზის დამნაშავემ, ეკლესიიდან განკვეთილმა, უპატივცემულობის, მკრეხელობისა და მწვალებლობის გამო, თავის გასამართლებლად არაფერი მოიმოქმედა, ამიტომ ჩემთვის ბოძებული უფლებამოსილების შესაბამისად – ვათავისუფლებ ფრიდრიხის ქვეშევრდომებს მის წინაშე დადებული ფიცისაგან. ყოველ მათგანს ეკლესიიდან განკვეთის შიშით ვუკრძალავ, ცნოს იგი იმპერატორად და მეფედ... აუცილებელია, ეს გველთა მოდგმა უკანასკნელ ნაშიერამდე ამოწყდეს, რათა შემდგომად ამისა საიმპერატორო და სამეფო გვირგვინი ველარასდროს დაიდგან."

### Stupor mundi და "ანტიქრისტე"

ფრიდრიხ II დაბადებისთანავე ინოკენტი III-ის სამიზნედ იქცა. სწორედ ეს ფრიდრიხი იყო ძე ჰაინრიხ VI-ისა და შვილიშვილი ფრიდრიხ ბარბაროსასი...

XII საუკუნის ღვთისმეტყველის, ჟოაკინ ფიორელის წინასწარმეტყველებათა შორის იყო ერთი, რომელიც იუწყებოდა: მონაზონი თვინიერ ნებისა თვისისა დაორკეცდებაო ეშმაკისაგან და იშვისო მისგან ანტიქრისტე. ის უნდა გახდესო "სოფლის მპყრობელი", "ცეცხლი ყოვლის დამწველი" და "მნათე იტალიისა". კალაბრიელი ბერის ამ წინასწარმეტყველებას ლეგენდარული მერლინის წინასწარმეტყველებაც დაერთო, რომლის თანახმადაც "საბედისწეროდ იქცეოდა უცაბედი შობა იმისა, "იყო ვინაც ანგელოსი, ღირსი ოთხად განწვალებისა" და ვინც თავისებში გახდებოდა "მძვინვარე ლომი"

როცა 1194 წლის 26 დეკემბერს ქალაქ ჯეზის (იეზის) ბაზრის მოედანზე გაშლილ კარავში იმპერატორ ჰაინრიხ VI-ის ორმოც წელს გადაცილებულმა მეუღლემ კონსტანცა ალტავილელმა ძე შობა, ბევრი მასში მომავალ ანტიქრისტეს ჭვრეტდა. თითქოს ყველაფერი თანხვდებოდა: იმპერატორის მეუღლე, სიცილიის მეფის როჯერო II-ის ასული (მას დანტე ალიგიერიც იხსენიებს), რომელსაც გათხოვებაზე ფიქრიც კი ზარავდა, ფრიდრიხ I-ის, ბარბაროსას ძეზე დასაქორწინებლად მონასტრიდან გამოიყვანეს. თვით მუცლადღების ფაქტიც კი თავსდებოდა წინასწარმეტყველების სურათში: დედობა რვა წლის უნაყოფო ცოლქმრობის შემდეგ, თანაც ასეთ ასაკში მოულოდნელი იყო. სწორედ ამ მუცლადღების უნიკალურობა კვებავდა მათ რწმენას, ვინც შობილის სატანური ბუნებისაკენ იხრებოდა.

### ფრიდრიხ II-ის შთამომავალნი

ფრიდრიხ II-ს ბევრი შვილი ჰყავდა კანონიერიც და ისე შეძენილ–აღიარებულნიც, სახელდობრ: კონსტანცა არაგონელისაგან (1209 წლის ქორწინებით) დაიბადა ჰაინრიხი; იოლანტა ბრიენელისაგან (1225 წლის შეუღლებით) იშვა კორადო IV (კონრადი); იზაბელა ინგლისელთან 1235 წლის ქორწინებით – მარგარიტა და ჰაინრიხი; ბიანკა ლანჩისაგან - კონსტანცა, მანფრედი და ვიოლანტა; ადელაიდა ურსინჰელისაგან – ენცო და კატერინა; მარია მატილდა ანტიოქიელისაგან - ფრიდრიხი; ვიღაც მანასაგან რიკარდო; ისტორიისათვის უცნობი ქალებისაგან კი დაიბადნენ: ანეზე, სელვაჯო, ბიანკოფორე და მარგარიტა. ოფიციალურ ისტორიოგრაფიას ფრიდრიხ II-ის მხოლოდ ზოგიერთი შვილის ცხოვრებიდან მოაქვს ინფორმაცია, რაც ლოგიკურია, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ჩრდილში ყოველთვის რჩებოდა სწორედ ის მემკვიდრე, რომელმაც ამ დინასტიას შთამომავალნი ჩვენს დრომდე მისცა.

ფრიდირხ II-ის ერთადერთი ძე, რომელიც ჰოჰენშტაუფენთა მამრობით ხაზს ჩვენს დრომდე აგრძელებს ფრიდრიხ ანტიოქიელია, ისტორიკოსების მიერ ყველაზე ნაკლებ შესწავლილი პიროვნება. თვალყური მივადევნოთ მისი ცხოვრების ამბებს და ვნახოთ, როგორ იცავენ თავიანთ უფლებებს მის შთამომავალთაგან ჯერჯერობით უკანასკნელნი.

### ფრიდრიხ ანტიოქიელიდან პაოლო ფრანჩესკო I ბარბაჩამდე

V ჯვაროსნული ლაშქრობის დროს 1228 წელს ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენ–შვაბიელმა იქორწინა ანტიოქიური დინასტიის პრინცესაზე, საფრანგეთის მეფის ფილიპე I-ის ასულ კონსტანცასა და ანტიოქიელი პრინცის, ბოემუნდოს ასულ მარია მატილდაზე. სწორედ ამ კავშირის შედეგად, 1229 წელს დაიბადა ფრიდრიხი, რომელმაც შემდგომში დედის სამკვიდროს მიხედვით სახელად ფრიდრიხ ანტიოქიელი მიიღო.

იტალიაში მამასთან ერთად დაბრუნებულმა პრინცმა მარგარიტა პოლიელზე იქორწინა. ეს ქალბატონი



ვირტუალური ფრიდრიხ II და მისი შთამომავალი. ყველაზე ტიტულოვანი ევროპელი



ტევტონთა ორდენის გერბი



გერმანიის იმპერატორთა გერბი

ქალაქ სუბიაკოში ადგილ-მამულების სიმდიდრით იყო ცნობილი. მათ ხუთი შვილი შეეძინათ: სამი ასული და ორი ძე. 1244 წელს ფრიდრიხ ანტიოქიელს მარკეს მხარის, ხოლო ერთი წლის შემდეგ ტოსკანას გენერალურ ვიკარად (ნაცვალი) ნიშნავენ. 1246 წელს იგი უკვე ტოსკანას მეფის ტიტულს ღებულობს, რასაც ფლორენციაში იმპერატორის პოდესტობა (მერობა) მოსდევს. 1249 წლის 29 აპრილს ფრიდრიხ ანტიოქიელი ქალაქ კაპრიაში ფლორენციიდან გაძევებული გველფების შტაბ-ბინას იკავებს და მაისის ბოლოს პიზაში ბრუნდება. კონრად IV-ესა და მანფრედს შორის ატეხილ შინაომში მან პირველის მხარე დაიჭირა. კონრად IV-მ ამ დახმარებისათვის ფრიდრიხ ანტიოქიელის ალბას, ჩელანოს და გაეტას გრაფობა უბოძა. 1256 წელს (ზოგი წყაროს მიხედვით კი 1257 წელს) ფრიდრიხი, ქალაქ ფოჯის შემოგარენში, პაპის ჯარისკაცების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა და ახლა იგი პალერმოს კათედრალურ ტაძარში მამამისის გვერდით განისვენებს.

ფრიდრიხ ანტიოქიელის შვილებისაგან მომდინარეობს ორი შტო, რომელმაც ჩვენს დრომდე მიაღწია, სახელდობრ: ფრიდრიხ IV ანტიოქიელ-შვაბიელისაგან (დ.1245) წარმოიშვა "ბარბაჩას" განშტოება, ხოლო კონრადინ IV, გრაფ ალბიელისაგან (დ.1240) კი "კაპუტოს განშტოება"

რამდენიმე მიზეზის გამო ჩვენ მხოლოდ პირველს განვიხილავთ. ჯერ ერთი პატივს მივაგებთ იმ ძალისხმევას, რაც ბარბაჩას დინასტიის უკანასკნელმა წარმომადგენლებმა გამოიჩინეს ტრადიციების დაცვის საქმეში და მეორე – სწორედ ისინი გამოჩნდნენ ახლახან ტელევიზიასა და ნაციონალურ პრესაში.

ფიდრიხ IV ანტიოქიელ-შვაბიელი, დაქორწინდა გრაფინია მარგარიტა ესკოლელზე, რომელთანაც შეეძინა ხუთი შვილი. მათ შორის უფროსი იყო ბართოლომეო ანტიოქიელი (დ.1270), რომელმაც დაუდო სათავე ბართლომეოსთა აზნაურულ ოჯახს. ამის შემდგომ ზედმეტად მიგვაჩნია რა ამგვარის მთელი გენეალოგიური ხის წარმოჩენა, გადავწყვიტეთ მხოლოდ მისი უმთავრესი მომენტებით შემოვიფარგლოთ. ბართოლომეო I-ის პირდაპირი შთამომავალი იყო ბარბაჩ-ბარბაცად სახელდებული ანდრია I, რომელმაც ბოლონიელი აზნაურის ასულ მარგარიტა პეპოლიზე იქორწინა. საზოგადო სახელის - ბარბაჩას საფარქვეშ ოჯახი ბოლონიაში გადავიდა. იქ მათ დიდი საჯარო და პოლიტიკური თანამდებობები ეკავათ და მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის ბოლომდე დარჩნენ; მანამდე, სანამ ფილიპე I ბარბაჩას შთამომავლები სიცილიაში არ დაბრუნდნენ. შემდგომში ამ მიწაზე, კერძოდ კი გოდრანოში (პალერმოს პროვინცია) იბადებიან ბარბაჩას გვარის უკანასკნელი თაობები, შთამომავალნი ჰოჰენშტაუფენებისა. კვლავაც ცოცხალია პრინცი პიეტრი I, დაბადებული 1920 წელს. იგი არის პაოლო ფრანჩესკო I-ის მამა, რომელიც 1946 წელს გოდრანოში დაიბადა და ამჟამად ქალაქ პოჯიბონსში (პროვინცია სიენა) ცხოვრობს და ევროსაბჭოში დიპლომატიური თანამდებობა უჭირავს.

### ისტორიული ობიექტურობა

ანტიოქიისა და შვაბიის მემკვიდრე პრინცის პაოლო ფრანჩესკო I ბარბაჩის პიროვნებით მასმედია რამდენიმე თვის წინათ დაინტერესდა. რადგან სწორედ მას აქვს ხელთ უტყუარი მასალები და 1984 წლიდან სწორედ ის ებრძვის ოფიციალური ისტორიოგრაფიის ვერსიას, რომლის თანახმადაც 1268 წელს "უკანასკნელი მემკვიდრის" კონრადინ შვაბიელის სიკვდილით ამოწყდა ჰოჰენშტაუფენების საიმპერატორო დინასტიის შთამომავლობა მამრობითი ხაზით. სამწუხაროდ ყველა , ვინც კი ინტერვიუ აიღო პაოლო ფრანჩესკო ბარბაჩასაგან იმის მაგივრად, რომ ყურადღება დოკუმენტების სიმართლეზე შეეჩერებინა და დეტალურად განეხილათ იგი, მხოლოდ არგუმენტების ღირსშესანიშნაობით შემოიფარგლა და სავოიებთან იტალიის სამეფო ტახტზე თეორიული უფლებებისა და უპირატესობათა შესახებ კამათის გაჩაღებას შეეცადა.

"უტყუარი სიგელები", კორესპონდენციები და საარქივო მასალები ადასტურებენ, რომ პაოლო ფრანჩესკო I ბარბაჩას "პრინცის" ტიტულით მიმართავენ ინგლისის, ბელგიის, ესპანეთის სამეფო ოჯახები, პრინცი რანიე მონაკოელი და აგრეთვე ვიტორიო ემანუელ IV სავოია.

პაოლო ფრანჩესკო I ბარბაჩამ კარგად იცის, რომ რესპუბლიკური სახელმწიფო არ ცნობს აზნაურულ ტიტულებს და ამის გამო ყოველივე ის, რაც დინასტიური უფლებების მოპოვებას ეხება, ნაკლებ წარმატებულია.

მასმედიაში მოჰყავდათ ცნობა დნმ ანალიზების შესახებ, რომელთაც დაამტკიცეს პაოლო ფრანჩესკო I ბარბაჩას ამ გვარისადმი კუთვნილების კანონიერება. მაგრამ ეს არ არის მართალი. ჰიპოთეზა ანალიზის შესახებ თვით ბარბაჩამ წამოაყენა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მისი დნმ-ის შედარება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც საღმა აზრმა პრინცი აიძულა ხელი აეღო ამ წამოწყებაზე ბიუროკრატიული სიძნელეების გამო, რაც ყოველთვის ახლავს ხოლმე დამკვიდრებული სამეცნიერო აზრის შეცვლას.

ამგვარად, ინოკენტი IV-ის წყევლა დღემდე მხოლოდ იმაში გამართლდა, რომ ჰოჰენშტაუფენებმა "შემდგომად ამისა ველარასოდეს დაიდგანო "საიმპერატორო და სამეფო გვირგვინი", მაგრამ ის შეცდა, როცა იწინასწარმეტყველა ამ გვარის გადაშენება "უკანასკნელ ნაშიერამდე".

ბატონი პაოლო ფრანჩესკო I ბარბაჩა ჰოჰენშტაუფენ-შვაბიელი გახლავთ ევროპის ყველაზე ტიტულოვანი პიროვნება. მისი და შესაბამისად მისი მეუღლის სრული ტიტულატურა შემდეგია:

მისი იმპერატორული და მეფური უდიდებულესობა, პრინცი - გერმანელ ხალხთა საღვთო რომის იმპერიისა, კარინტიის, პომერანიისა და ანტიოქიისა; მეფე – გერმანიის რომის, იტალიის, სიცილიის, იერუსალიმისა და ტოსკანასი; ჰერცოგი – შვაბიის, ბავარიის და ტურინის; გრაფი – ზალცბურგის, ბურგონისა და ა.შ. მეთაური შტაუფენების სუვერენული შვაბიური და ატავილების ნორმანული დინასტიისა.

# კმაყოფილი „როლინგ სტოუნზი" 40 წლის თავზე

ახალი წელი "როლინგ სტოუნზის" ცხოვრებაში ახალი კონტრაქტებით და შარშან დაწყებული მსოფლიო ტურნეს მეორე სერიით გაგრძელდა. იანვრის დასაწყისში "სტოუნზმა" "ფორდ მოტორთან" გააფორმა ხელშეკრულება და კომპანიამაც ახალი სარეკლამო კამპანიის წარმმართველ მელოდიად 1981 წლის ჰიტი, Start Me Up გამოიყენა. როგორც ჩანს, ეს სიმღერა ჯერ კიდევ არ დაძველებულა იმისთვის, რომ მსმენელი აქტიური ცხოვრებისთვის განაწყოს. Start Me Up "სტოუნზის" პირველი სიმღერაა, რომელიც ავტომოყვარულების გამოფხიზლებას შეეცდება. მანამდე მისი საშუალებით ბილ გეიტსი ჰყიდდა "მაიკროსოფტ ვინდოუსის" 1995 წლის ვერსიას და ამაში ჯგუფს 12 მილიონ დოლარს უხდიდა...

ეთერიდან "ფორდის" პოტენციური კლიენტების სმენის დატკბობის შემდეგ, უკვე იყო რამდენიმე გრანდიოზული კონცერტი, მათ შორის, ერთი ნიუ იორკის, "მედისონ სქვეარ გარდენში", რომელიც ტელე-არხმა HBO-მ პირდაპირი ეთერით გადასცა (ეს გახლდათ ჯგუფის პირველი, ცოცხალ ტელე-ეთერში გადაცემული კონცერტი).

15 იანვარს იყო კიდევ ერთი, თითქოს უმნიშვნელო ისტორიული თარიღი: 36 წლის წინ, 1967 წელს, "სტოუნზი" ედ სალივანის შოუში გამოვიდა და სიმღერა Let's Spend the Night Together (მოდი, ერთად გავატაროთ ღამე) შეასრულა, თუმცა, "მცირედი" ცვლილებით – ცენზურის მოთხოვნები რომ დაეკმაყოფილებინათ, ტექსტი ასე გადააკეთეს - "მოდი, ცოტა ხანს ვიყოთ ერთად"...

შემდეგ, კონცერტსა და კონცერტს შორის, მიკ ჯაგერმა დასასვენებლად თავის კარიბულ ვილაზე გამგზავრებაც მოასწრო, რათა თოვლიან ზამთარში მზისა და ზღვის კონტრასტულობით დამტკბარიყო... მერე კი, განახლებული ენთუზიაზმით მსმენელის წინაშე ჰიუსტონში წარსდგა. სამშაბათს, "სტოუნზი" ოკლაჰომაში იმღერებს, 8 თებერვალს კი ლას ვეგასში გამართავს ბოლო ამერიკულ კონცერტს.

მორიგი დიდი თარიღი ჯგუფის კალენდარში 18 თებერვალი იქნება. ამ დღეს "როლინგ სტოუნზის" ავსტრალიური ტურნე იწყება. მცირეხნიანი ინტერვალის შემდეგ, 4 ივნისიდან როკერები ევროპაში გადაინაცვლებენ. მიუნხენი, ობერჰაუზენი, ბერლინი, ლაიფციგი, ჰოკენჰაიმი, მარსელი, პარიზი, კოპენჰაგენი, ჰელსინკი, სტოკჰოლმი, ჰამბურგი, ჰანოვერი, როტერდამი, ამსტერდამი და ბოლოს, 29 აგვისტოს, ტურნეს ბოლო პუნქტი – ლონდონი, უემბლის სტადიონი – ასეთია მათი მარშრუტი. სხვათა შორის, ჰოლანდიის რამდენიმე, ხოლო შვედეთისა და ლონდონის კონცერტის ბილეთები უკვე გაყიდულია.

როგორც ხედავთ, ევროპა ისევე სულმოუთქმელად ელის მიკ ჯაგერსა და მის ჯგუფს, როგორც წლების წინ. ისიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებას "სტოუნზის" სიმღერების გარდა, მათი პრეს-კონფერენციების მოსმენაც არანაკლებ სურს. ე.წ. "ბრიყვული პასუხების" ტრადიციას, რომელსაც "ბითლზმა" ჩაუყარა საფუძველი, "როლინგ სტოუნზი" დღესაც წარმატებით აგრძელებს. ამას როკ-კრიტიკოსები ასეთ კომენტარს უკეთებენ: როდესაც "სტოუნზის" წევრები დაინახავენ, რომ რაღაც კარგად გამოსდით, შემდეგ სულ იმეორებენ. როგორც ჩანს, ნახევრად სულელური, მაგრამ ამავე დროს სასაცილო პასუხების მოფიქრება – "როლინგ სტოუნზის" მართლაც კარგად გამოსდის. ალბათ, დღესაც ამიტომ იყიდება დიდი წარმატებით აუდიო და ვიდეო-კასეტები მათი ინტერვიუებით.



რონ ვუდი და მიკ ჯაგერი

ახლახან ამ ენაკვიმატი პასუხების კოლექციას კიდევ ერთი პრეს-კონფერენცია შეემატა. "სტოუნზის" დაბერებული წევრები მონრეალიდან, სატელიტური არხის საშუალებით, ლოს ანჯელესში შეკრებილი ჟურნალისტების კითხვებს პასუხობდნენ და თან, ისეთივე დახვეწილი იუმორით, როგორც წლების წინ. მთავარ როლში კეიტ რიჩარდსი გახლდათ:

- რით განასხვავებთ საკუთარ თავს იმ ჯგუფებისგან, რომელთაც წლების განმავლობაში მრავალი წევრი დაკარგეს?

**რიჩარდსი**: მათგან განსხვავებით, ჩვენ ჯერაც ცოცხლები ვართ.

- ჰიუსტონში 25 რიცხვში გამოდიხართ. რით იქნება ეს შოუ 18 იანვარს ჩატარებული კონცერტისგან გამორჩეული?

**რიჩარდსი**: ის რამდენიმე დღით გვიან ჩატარდება.

- ჩარლი (*მიმართავენ ჩარლი უოტსს*), კონცერტების დროს თქვენ ყოველთვის საშინლად მოწყენილი მეჩვენებით. ახლაც თითქოს, აქ არ ხართ და სადღაც, ცაში დაფრინავთ. რას ნიშნავს ეს? მუსიკა თქვენზე ისევ დადებითად მოქმედებს, თუ ეს უბრალოდ თქვენი ბუნებრივი პოზაა?

**უოტსი**: ორივე.

- არის თუ არა იმის შანსი, რომ ბილ უაიმენმა თქვენთან ერთად ერთხელ კიდევ დაუკრას?

**რიჩარდსი**: ის შეიძლება მხოლოდ სამგლოვიარო ცერემონიალისთვის დაბრუნდეს.

- სიმღერას Satisfaction-ს უკვე ორმოციოდე წელია, ასრულებთ. არ მოგბეზრდათ?

**რიჩარდსი**: რა თქმა უნდა, არა. ეს ძალიან კარგი სიმღერაა და ყოველ შესრულებაზე ახალი მნიშვნელობით ვმღერით.

მსოფლიო ტურნე, რომელიც ჯგუფის 40 წლის იუბილეს აღსანიშნავად იმართება, დიდი ფინანსური მოგებითაც გამოირჩევა: 2002 წელს, "როლინგ სტოუნზი" მეორე ადგილზე გავიდა და 34 შოუში 87.9 მილიონი დოლარის მოგება ნახა. თუმცა, ეს არაფერია ჯგუფის 1994 წლის რეკორდთან შედარებით: Voodoo Lounge-ის ტურნე 121 მილიონი დოლარის ოდენობის შემოსავლით ჩრდილოეთ ამერიკაში გამართულ ტურნეებში ყველაზე მომგებიანი აღმოჩნდა.

მოკლედ, უბერებელ "როლინგ სტოუნზს" მსოფლიო ახალ საუკუნეშიც აღფრთოვანებით ხვდება. ალბათ, ამიტომაც მიიჩნევს მიკ ჯაგერი, რომ როკი არ მომკვდარა, რომ მას კვლავაც მრავალი ახალგაზრდა თაყვანისმცემელი და ნიჭიერი შემსრულებელი ჰყავს. ამასობაში კი, მიკ ჯაგერიც და კეიტ რიჩარდსიც 60 წლის ხდებიან...

— კალეიდოსკოპი —

### ვამპირის ხსოვნას

სიგიშოარას მცხოვრებლებისა და ისტორიკოსების საპროტესტო გამოსვლებს მათთვის სასურველი შედეგი მოჰყვა: რუმინეთის მთავრობა "დრაკულას პარკს" დედაქალაქში, ბუქარესტში გახსნის. რუმინეთის ტურიზმის მინისტრის, მათეი დანის განცხადებით, ამ გადაწყვეტილების საფუძველი ეკონომიკოსთა რჩევებიც იყო, რომელთა აზრითაც ტურისტების ამგვარი სანახაობით მისაზიდად ბუქარესტი საუკეთესო ადგილი იქნება.

რუმინული პროვინცია სიგიშოარა რომანტიკული და საშინელი გმირის, გრაფ დრაკულას სამშობლოა – მე-15 საუკუნეში ლეგენდარული ვლადი სწორედ აქ დაბადებულა. სისხლისმსმელი გრაფის შესახებ თქმულება საშინელებათა რომანებისა და ფილმების საფუძველი გახდა, და დღეს დრაკულას უკვე მთელი მსოფლიო იცნობს.

სიგიშოარას მოსახლეობის, ისტორიკოსებისა და გარემოს დამცველების გარდა პროვინციის დრაკულას პარკისგან გადასარჩენად იუნესკომაც გაიბრძოლა – პროვინციის შუასაუკუნეობრივი ცენტრი ამ ორგანიზაციის მიერ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

ბუქარესტის ტერიტორიაზე, 60 ჰექტარის ფართობზე განლაგებული შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრისა და საპყრობილედ ქცეული კოშკის კარები კი, სულ მალე ავისმომასწავებელი ჭრიალით გაიხნება პირველი სტუმრების მისაღებად. ტურიზმის მინისტრის თქმით, სამი წლის შემდეგ პარკი ყოველწლიურად მილიონ ტურისტს მიიზიდავს, რომელთაგანაც 19 პროცენტი უცხოელები იქნებიან.

### არგენტინელები ანტარქტიდაში

არგენტინული ტურისტული ფირმა "აეროედი" თავის კლიენტებს განუმეორებელ მოგზაურობას სთავაზობს. ეს სულ ერთდღიანი სიამოვნებაა: სამ საათში მსურველი ანტარქტიდაში აღმოჩნდება, საგანგებოდ აღჭურვილი მანქანით მარამბიოს სამხედრო ბაზასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გაისეირნებს, პინგვინების კოლონიას გაეცნობა და სამხედრო სასადილოში სადილის რომანტიკასაც ეზიარება. ანტარქტიდაში გავლა-გამოვლის ფასი 630 დოლარია.

ყინულის კონტინენტზე რეგულარული რეისები 7 იანვარს დაინიშნა და აპრილის დასაწყისამდე გასტანს. ცეცხლოვანი მიწის არქიპელაგზე მდებარე უშუაია, საიდანაც თვითმფრინავები მიფრინავს, მსოფლიოში ყველაზე სამხრეთით განლაგებული ქალაქია. ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულები არამარტო არგენტინელები აღმოჩნდნენ – მახვილგონიერებით გამორჩეულ ტურისტულ ფირმას ეგზოტიკური თავგადასავლის სურვილით შეპყრობილი უამრავი უცხოელიც მიაწყდა.

### ყველაზე დიდი მზის საათი

ლონდონის სამხრეთ ნაწილში, გრინვიჩის სამეფო ობსერვატორიაში, 40 მეტრიანი მზის პირამიდის მოდელია გამოფენილი. ეს კონსტრუქცია, მსოფლიოში ყველაზე დიდი საათის მექანიზმი, გიგანტური მზის საათის ფუნქციას შეასრულებს. სულ მალე მზის პირამიდა სამეფოს უდიდესი სკულპტურული კომპოზიცია გახდება.

მოდელის გრინვიჩში, ნულოვანი მერიდიანის "ადგილსამყოფელში" განლაგება სრულიად ბუნებრივი გადაწყვეტილება იყო. ობსერვატორიის დამთვალიერებლები მას ამჟამად რვაკუთხა ოთახში იხილავენ. თავად პირამიდა კი უჟანგავი ლითონისგან იქნება გაკეთებული და ზაფხულში დასრულებული სახით ჩრდილოეთ დერბიშირში, ინგლისის ჩრდილოდასავლეთში აღიმართება. პროექტის ღირებულება დაახლოებით მილიონი გირვანქა სტერლინგია.

**დღეს**
**სამშაბათს, 28 იანვარს**

1986 წელი: კოსმოსური ხომალდი "ჩელენჯერი" გაშვებიდან 72 წამზე აფეთქდა. დაიღუპა შვიდი ასტრონავტი.



© GRAPHIC NEWS

# „ოსკარი„ მერვე ჯერზე



პიტერ ო`ტული

წელს, "ოსკარის" საპატიო ჯილდოს პიტერ ო`ტულს გადასცემენ. მადლობთ 40 წლიანი კინო-კარიერისა და შესანიშნავი სახეების შექმნისთვის – დაახლოებით ასე ჟღერს კინო-აკადემიის ხელმძღვანელების სამადლობელი სიტყვა.

საგულისხმოა, რომ ცნობილი ირლანდიელი მსახიობი "ოსკარზე" შვიდჯერ იყო წარდგენილი, მაგრამ არც ერთხელ აუღია. როგორც ჩანს, დირექტორთა საბჭო, ბოლოსდაბოლოს, მიხვდა, რომ დადგა დრო, პატივისცემა 70 წლის მსახიობის მიმართაც გამოეხატა. "მან კინემატოგრაფის ისტორიაში დაუვიწყარი სახეები შექმნა", - განაცხადა აკადემიის პრეზიდენტმა ფრენკ პიერსონმა. ო`ტულს საპატიო ქანდაკებას "ოსკარის" ცერემონიალზე, 23 მარტს გადასცემენ.

ის პირველად ოსკარზე 1963 წელს წარადგინეს, ფილმისთვის "ლოურენსი არაბეთიდან", შემდეგ 1964 წელს – ბეკეტისთვის, 1968 წელს – "ლომი ზამთარში", 1969 წელს კი – "მშვიდობით, ბატონო ჩიპს". უიღბლო წარდგენების სერიები 70-80-იან წლებშიც გაგრძელდა. ამერიკის კინო-აკადემია თან აფასებდა და თან არ აფასებდა მას შემდეგი ფილმებისთვის: "მმართველი კლასი", „კასკადიორი", „ჩემი საყვარელი წელიწადი".

Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

MBA
მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი
$5950

... BA (Hons) ... 10 950$ (£ 6950 ...).
... B. Eng (Hons) ... £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

... 1600$-ის (£ 1000) ...

მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

## სკანდინავიური კროსვორდი



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

